პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- კამათი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ ლატვიის სეიმში.
- რუსი თეთრგვარდიელები გარბიან თურქეთიდან.
- მემარცხენე მუშების დაპატიმრება რიგაში.
- დარბაზობა სამოილოვიჩისა და ჩუხნოვსკის პატივსაცემად პარიზში.
- იაპონიის პარლამენტმა მიიღო კანონი „საშიში აზრების შესახებ".
- ბელგიის ყოფ. მინისტრი დე-ბრუკერი აღიარებს საფრანგეთ-ბელგიის ფარული შეთანხმების ფაქტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 8 მარტი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 54 (2400)

სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის გასადიდებლად

(ცეკას პლენუმის შედეგებისათვის)

საქართველოს ცეკას ეხლახან დასრულებულ პლენუმის დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ საკითხად, როგორც ვიცით, იდგა სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდება. ნედლი მასალით მრეწველობის უზრუნველყოფის, სასურსათო სიძნელეების გადალახვის, ექსპორტის გაძლიერების და გლეხობის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები ხსენებულ საკითხს უაღრესად აქტუალურ ხასიათს ანიჭებენ.

უდავოა, რომ სასოფლო მეურნეობის განვითარების დარგში ჩვენ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ. ნათესების არე საერთოთ გაუთანასწორდა ომის წინანდელ დონეს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 1928 წელს, რომელიც ამ მხრივ ერთგვარ შემცირებას იძლევა (მთავარ პურეულ მცენარეების ფართობმა დაიკლო 1,8 პროც.-ით ომამდე არსებულთან შედარებით). კერძოდ საგრძნობლად გაიზარდა ტეხნიკურ კულტურების (ბამბა, ჩაი, თამბაქო) არე და მან 1913 წ. დონეს უკვე გადააჭარბა. ასეთივე სურათი გვაქვს მესაქონლეობაში. ამასთან დაკავშირებით გადიდდა სასოფლო მეურნეობის მთავარი დარგების პროდუქცია და მისი ღირებულება. ამავე დროს მიღწევები გვაქვს გლეხურ მეურნეობათა კოოპერატიულ შეკავშირების და კოლექტივიზაციის დარგში.

მაგრამ ამ შედეგებით, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ. ზევით ჩამოთვლილ ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია დავაჩქაროთ სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპი, რომელიც ჯერ კიდევ მნიშვნელოვანად ჩამორჩება მრეწველობის განვითარების ტემპს. მით უფრო საჭირო ხდება სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ, რომ ბოლო დროს სასოფლო მეურნეობის ზოგიერთ დარგებში ზრდის ერთგვარ შენელებას ვამჩნევთ (ზევით ჩვენ დავასახელეთ პურეულის ნათესების არეს დაკლება). ეს მოვლენა აიხსნება არა მარტო მოუსავლიანობით, რაც უკანასკნელ წლებს ნაწილობრივ ახასიათებდა, არამედ პირველ ყოვლისა აღდგენითი პერიოდის შესაძლებლობათა ამოწურვით.

აქედან — სასოფლო მეურნეობის შემდგომი განვითარება შეიძლება მოხდეს უმთავრესად მისი რეკონსტრუქციის საფუძველზე. ამ მიმართულებით მუშაობა კარგა ხანია რაც დაიწყო. სოფლის მომარაგება თანამედროვე მანქანა-იარაღებით, აგრო-დახმარების გაძლიერება, ჭაობების ამოშრობა, არხების გაყვანა გვალვიან მინდვრების მოსარწყავად და მთელი რიგი სხვა ღონისძიებები — აი საითკენაა ჩვენი ყურადღება და საქმიანობა მიმართული.

საქართველოს პირობებში, როცა მიწის სიმცირე ასე თვალსაჩინოა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასეთ ღონისძიებებს; მიწის ნაკლებობა უნდა იქნას ანაზღაურებული სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციით, მისი მოსავლიანობის გადიდებით.

აქვე საჭიროა ხაზი გაესვას, რომ ჩვენი ძირითადი გეზი ტეხნიკურ კულტურების განვითარებაზე შემდეგშიც გადაუხრელად უნდა იქნას გატარებული, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენში ხორბლეულ მეურნეობის განვითარებას, რომ ადგილობრივი საშუალებებით შენელებულ იქნას სურსათის დეფიციტი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ახასიათებს.

ამისათვის, ვიმეორებთ, პირველ რიგში დგას მოსავლიანობის აწევის ამოცანა. კერძოდ გაზაფხულის თესვის კამპანიამ ხორბლეული პროდუქციის გადიდების მხრივ უდიდესი შედეგი უნდა მოგვცეს.

მაგრამ ამ მხრივ ჩვენს წინაშე მთელი რიგი დაბრკოლებებია აღმართული. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მიწადსარგებლობა ჩვენში ძალზე დაქუცმაცებულია, რაც შეუძლებელს ხდის რთული მანქანა-იარაღების გამოყენებას და საჭირო აგროკულტურულ ღონისძიებათა გატარებას. ამიტომ უნდა დავაჩქაროთ მიწად-მოწყობა, რომელიც ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამასთან, მიწად-მოწყობა სრულებით არ უნდა განისაზღვროს მიწის ნაჭრების გაზომვით და თავმოყრით, არამედ იგი მტკიცედ უნდა დაუკავშიროთ მეურნეობის დამუშავების გაუმჯობესებულ წესების შემოღებას და მის გადაყვანას კოლექტიურ ნიადაგზე.

მეორე გარემოება, რომელსაც ხაზი უნდა გაესვას, ესაა სოფლის მეურნეობის მანქანიზაცია. გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო „მამაპაპურ" იარაღებით მიწის დამუშავებას. ტრაქტორი და სხ. ახალი თანამედროვე მანქანა-იარაღები მძლავრად და ფართოთ უნდა შეიჭრან ჩვენს სოფელში. მათი საკმაო რაოდენობით მიწოდება გლეხობისათვის, მათი რაციონალური განაწილება ადგილობრივ პირობების შესწავლის საფუძველზე, ამ მანქანა-იარაღების სრული დატვირთვა და მათი უზრუნველყოფა როგორც სათადარიგო ნაწილებით, ისე საწვავ და წასასმელ მასალებით — ასეთია ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ რეკონსტრუქციის საქმეში, კერძოდ აუცილებელია, სადაც ეს მოხერხდება, სატრაქტორო კოლონების სისტემის შემოღება, რაც მაქსიმალურ ეფექტს მოგვცემს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მანქანა-იარაღების გავრცელება უნდა გამოვიყენოთ გლეხობის საწარმოო პროცესების გაერთიანებისა და მისი კოლექტიური შეკავშირებისათვის.

უაღრესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სათესლე მასალის საკითხის მოწესრიგებას. ჯერ ერთი, ჩვენ განვიცდით თესლის ნაკლებობას, შემდეგ —ჩვენში თესლის შერჩევის საქმე არ არის მოგვარებული. სათესლე ფონდის შექმნა, თესლის მოსაყვანად სპეციალური მიწის ფართობის გამოყოფა, თესლის დახარისხება — გაწმენდა და ამ მიზნით საწმენდ პუნქტების ქსელის გაფართოვება და გლეხობაში სათანადო ახსნა-განმარტების გაწევა — ასეთია ამოცანა. თესლის მარაგის შექმნით და ხმარებაში შერჩეულ თესლის შემოღებით ჩვენ დიდად ავწევთ სოფლის მეურნეობის ნაყოფიერებას.

შემდეგ: მოსავლიანობის გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწის განაყოფიერებას. ჩვენში მიწა ბევრგან გამოფიტულია ხანგრძლივი და განუწყვეტელი დამუშავების გამო, ან ნაკლებად გამოსადეგია ხვნა-თესვისათვის. ხელოვნურ სასუქის გავრცელებასთან ერთად, რაც ჯერ-ჯერობით მხოლოდ მცირე მაშტაბით შეიძლება იქნას გამოყენებული, საჭიროა ადგილობრივი სასუქის (მერგელი, ნეხვი, ნაცარი და სხვ.) ფართოდ გავრცელება. ამ მიმართულებით გლეხობას ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოთ როგორც რჩევა - დარიგებით, ისე უმთავრესად კრედიტებით და ორგანიზაციული ღონისძიებებით. ამავე დროს საჭიროა ზომების მიღება თესლთაბრუნვის შემოსაღებად, თესვის დროზე დასაწყებად და სხვ.

სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის აწევაში და მის კოლექტივიზაციაში თვალსაჩინო როლი უნდა ითამაშონ კოლექტიურმა და საბჭოთა მეურნეობებმა. თავის მეურნეობის საუკეთესოდ დაყენებით ისინი თვითონ მისაბაძი მაგალითი უნდა შეიქმნენ გლეხობისათვის და ამავე დროს მათ გლეხობას უნდა აღმოუჩინონ შესაძლებელი დახმარება.

თავის თავად ცხადია, რომ კლასობრივი პრინციპი მტკიცედ უნდა იქნეს გატარებული იმ ღონისძიებების გატარების დროს, რომლებსაც ჩვენ ვღებულობთ სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის მიზნით. დახმარება უნდა აღმოუჩინოს პირველ ყოვლისა კოლექტიურ მეურნეობებს, ღარიბ გლეხებს და აგრეთვე მათთან ახლო მდგომ საშუალო გლეხებს. კულაკების ცდები, რომ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ სახელმწიფოს შეღავათები, ძირშივე უნდა აღვკვეთოთ. ყველაფერ ამაზე თითქო არ ღირს შეჩერება, მაგრამ საქმე ის არის, რომ სინამდვილეში აქა-იქ ვხედავთ კლასობრივ ხაზის გამრუდებას. ამ გარემოებას ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური.

ჩამოთვლილ ღონისძიებათა გატარებით ჩვენ შევძლებთ შევასრულოთ საკავშირო ცაკის დირექტივა ხუთი წლის განმავლობაში მოსავლიანობის 30-25 პროც. გადიდების შესახებ და ხელს შეუწყობთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დაჩქარებას. ცეკას პლენუმმა ამ მიმართულებით მოგვცა მტკიცე მითითებანი, რომელთა განხორციელებას სათანადო ორგანოები უნდა შეუდგნენ იმ ენერგიით და პასუხისმგებლობის გრძნობით, რომელსაც საქმე მოითხოვს. ეჭვი არ არის, რომ მშრომელთა მთელი საზოგადოებრივობა და გლეხობის აქტივობა დასახულ ამოცანის გადაჭრას გაგვიადვილებს.

რ ვ ა მ ა რ ტ ი

1910 წლიდან მოწინავე პროლეტარი-ქალები 8 მარტს—ქალთა კომუნისტურ დღეს დღესასწაულობენ როგორც მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს.

ქალთა საერთაშორისო დღე განუყრელად არის დაკავშირებული ქალის შრომის პრობლემასთან და ქალის ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან.

ეს დღე უნდა იყოს ყველა ქვეყნის მშრომელ ქალთა რევოლუციონური მობილიზაციის დღე და მან ხელი უნდა შეუწყოს ქალთა დარაზმვას ძლევამოსილი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის დასაჩქარებლად. 8 მარტი—ნაბიჯია მსოფლიო რევოლუციისაკენ.

კაპიტალიზმი თავის დროებით ნაწილობრივ სტაბილიზაციას ამყარებს მშრომელი მასების, განსაკუთრებით, ქალთა შრომის სასტიკ ექსპლოატაციაზე. ბურჟუაზიამ მეტად მოხერხებულად დაიპყრო შრომის ბაზარი და ქალის შრომა გამოიყენა კაპიტალისტური წარმოების ყოველ დარგში. უკანასკნელ წლებში ქალთა სამუშაო ძალა მეტად საგრძნობ როლს თამაშობს კაპიტალისტური წარმოების საერთო რაციონალიზაციაში. მუშა-ქალები მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში მთელი პროლეტარიატის თითქმის ერთ-მესამედს შეადგენენ. მუშა-ქალთა ხელფასი კაპიტალისტურ წარმოებაში ნაკლებია, ვიდრე მამაკაცის ხელფასი, თუნდაც მუშა-ქალი ასრულებდეს იმავე სამუშაოს, რომელსაც მამაკაცი ასრულებს. არის შემთხვევები, როცა ქალთა სამუშაო ხელფასის შემცირების ხარჯზე მამა-კაცებს უმატებენ ხელფასს.

მაგალითად, ერთ წარმოებაში კანონები დედობის დაცვის შესახებ ისე როგორც შრომის სხვა კანონები, ძალზე შეკვეცილია, ხოლო რაც არის ამ დარგში, ისიც ნაკლებად ტარდება ცხოვრებაში.

კაპიტალისტური ქვეყნების მუშა-ქალებმა თითქმის არაფერი იციან უფასო ბაგების, ბავშთა ბაღების და სხვ. ასეთ დაწესებულებათა შესახებ.

კაპიტალისტები სცდილობენ უფრო გამოიყენონ ქალთა მუშა-ხელი, რადგან იგი უფრო იაფია, ქალი იძულებულია უფრო წავიდეს დათმობებზე შრომის დაცვის საქმეში, ვიდრე მამაკაცი. მაგრამ უკანასკნელ დროს ქალები თანდათან ფხიზლდებიან და წინააღმდეგობას უწევენ კაპიტალისტების საშინელ ექსპლოატაციას.

ჩვენ ვიცით, როგორ აქტიურ და ენერგიულ მონაწილეობას იღებდნენ ქალები ლოძის გაფიცვაში, ჩრდილო საფრანგეთის ფეიქართა გაფიცვაში, იაპონიის, ჩინეთის მუშა-ქალთა სტიქიურ გაფიცვებში და სხვ. თვით ჩინეთის რევოლიუციაშიაც აქვს ადგილი ბევრ მაგალითებს, რომლებიც მოწმობენ რევოლიუციონურ-ქალთა აქტიობას და მათ გმირულ ბრძოლას. მაგრამ კაპიტალიზმმა მაინც შესძლო დროებით დაეცვა თავისი პოზიციები, რადგან მას ეხმარებიან მეორე ინტერნაციონალის შემთანხმებელი ბელადები—მენშევიკი ოპორტიუნისტები და რეფორმისტები, რომლებსაც ჯერ კიდევ მისდევს პროლეტარული მასების შეუგნებელი ნაწილი. კომუნისტური პარტიები მოვალენი არიან მუშა-ქალებს უჩვენონ ის საზღვარი, რომელიც კომუნისტურ პარტიებს ჰყოფს სოციალ-დემოკრატებისა და რეფორმისტებისაგან, დასავლეთის და აღმოსავლეთის ქალები მებრძოლ მამაკაცებთან ერთად საბჭოთა კავშირის მშრომელთა ძმური დახმარებით შესძლებენ დაამხონ კაპიტალიზმ-იმპერიალიზმის ბატონობა და გასწიონ წინ კომინტერნის მიერ დასახული გზით.

⁂

სანამ მიაღწევდნენ ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას, ქალებმა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მუშათა კლასთან ერთად გაიარეს რევოლიუციონური ბრძოლის ეკლიანი, მაგრამ სახელოვანი გზა. ამ ბრძოლაში ბევრმა შესწირა თავისი სიცოცხლე პროლეტარულ საქმეს. საბჭოთა კავშირის განთავისუფლებული, თანასწორუფლებიანი ქალი სარგებლობს ყველა უფლებით და აქტიურ მონაწილეობას იღებს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში. ლენინი სწერდა:

„ბოლშევიკური, საბჭოთა რევოლიუცია ქალთა ჩაგვრის და უთანასწორობის ფესვებს სთხრის ისე ღრმად, როგორც ეს ვერ შესძლო ვერც ერთმა პარტიამ და ვერც ერთმა რევოლიუციამ მსოფლიოში".

მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შესძლებს ქალი მიაღწიოს საბოლოო განთავისუფლებას ძველი ნაშთებისა და კარჩაკეტილობისაგან. კომუნისტური პარტია მშრომელთა ბელადი და დამცველია. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმმა 1928 წელს სთქვა, რომ „განსაკუთრებით გადამჭრელ წარმატებას უნდა მივაღწიოთ პარტიაში მუშა-ქალთა მიღების საქმეში, რადგან უკანასკნელ დრომდე ამ მხრივ ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს, რაც სავსებით დაუშვებელია ეხლანდელ პირობებში".

მუშა-ქალო და გლეხ-ქალო! შედი კომპარტიაში, ლენინის პარტიაში, მას მიყავხარ სოციალიზმისაკენ. საბჭოთა მთავრობა ფართო შესაძლებლობას ქმნის იმისათვის, რომ მშრომელმა ქალებმა ითანამშრომლონ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების სამეურნეო და კულტურული ცხოვრების გარდაქმნის საქმეში.

ძირითადი ამოცანა, რომელიც ამჟამად სდგას მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა წინაშე, მდგომარეობს იმაში, რომ ტეხნიკური და კულტურულ-ეკონომიური მხრივ დავეწიოთ და გავუსწროთ მსოფლიოს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ასეთია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის ლოზუნგი. ამ ლოზუნგის განხორციელება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშრომელ ქალებს ფართო აქტიურ მონაწილეობას მივაღებინებთ სოციალიზმის მშენებლობაში, თუ ჩავაბამთ მათ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, წარმოების რაციონალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის, კოლექტივიზაციის საქმეში და თუ ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს შევაკავშირებთ კოოპერაციაში.

რომ სავსებით გამოვიყენოთ ქალის სამუშაო ძალა, საჭიროა მისი კულტურული დონის აწევა, დახმარების აღმოჩენა მისთვის, როგორც დედისათვის, ლენინი სწერდა: „ოჯანის აწევა, დახმარების აღმოჩენა მისთვის, ლის და საერთოდ საოჯახო მეურნეობის მეტად შავი, ადამიანის მეტად დამაჩლუნგებელი მუშაობით". ქალის გასანთავისუფლებლად ამ დამაჩლუნგებელი მუშაობიდან ეწყობა საზოგადო სამზარეულოები, ბაგები, საბავშო ბაღები და სხვ.

არტელების კოოპერატიული საწარმოების მოწყობა, წვრილ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება კოლმეურნეობებში, კომუნებში და სხვ., შეუწყობს ხელს ქალს გამოვიდეს რევოლიუციონურ-კულტურული განვითარების და სოციალიზმის მშენებლობის ფართო ასპარეზზე.

ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იზრდება წლითი წლობით ქალთა რიცხვი ყველა საბჭოთა, პარტიულ, პროფესიონალურ და მმართველობის და საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა ორგანოებში. ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება გველობება ამ მხრივ: წერა-კითხვის უცოდინარობა, რელიგიური და ყოფა-ცხოვრების ცრუმორწმუნეობანი და სხვ.

ლიკპუნქტებს, ქალთა კლუბებს, სადელეგატო კრებებს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ, მაგრამ მათ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ჩააბეს მუშაობაში ქალთა მასები. სადელეგატო კრებებმა მოამზადეს ასი ათასობით მუშა-ქალი, მოჯამაგირე-ქალი და ღარიბ-საშუალო გლეხ-ქალი და ხელი შეუწყვეს მათ ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მუშაობისათვის. სადელეგატო კრებები წარმოადგენენ ძირითად ფორმას მუშა-ქალთა შორის პარტიის მუშაობის შესამოწმებლად. სამწუხაროდ მიღებული ზომები ჯერ კიდევ საკმაო არ არის როგორც ქალთა კულტურული განვითარების, ისე ქალთა შრომის დაცვის დარგში.

8 მარტმა სულ უფრო და უფრო მეტად უნდა მისცეს იმპულსი ქალის ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

სოფლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოჯამაგირე-ქალთა, ღარიბ და საშუალო გლეხ-ქალთა სულ უფრო და უფრო ჩაბმას სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მუშაობაში. მოჯამაგირე-ქალთა, ღარიბ-საშუალო გლეხ-ქალთა აქტიურად ჩაბმა კოლმეურნეობათა მშენებლობაში მძლავრ ლახვარს წარმოადგენს კულაკისათვის სოფლად. მშრომელმა გლეხ-ქალებმა აქტიური და ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ წლის თესვის კამპანიაში, მოსავლიანობის გადიდებისათვის ლაშქრობაში და სხვა.

ძნელია ამიერ-კავკასიის სოფლის ქალთა ჩაბმა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მუშაობაში, რადგან ქალთა განვითარება აქ უფრო ნელის ტემპით მიდის წინ, ვიდრე კავშირის სხვა ბევრ ნაწილში. სახელმწიფო დახმარებასთან ერთად საჭიროა საზოგადოებრივი ძმური „დახმარება", ხელის შეწყობა.

აქ ამიერ-კავკასიაში უფრო ძნელია ყოფა-ცხოვრების ნაშთების, ძველი ადათების აღმოფხვრა. დღემდე კვლავ არსებობს მონობის სიმბოლო—ჩადრი, ადგილი აქვს მრავალცოლიანობას, ქალთა გაყიდვას, ყალიმს და სხვ. ზოგიერთ ადგილას არაჩვეულებრივად ძლიერია რელიგიის გავლენა და დრომოჭმულ ტრადიციებს ღრმად აქვს გადგმული ფესვები მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში. ეს ტრადიციები ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოვფხვრათ. მამაკაცთა კონსერვატიზმი და დახავსებული შეხედულება ამ საკითხში პირველ და მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს აღმოსავლეთის ქალთა განთავისუფლებისათვის. მაგალითად, ჩადრის მოხსნისათვის სიცოცხლეს გამოასალმეს აღმოსავლეთის ასობით მოწინავე ქალები. დაუნდობელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ბაების, მოლების და შეითების წინააღმდეგ აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა განსათავისუფლებლად მათი მონობიდან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შინამრეწველ ქალთა შეკავშირება კოოპერაციაში, მათი ჩაბმა კომუნებში და სხვ.

ამიერ-კავკასიის მშრომელო ქალო! გააჩაღე ენერგიული ბრძოლა ძველი ყოფა-ცხოვრების და მისი ტრადიციების წინააღმდეგ. იცოდე, რომ ამ საქმეში შენ გეხმარება ყველა ქალი, რომლებიც ოქტომბრის რევოლიუციამ გაანთავისუფლა. ლენინის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განთავისუფლდები ძველი ნაშთებისა და კარჩაკეტილი ცხოვრებისაგან.

ამიერ-კავკასიის მშრომელო-ქალო! განამტკიცე ამიერ-კავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური ძმური კავშირი!

წინ, სოციალიზმის მშენებლობისაკენ, პროლეტარიატთან და ყველა მშრომელ მამაკაცთან ერთად.

მიხა ცხაკაია.

ინგლის-რუსეთის კომიტეტის სხდომა

150 დიდი ფირმის წარმომადგენელნი მოითხოვენ ინგლის-საბჭოთა სავაჭრო შეთანხმებას

არსდება ახალი ორგანო გერმანიის სარეპარაციო გადასახადების საკითხის „მოსაწესრიგებლად"

ინგლის-რუსეთის კომიტეტის სხდომა

ლონდონი, 7 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 6 მარტს შესდგა ინგლისის მრეწველობის წარმომადგენლების მიერ შედგენილი ინგლის-რუსეთის კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ 150-ზე მეტ მსხვილ ფირმისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები.

სხდომაზე მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ინგლისის მრეწველთა დელეგაცია ლონდონიდან მოსკოვში გაემგზავრება 25 მარტს. რეზოლიუციაში ნათქვამია:

„სხდომა აღნიშნავს, რომ სავაჭრო ურთიერთობის განვითარება რუსეთთან უნდა ეყრდნობოდეს დამაკმაყოფილებელ ეკონომიურ შეთანხმებას ინგლისსა და რუსეთს შორის. სხდომა გულწრფელად უჭერს მხარს ყველა ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ინგლის-რუსეთის ვაჭრობის განვითარებას საბჭოთა მთავრობასთან უშუალო კავშირის დამყარების გზით. სხდომა კმაყოფილებით იღებს ცნობათ რომ ინგლისის ზოგიერთმა დიდმა ბანკებმა და სხვა ფინანსიურმა დაწესებულებებმა მოიწონეს ის მიზნები, რომელთაც დელეგაცია ისახავს და ავალებს ინგლის-რუსეთის კომიტეტს გადადგას შესაფერი ნაბიჯები ინგლისის მრეწველთა საქმიანობის მთლიანად უზრუნველსაყოფად ფინანსებით".

განსაკუთრებული სარეპარაციო ორგანოს შექმნა

პარიზი, 6 მარტი. სარეპარაციო კომისიის პლენარულმა სხდომამ მიიღო იუნგის წინადადება განსაკუთრებული სარეპარაციო ორგანოს შექმნის შესახებ, რომელმაც უნდა შესცვალოს როგორც წინანდელი სარეპარაციო კომისია, ისე დაუესის გეგმით გათვალისწინებული ყველა საკონტროლო ორგანო.

„პტი პარიზიენ"-ის სიტყვით, ეს სარეპარაციო ორგანო გადასწყვეტს გერმანიის სარეპარაციო ვალის ნაწილობრივი მობილიზაციის საკითხს და მოაწესრიგებს ფულად გადასახადს და ნატურით შესატანს. კომისიის მახლობელ სხდომაზე მიღებული იქნება რეზოლიუცია, რომელიც კონკრეტულ ფორმებში ჩამოაყალიბებს იუნგის წინადადებას. (ადს).

„საბჭოთა მრეწველობა მკვიდრ ნიადაგზე შენდება"

საუბარი „ამერიკა-ბალტიის სავაჭრო კომპანიის" დირექტორთან

რიგა, 6 მარტი. რიგაში იმყოფება დიდი ამერიკული კონცერნის „ამერიკა-ბალტიის სავაჭრო კომპანი"-ის დირექტორი ლა-სალე, რომელიც საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში მიემგზავრება.

„იანაკს ზინიას"-ის თანამშრომელთან საუბარში ლა-სალემ განაცხადა: „მე ვიყავი საბჭოთა კავშირში—მოსკოვსა და ლენინგრადში. იქ ფიქრობენ, რომ ჩვენი კონცერნი მახლობელი ორი წლის განმავლობაში შეუდგება კაპიტალების დაბანდებას საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირის მრეწველობა სწორ საფუძველზე სდგას. ამასთან იგი იყენებს ამერიკულ ტეხნიკას. ამის შედეგებს ეხლავე ვხედავთ. სასურსათო კრიზისი საბჭოთა კავშირში ნაწილობრივ აიხსნება ტრანსპორტის მოუწესრიგებლობით."

გაზეთების ცნობით, ლა-სალემ უნდა შეისწავლოს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება ლატვიისა და ესტონეთის მრეწველობაში კაპიტალების დაბანდება. (ადს).

კამათი ლატვიის სეიმში
საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ

მუშურ-გლეხური ფრაქციის შეკითხვა

რიგა, 6 მარტი. 6 მარტს ლატვიის სეიმმა განიხილა მუშურ-გლეხური ფრაქციის შეკითხვა ლატვია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ბალოდისმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია ლატვია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას დაუკავშიროს მომხდარ ჩხრეკას და ლატვიის პრესაში გამოქვეყნებულ ზოგიერთ წერილს. ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის კარგი და მეგობრული ურთიერთობა არსებობს. რაც შეეხება ჩხრეკას, უნდა ითქვას, რომ სათანადო დაწესებულების მოხელეებმა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის საწყობში ერთ მუშას უპოვეს მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები. პროკლამაციების ჩამორთმევამ საბჭოთა სავაჭრო ფლოტს მხოლოდ შეუმსუბუქა მუშაობა, რომლითაც ლატვია დაინტერესებულია და რომელსაც ის მუდამ გაუწევს დახმარებას. მთავრობა არ აგებს პასუხს პრესისათვის, მას პროკურატურა ადევნებს თვალყურს.

დასასრულ ბოლოდისმა განაცხადა, რომ მთავრობის მიზანია—უფრო მეტად განავითაროს და განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

კამათის დროს გამოვიდა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სოციალ-დემოკრატი ცელენსი, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას ლატვიისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ამიტომ ლატვიის ბურჟუაზიული პარტიები და მათი პრესა მოქმედებენ თავიანთ საზიანოდ, როცა უხეში გამოსვლებით ამწვავებენ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან.

მუშურ-გლეხური ფრაქციის სახელით გამოვიდა ლაიცენსი, რომელმაც განაცხადა: მუშურ-გლეხური ფრაქცია ვერ დააკმაყოფილა საგარეო საქმეთა მინისტრის პასუხმა. არსებითად მინისტრმა გაამართლა ჩხრეკა და პრესის კამპანია და ამგვარად არავითარი გარანტია არ მოგვცა მომავლისათვის. მუშურ-გლეხური ფრაქცია ძალაში სტოვებს მთავრობისათვის წარდგენილ ბრალდებას საბჭოთა კავშირის მიმართ პროვოკაციული პოლიტიკის წარმოების შესახებ. რაც შეეხება მუშურ-გლეხურ ფრაქციას, მის მიმართ მზადდება ახალი პროვოკაცია ფართო მასშტაბით. ამას ამტკიცებს ესტონური გაზეთის „პოსტიმეს"—ის წერილი, რომელიც იმ დღეებში დაიბეჭდა. (ადს).

ბალოდისის განცხადება

რიგა, 6 მარტი. ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის კელოგის პაქტის ძალაში შესვლის გამო, ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბალოდისმა განაცხადა:

„საბჭოთა კავშირი და ლატვია პირველი სახელმწიფოები არიან, რომელთა შორისაც ძალაში შევიდა კელოგის პაქტი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხელს შეუწყობს ჩვენი კარგი, მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას საბჭოთა კავშირთან". (ადს).

ჩუხნოვსკის და სამოილოვიჩის პატივსაცემად

პარიზი, 6 მარტი. საფრანგეთის აეროპლანების შენობაში გაიმართა დარბაზობა სამოილოვიჩისა და ჩუხნოვსკის პატივსაცემად.

ჰავასის სააგენტო აღნიშნავს, რომ „კლუბის შენობა მეტად პატარა აღმოჩნდა რომ დაეტია ყველა ისინი, ვისაც სურდა მისალმებოდა ორ გმირს".

კლუბის სახელით კრასინელებს მიესალმა კლუბის თავმჯდომარე, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილე ფლანდენი.

მიმართა რა სამოილოვიჩსა და ჩუხნოვსკის და აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩს დოვგალევსკის, რომელიც დარბაზობას დაესწრო ფლანდენმა სთქვა: „მე აღტაცებით ვადევნებდი თვალს კრასინელების გმირობას. საფრანგეთს არ დავიწყებია ძველი მეგობრობა, რომელიც ორივე ხალხს აკავშირებდა".

შტრეზემანი უკან იხევს

ჟენევა, 6 მარტი. ერთა ლიგის საბჭომ დახურულ სხდომაზე დაამტკიცა იურისტთა კომისიის ის დასკვნა, რომელიც უარჰყოფს წინადადებას, რომ იმ სახელმწიფოებმა, რომელნიც ერთა ლიგის საბჭოში არ შედიან, მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ უმცირესობების შუამდგომლობათა გარჩევის პროცედურის საკითხის განხილვაში. ამრიგად, საბჭომ უარჰყო ლიტვის მთავრობის თხოვნაც.

შემდეგ მოსმენილ იქნა კანადის წარმომადგენელის დანდიურანის მემორანდუმი ეროვნულ უმცირესობათა პეტიციების გარჩევის პროცედურის შეცვლის შესახებ. მემორანდუმი ეროვნულ უმცირესობათათვის, აგრეთვე დაინტერესებულ სახელმწიფოებისათვის ითვალისწინებს საჯარო გარჩევას და მთხოვნელებისათვის მათი თხოვნის შედეგების შესახებ ცნობების მიწოდებას. დანდიურანის მემორანდუმს არსებითად არაფერი ახალი არ შეაქვს იმ რეჟიმში, რომელიც არსებობს ეროვნულ უმცირესობათათვის ომის შემდეგ.

ერთა ლიგის საბჭოს დახურულ სხდომაზე შტრეზემანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც საათ-ნახევარს გაგრძელდა. ამ სიტყვას ახასიათებდა მეტად ზომიერი კილო. შტრეზემანმა გამოსთქვა გერმანიის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საჭიროა ნამდვილად განხორციელებულ იქნან არსებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე ეროვნულ უმცირესობათა ის უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან ერთა ლიგის მიერ, და შეიტანა წინადადება სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ ამ საკითხის შესასწავლად.

თავისი წინადადების დასაბუთების დროს შტრეზემანმა აღნიშნა, რომ როდესაც გერმანია აყენებს პრინციპიალურ საკითხს ერთა ლიგის დამოკიდებულების შესახებ ეროვნულ უმცირესობებთან, მას განზრახული არა აქვს ყურადღების ცენტრში მოაქციოს განსაზღვრული ეროვნული უმცირესობის ბედ-იღბალი და არსებობის პირობები, იგი მხოლოდ სცდილობს უფრო გარკვევით ჩამოაყალიბოს ერთა ლიგის ის უფლებები და მოვალეობანი, რომელნიც გამომდინარეობენ მისთვის დაკისრებულ გარანტიისაგან ცხოვრებაში გაატაროს ხელშეკრულებანი ეროვნულ უმცირესობათა რეჟიმის შესახებ. მთელ რიგ ეროვნულ უმცირესობებს აფიქრებს ის გარემოება, რომ ერთა ლიგის მიერ განცხადებულ პრინციპებსა და ამ პრინციპების გატარების პრაქტიკას შორის თანხმობა არ არის.

შტრეზემანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამა თუ იმ ეროვნული უმცირესობის შემადგენლობაში ყოფნა არ ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებებს, რომელნიც გამომდინარეობენ სახელმწიფო ქვეშევრდომობისაგან. მაგრამ ყოვლად უსაფუძვლოა იმის ცდა, რომ „საქმეებში ჩარევად და სახელმწიფოებრივი უშიშროებისათვის საფრთხის შექმნად" ჩაითვალოს ყოველივე გამოსვლა ამა თუ იმ სახელმწიფოსი, როდესაც ეს უკანასკნელი მოუწოდებს ერთა ლიგას უზრუნველჰყოს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა სხვა სახელმწიფოში, რომელსაც დაკისრებული აქვს განსაზღვრული ვალდებულებანი ეროვნულ უმცირესობათა მიმართ. შტრეზემანმა უარჰყო ის განცხადება, თითქოს სხვა სახელმწიფოების გამოსვლები ეროვნულ უმცირესობათა დასაცავად „საფრთხეს უქმნიან დაინტერესებულ სახელმწიფოს მთლიანობას და უშიშროებას", და კერძოდ განაცხადა:

„მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენმა საუკუნემ სამუდამოდ დასტოვოს ეხლანდელი მდგომარეობა. ყოველ შემთხვევაში, გამოსვლები ეროვნულ უმცირესობათა დასაცავად სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის ჩაშლისაკენ კი არ არიან მიმართულნი, არამედ, პირიქით, ამ ურთიერთობის განმტკიცებისაკენ".

შტრეზემანმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმის საჭიროებას, რომ დაინტერესებულ მთავრობათა წარმომადგენელნი თანასწორი უფლებით უნდა ღებულობდნენ მონაწილეობას ეროვნულ უმცირესობათა საქმეების განხილვაში.

დასასრულ, იმის გამო, რომ ეს საკითხი რთულია და შეუძლებელია მისი პრაქტიკულად გადაჭრა ამ სესიაზე, შტრეზემანმა შეიტანა წინადადება დაარსებულ იქნას სპეციალური კომისია ამ საკითხის შესასწავლად.

შტრეზემანის შემდეგ გამოვიდა რუმინეთის დელეგატი ტიტულესკუ და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ზალესკი (ადს).

„მცირე ანტანტის მონაწილეობა არ არის სასურველი".

ჟენევა, 6 მარტი. გერმანიის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს შტრეზემანმა გადაჭრით უარჰყო საფრანგეთის პრესის ცნობა იმის შესახებ, თითქოს გერმანიის მთავრობამ ურჩია ლიტვას მიემართა ერთა ლიგის საბჭოსათვის თხოვნით, რათა ლიტვა დაეშვან ეროვნულ უმცირესობათა საკითხის ირგვლივ კამათში მონაწილეობის მისაღებად. პირიქით, შტრეზემანმა აგრძნობინა ლიტვას, რომ გერმანიის მთავრობა არ არის დაინტერესებული ლიტვის თხოვნის დაკმაყოფილებაში, რადგან ამ თხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს მცირე ანტანტის მონაწილეობას კამათში (ადს).

ორლოვი გამოტყდა ყალბი დოკუმენტების დამზადებაში

ყალბ დოკუმენტებს გენრი ფორდიც უკვეთდა

ბერლინი, 6 მარტი. გაზეთების ცნობით, ყალბი საბჭოთა დოკუმენტების დამმზადებლების დაპატიმრების დროს პოლიციამ აღმოაჩინა მიწერ-მოწერა ორლოვსა და თეთრგვარდიელების „მოქმედების განყოფილებას" შორის. მიწერ-მოწერა უმთავრესად ეხება ყალბ დოკუმენტებს, რომლის საშუალებით სახელი უნდა გაეტეხათ ამერიკელ სენატორების—ბორასა და ნორისისათვის.

იმის გამოსარკვევად, თუ რა კავშირი არსებობს ორლოვის მიერ დამზადებულ ყალბ დოკუმენტებსა და თავის დროზე ამერიკაში გავრცელებულ ყალბ დოკუმენტებს შორის, ბერლინის პოლიციამ ვაშინგტონიდან გამოითხოვა ამ დოკუმენტების ფოტოგრაფიული სურათები.

იმ დროს, როცა თავდაპირველად მხოლოდ სუმაროკოვი გამოტყდა ყალბი დოკუმენტების დამზადებაში, ორლოვი კი დაჟინებით უარჰყოფდა მონაწილეობას საქმეში. შეკრებილ სახელისგამტეხ მასალების ზეგავლენით ორლოვიც იძულებულია აღიაროს თავისი მონაწილეობა ყალბი დოკუმენტების დამზადებაში.

ორლოვმა განაცხადა, რომ თავის დროზე გენრი ფორდმა 3.100 მარკა მისცა სუმაროკოვს ამერიკელ მწერალ ბერნშტეინის წინააღმდეგ მიმართულ ყალბი დოკუმენტის დამზადებისათვის.

როგორ იყენებენ ყალბ დოკუმენტებს

რეველი, 6 მარტი. ამ დღეებში ესტონეთის ნაციონალ-დემოკრატების ორგანოში „პოსტიმეს"-ში დაიბეჭდა რიგიდან გამოგზავნილი ცნობა იმის შესახებ, ვითომ ლატვიის გენერალური შტაბის მესამე განყოფილებამ ხელთ იგდო კომინტერნის ორი საინტერესო წერილი, რომლებიც გაეგზავნა დეპუტატ ლაიცენს და ტრუკურს. წერილი ვითომ შეიცავდა ინსტრუქციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ კომუნისტები პაქტის საკითხის განხილვის დროს და როგორ უნდა გამართონ მათ ობსტრუქცია. გენშტაბმა, გაზეთის ცნობით, წერილები ფოტოგრაფიულად გადაიღო და შემდეგ გაუგზავნა ადრესატებს, რათა გამოერკვია, როგორ შეასრულებენ ისინი აღნიშნულ დავალებებს.

„პოსტიმეს"-ის კორესპონდენტი მეტად მნიშვნელოვნად სთვლის წერილებს და აღნიშნავს, რომ ამ მასალის მიხედვით დააპატიმრებენ ბევრს, კერძოდ—სეიმის მუშურ-გლეხური ფრაქციის დეპუტატებს.

„პოსტიმეს"-ის ამ სენსაციას აქ უყურებენ როგორც ცდას —გამოყენებულ იქნას ლატვიაში ორლოვის და სუმაროკოვის ფაბრიკის ანტი-საბჭოთა ყალბი დოკუმენტები. (ადს).

„ძირს საერთაშორისო პროვოკატორები!"

რიგა, 6 მარტი. სეიმის მუშურ-გლეხური ფრაქციის ორგანომ „სტრანდეკუ დარბოუმნაიზე"-მ მოათავსა წერილი სათაურით „ძირს საერთაშორისო პროვოკატორები", რომელშიაც ნათქვამია, რომ გაზეთებში და სეიმში „დიდი პროვოკაციებისათვის". ოხრანი ფიქკოვიდან მესამე ინტერნაციონალისაგან"-ო. თვით სენსაციების ავტორები მტკიცედ არ იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთ საქმეში და ფიქრობდნენ, რომ „ლატვია ძალიან პატარაა დიდი პროვოკაციებისათვის". ისინი ფიქრობდნენ, რომ „თუ ცნობა ესტონეთის მეშვეობით გამოქვეყნდა საზღვრის მეორე მხარეს, ის უფრო სერიოზული და დამაჯერებელი იქნება". (ადს).

რუსი თეთრგვარდიელები გარბიან თურქეთიდან

სტამბოლი, 6 მარტი. ოფიციალური ცნობებით, სტამბოლში სულ 1.500 თეთრგვარდიელია (შარშან იყო 6.000 თეთრგვარდიელი). თეთრგვარდიელთა უმრავლესობამ ნებაყოფლობით დასტოვა თურქეთის საზღვრები და გაემგზავრა სამხრეთ-სლავიაში, საფრანგეთში და სამხრეთ-ამერიკაში, უმთავრესად ბრაზილიაში. (ადს).

განდი მომხრეა
ინგლისთან დაახლოების

ლონდონი, 6 მარტი. ცნობა განდის (ინდოეთის ნაციონალისტების ერთ-ერთი ბელადი) დაპატიმრების შესახებ შემცდარი აღმოჩნდა. გაზეთში გამოქვეყნებულია განდის განცხადება, რომელშიაც იგი მოითხოვს „ინგლისის და ინდოეთის დაახლოებას ურთიერთის ინტერესების გაგების მიზნით".

შემდეგ განდი ამბობს: „უნდა უზრუნველვყოთ, რომ სვარაჯისტებს (ინდოელი ნაციონალისტები) სწამდეთ ინგლისელების კეთილსინდისიერება, მასთან საჭიროა ინგლისის ნდობა სვარაჯისტებისადმი. თუ ეს მიღწეული იქნა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ამოცანა გადაწყვეტილია" (ადს).

სახელმწიფო საგეგმო კომისიის სხდომა

თათბირი კონცესიების შესახებ კომუნალურ დარგში

მოსკოვი, 7 მარტი. 6 მარტს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში საგეგმო ორგანოების წარმომადგენელთა თათბირზე (თათბირი იხილავს ადგილობრივი მეურნეობისა და ბიუჯეტის საკითხებს) მთავარ საკონცესიო კომიტეტის წარმომადგენელმა სოგლინმა გააკეთა მოხსენება კომუნალური კონცესიების გეგმის შესახებ. კომუნალური ტრანსპორტის დარგში გეგმაში შეტანილია 19 ობიექტი, აქედან 16 ტრამვაის მოწყობა, სხვათა შორის, ერევანში, განჯაში, სამარყანდში და აშხაბადში. წყალსადენის ნაგებობათა დარგში გეგმით გათვალისწინებულია 21 კონცესია კერძოდ თბილისში, ერევანში, განჯაში, ბათომში, ქუთაისში, ტაშკენტში და სამარყანდში.

განზრახულია 21 საკანალიზაციო ნაგებობის მოწყობა კერძოდ ერევანში, ლენქორანში, ბათომში, ტაშკენტში და სამარყანდში. იმ 15 ქალაქს შორის, სადაც განზრახულია საკონცესიო ქარხნების აგება, თბილისიც არის აღნიშნული. ბაქოში განზრახულია საკონცესიო სასაკლაოს აგება.

სოგლინმა აღნიშნა, რომ იმ რამდენიმე თვეში, რომელმაც განვლო კომუნალური კონცესიების სიის დამტკიცების შემდეგ, ამერიკის და ევროპის დიდი ფირმებისაგან მიღებულია მრავალი საკონცესიო წინადადება (ადს).

შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად

საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება

სახელმწიფო წარმოებებში შრომის დისციპლინის განმამტკიცებელ ღონისძიებათა შესახებ.

მოსკოვი, 7 მარტი. ჩვენს ქვეყანაში ნაყოფიერი სოციალისტური მშენებლობა და მასთან დაკავშირებული ამაღლება, მშრომელთა მასების კეთილდღეობის და კულტურული დონისა, წარმოუდგენელია, თუ მახლობელ წლებში უდიდესად არ გაიზრდება მრეწველობის პროდუქცია, ამასთან, თუ თვალსაჩინოდ არ გაუმჯობესდება ამ პროდუქციის ღირსება და არ შემცირდება მისი თვითღირებულება.

სახელმწიფო გეგმიანმა მრეწველობამ თავისი პროდუქცია მიმდინარე წელსვე უნდა გაადიდოს 20 პროცენტზე მეტად და შეამციროს თვითღირებულება 7 პროცენტით მაინც. მრეწველობის მოწყობილების გაუმჯობესება, ახალი ფაბრიკების ამუშავება და დამატებითი წყებების შემოღება საშუალებას გვაძლევს მივაღწიოთ ამ შედეგებს იმ პირობით, თუ საკმაოდ გაიზრდება შრომის ნაყოფიერებაც (17 პროცენტით შარშანდელთან შედარებით).

წარმოების თვალსაჩინო ზრდისა და დიდ მიღწევათა მიუხედავად, სამეურნეო წლის პირველი ოთხი თვის შედეგები შიშს იწვევენ, რომ წარმატებით არ შესრულდება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ნაწარმოებთა თვითღირებულების შემცირების ამოცანები.

ჩვენი მრეწველობისა და მთელი მეურნეობის ზრდის ერთ-ერთ შემფერხებელ მიზეზს წარმოადგენს შრომის დისციპლინის შესუსტება მრეწველობისა და ტრანსპორტის წამოწყებათა მუშების ზოგიერთ ჩამორჩენილ ჯგუფებს შორის. ამას შედეგად მოჰყვა სამუშაო დროს გაცდენის ზრდა, გახშირდა დაგვიანება სამუშაოზე, ადგილი აქვს დაუდევრობას მანქანებისა და მასალებისადმი, ადმინისტრაციის განკარგულებათა შეუსრულებლობას, და შინაური განწესრიგების სხვა წესების დარღვევას.

ამ არანორმალურ მოვლენათა თვალსაჩინო მიზეზს წარმოადგენს საწარმოებში მუშათა ახალი ფენების შესვლა, რომელთა უმრავლესობა დაკავშირებულია სოფელთან და, რომლებსაც არ გაუვლია საწარმოო საფაბრიკო - საქარხნო დისციპლინის სკოლა.

შრომის დისციპლინის დაცემაში დიდ როლს თამაშობს ის გარემოებაც, რომ მუშათა ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ იჩენენ ამ საკითხისადმი, სასამართლოს ორგანოებს და შრომის ორგანოებს საკმაოდ მტკიცე ხაზი არ გაჰყავთ იმ კონფლიქტების გარჩევის დროს, რომლებიც თავს იჩენენ შინაური განწესრიგების დარღვევის ნიადაგზე, აგრეთვე ის, რომ ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალი სუსტ ხელმძღვანელობას უწევს წამოწყებებს. ადმინისტრაცია ძალიან სუსტად იყენებს იმ უფლებებს, რომლებსაც მას შრომის დისციპლინის დასაცავად კანონი ანიჭებს შინაური განწესრიგების წესების თანახმად.

საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის უდიდესი ამოცანა შეიძლება გადასწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშათა მასები ამას ენერგიულად ეცდებიან, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მთელ სამეურნეო მუშაობაში, მუშათა საუკეთესო წარმომადგენლები პროფკავშირების საშუალებით დაწინაურებულნი იქნებიან სამეურნეო - ადმინისტრატიულ ორგანოებში, თუ გადამწყვეტი ბრძოლა იწარმოებს ბიუროკრატიზმთან, შრომის ორგანიზაციის დეფექტებთან, შრომის დისციპლინის დარღვევასთან, აგრეთვე თუ მუშათა მასები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ წარმოებათა მუშაობაში, საწარმოო თათბირების საშუალებით, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელობაში საბჭოებისა და პროფორგანიზაციების მთელი სისტემის საშუალებით. მუშების ასეთი მონაწილეობა საწარმოოს სამეურნეო მუშაობაში, ცხადია, არ უნდა გამოიხატოს ადმინისტრაციის ოპერატიულ მუშაობაში ჩარევით, ვინაიდან საწარმოოს სწორი ხელმძღვანელობა მოითხოვს, რომ ადმინისტრაცია სრული პასუხისმგებელი იყოს თავისი ოპერატიული მუშაობისათვის, რაც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ადმინისტრატიული მართვა - გამგეობა ერთპიროვნული იქნება.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო საჭიროდ სცნობს, რომ ამჟამად სამეურნეო ორგანოებმაც და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომის დისციპლინის საკითხებს. იგი მოუწოდებს მუშათა ფართო მასებს — ერთსულოვნად დაუჭირონ მხარი ყველა იმ ღონისძიებას, რომელმაც უნდა განამტკიცოს შრომის დისციპლინა.

ამ მიზნით საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა:

1) სახელმწიფო წამოწყებათა (სამრეწველო, ტრანსპორტის და სხვა) ადმინისტრაციას მიეცეს უფლება, რომ მუშაკებს შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დამოუკიდებლად დაადოს სასჯელი, რომელიც გათვალისწინებულია სასჯელთა ტაბულით.

თუ მუშები და მოსამსახურეები უკმაყოფილონი არიან ადმინისტრაციის მიერ დადებული სასჯელის გამო, მათ შეუძლიათ იგი განასაჩივრონ შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიებში, რომელთა გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

2) დაევალოს შრომის ბირჟას, რომ სამუშაოზე უმუშევართა გაგზავნის დროს უპირატესობა მისცეს იმ პირებს, რომლებიც დათხოვნილნი არ არიან შრომის დისციპლინის უხეში ან სისტემატიური დარღვევისათვის; თუ იგი სამუშაოს მისცემს შრომის დისციპლინის უხეში ან სისტემატიური დარღვევისათვის დათხოვნილ პირებს, ისინი უნდა გაგზავნონ არა იმ წამოწყებაში, საიდანაც დათხოვნილნი არიან.

3) დაევალოს საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატს— მიუთითოს შრომის ორგანოებს, რათა მათ შრომის დისციპლინის საკითხებში შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მოქმედებაზე მეთვალყურეობის განხორციელების დროს სასტიკად იხელმძღვანელონ ამ დადგენილებით.

4) წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების სახ. კომისართა საბჭოებს — მიიღონ ზომები, რათა სამკურნალო, სასამართლო და სხვა დაწესებულებებმა, აგრეთვე სავაჭრო წამოწყებებმა დააკმაყოფილონ მუშათა საჭიროებანი არასამუშაო დროსაც.

საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **რიკოვი.**
საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **გორბუნოვი.**

მოსკოვი, კრემლი,
1929 წლის 6 მარტი.

უკანასკნელი ცნობები

მუშათა მომავალი დემონსტრაცია ბაზელში

ბერლინი, 6 მარტი. შვეიცარიის კომპარტიამ, მუშათა თავდაცვის კავშირმა, ანტიფაშისტურმა გაერთიანებამ და რემედასმა გამოაქვეყნეს საერთო მიმართვა შვეიცარიის მუშებისადმი. მიმართვა მოუწოდებს შვეიცარიელ მუშებს მიიღონ მონაწილეობა წითელ მანიფესტაციაში, რომელიც 24 მარტს გაიმართება ბაზელში. მანიფესტაციაში მონაწილეობას იღებენ ფრონტელთა წითელი კავშირი და ომის ყოფილ მონაწილეთა რევოლიუციონური კავშირი (ადს).

ბელორუსთა გრომადის პროცესი

ვილნო, 7 მარტი. დღეს ბელორუსთა გრომადის პროცესზე პროკურორმა დაამთავრა სიტყვა. პროკურორმა წამოაყენა პროკურატურის ყველა ძველი თეზისები და დაიცვა პირველ ინსტანციაში უარყოფილი თეზისი იმის შესახებ, რომ „გრომადა მთლიანად, როგორც ორგანიზაცია, შეთქმულებას წარმოადგენდა". კიდევ მეტი, პროკურორმა გაილაშქრა პირველი ინსტანციის განაჩენის წინააღმდეგ და მოითხოვა გამართლებულთა—ოსტოვსკის, ლუცკევიჩის და ნარკევიჩის საქმის გადასინჯვა. თავისი სიტყვის საბოლოო ნაწილში პროკურორი მკაცრ განაჩენს მოითხოვდა. (ადს).

ამანულა-ხანის მდგომარეობა გაუმჯობესდა

ლონდონი, 6 მარტი. როგორც „დეილი ტელეგრაფი" პეშევარიდან იუწყება, ამანულა ხანს ბევრი შანსები აქვს დაუბრუნდეს ხელისუფლებას. გაზეთი სწერს, რომ ნადირ-ხანი ელის, რა მიმართულებას მიიღებს მოვლენათა განვითარება. მას დიდ სარგებლობას უწევენ პეშევარში, მაგრამ გამორკვეული არ არის —შეეცდება თუ არა იგი შეებრძოლოს ხაბიბულას.

გაზეთის ცნობით ალი ახმედ-ხანმა გადაჭრით განაცხადა, რომ მხარს უჭერს ამანულა-ხანს. (ადს).

კონრადი—ქურდი

ბერლინი, 7 მარტი. „შვეიცარიის პოლიციის უწყებებში" გამოქვეყნებულია დადგენილება ვოროვსკის მკვლელის კონრადის მოძებნის შესახებ. კონრადის ბრალად ედება ავტომობილის და მუდმივი კალმების კოლექციის მითვისება, განცხადების თანახმად, კონრადი ამჟამად იმყოფება დასავლეთ შვეიცარიაში ან საფრანგეთში. კომუნისტური გაზეთი „ტაგლერ ფორვერტსი" ამის გამო იუწყება, რომ გამართლების შემდეგ კონრადი იყო დამზღვევი საზოგადოების ინსპექტორად, საიდანაც დაითხოვეს ქალების მიმართ უზნეო საქციელისათვის. ამის შემდეგ ის კამერ-ლაქიად იყო „დიდ მთავარ" ნიკოლოზ ნიკოლოზისძესთან პარიზში, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად მიიმალა. მხოლოდ ეხლა, „პოლიციის უწყებათა" განცხადებიდან სჩანს, რომ მან ახალი ბოროტმოქმედება ჩაიდინა. (ადს)

მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენცია

მოსკოვი, 7 მარტი. ამხ. მოლოტოვის სიტყვით, დამთავრდა მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენცია. საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტში აირჩიეს 157 კაცი, მათ შორის ამხ. ბაუმანი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი, ვოლოდინი, გორევა, გიბერი, უხანოვი, მიხაილოვი; პოლონსკი, მაშკევიჩი და მელკუნოვი. მოსკოვის საკონტროლო კომისიაში არჩეულია 197 კაცი, მათ შორის ამხ. იაროსლავსკი, სოლცი, შკირიატოვი, კოროსტელევი და სხვ. (ადს).

საბჭოთა ყინულის მჭრელების მუშაობა

ბერლინი, 6 მარტი. საბჭოთა ყინულის მჭრელები განაგრძობენ მუშაობას ყინულებში ჩაჭედილი გემების განსათავისუფლებლად და გასაყვანად ვარნემიუნდში (ადს).

„პატარა დანების" გამოსვლა

შანხაი, 7 მარტი. გლეხთა საიდუმლო ორგანიზაციის „პატარა დანების" რაზმებმა რომლებიც 10.000 კაცისაგან შესდგება, ალყა შემოარტყეს ქალაქ სინჩენს (ეს ქალაქი იმყოფება ხენანის პროვინციის ცენტრალურ ნაწილში, რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული პეკინ-ხანკოუს რკინის გზის ხაზიდან). სატელეგრაფო კავშირი სინჩენსა და ხენანს შორის შეწყვეტილია. (ადს).

დე-ბრუკერი აღიარებს შეთანხმების სინამდვილეს

ბერლინი, 6 მარტი. ამსტერდამის გაზეთის „ფადერლანდ"-ის თანამშრომელთან საუბრის დროს ბელგიის ყოფილმა მინისტრმა, სოციალისტმა დე-ბრუკერმა განაცხადა, რომ ფრანჰეინემ, რომელსაც აბრალებენ საფრანგეთ-ბელგიის ყალბ ხელშეკრულების შედგენას, როგორც სჩანს მოიპარა ნამდვილი დოკუმენტები. დე-ბრუკერი ამტკიცებს, რომ „უტრეხტ დაგბლად"-ის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებიდან ბევრი შეეფერება სინამდვილეს, როგორც, მაგალითად, იმ პუნქტების ჩამოთვლა, სადაც უნდა მომხდარიყო მობილიზაცია, ბელგიის ტანკების ციფრი—49 და სხვ.

„ბუნებრივია,—განაცხადა დებრუკერმა, — რომ ეს არ არის სასიამოვნო ბელგიის გენშტაბისათვის, ვინაიდან მოუხდება მობილიზაციის ახალი გეგმის შემუშავება" (ადს).

ჰეინეს განთავისუფლება

ბერლინი, 7 მარტი. „ფორვერტს"-ის მიერ ამსტერდამიდან მიღებული ცნობებით, გუშინ სალამოთი ბრიუსელში მოულოდნელად გაანთავისუფლეს ფრანკ ჰეინე, რომელსაც აბრალებდნენ ყალბი დოკუმენტების დამზადებას. (ადს).

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე

ქალთა ინტერნაციონალური საერთაშორისო დღე

Ომი ომის წინააღმდეგ, ბრძოლა საბჭოთა კავშირის დასაცავად — აი იმ დროშაზე დაწერილი მთავარი ლოზუნგი, რომელიც ყველა ქვეყანაში ფრიალებს მშრომელ ქალთა დღევანდელ დემონსტრაციებზე. ეს დროშა არის კომუნისტური ინტერნაციონალის წითელი დროშა. ამ ორი მთავარი ლოზუნგის გარშემო ჩვენ ვხედავთ კაპიტალისტური სახელმწიფოების, კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნების, დაჩაგრული და გაყვლეფილი მასების სხვა მოთხოვნებსაც, რომლებიც მათ წამოაყენეს დამჩაგვრელ-დამმონავებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მათ შორის არის განსაკუთრებული მოთხოვნებიც, რომლებმაც მშრომელ ქალებს უნდა შეუმსუბუქონ საშინელი გაჭირვება და ტანჯვა. ეს მთავარი ლოზუნგები და მოთხოვნები დღევანდელ დღეს გადაუდებელ მოთხოვნილებას წარმოადგენენ. საჭიროა მშრომელ ქალთა და მამაკაცთა ფართო მასების მობილიზაცია დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ. ზურგ გამაგრებული, მსოფლიო კაპიტალი ცდილობს გამოიყენოს დროებით შენარჩუნებული ხელსაყრელი ვითარება იმ მიზნით, რომ მთელი მსოფლიო გადააქციოს მოგების მოსახვეჭ კოლონიალურ აპარატად, რომელმაც ადამიანთა გაყვლეფილი მასები ოქროდ უნდა გადაადნოს. მისი წრაფვებისა ალაგმვა მათი ძირიან-ფესვიანად ამოთხრა შეუძლია მხოლოდ მშრომელ მამაკაცთა და ქალთა ბრძოლას.

მსოფლიო კაპიტალიზმისა და იმპერიალისტური სახელმწიფოების ძალებს უნდა დაუპირისპირდეს განთავისუფლებისათვის მებრძოლი მსოფლიო პროლეტარიატის ძალა.

ქალთა ინტერნაციონალური კომუნისტური დღე თავს უყრის მშრომელთა მასებს, მეტადრე მშრომელ ქალთა მასებს მსოფლიო რევოლუციისათვის საბრძოლველად.

წითელი ოქტომბრის სამაყო პირმშო—პროლეტარულმა სახელმწიფომ განახორციელა საბჭოთა კავშირის მუშა ქალებისათვის, გლეხი ქალებისათვის და ყველა მშრომელი ქალებისათვის ის მოთხოვნები, რისთვისაც მათმა დასავლეთისა და აღმოსავლეთის დებმა გააფთრებული ბრძოლა უნდა აწარმოონ.

საბჭოთა კავშირის მშრომელ ქალებისათვის 8 მარტი საზეიმო აღთქმის დღეა. ამ აღთქმასა, რომ ისინი კვლავაც შეასრულებენ თავიანთ რევოლუციონურ მოვალეობას.

პროლეტარულმა დიქტატურის სახელმწიფომ საბჭოთა კავშირის ქალები გადააქცია თავისუფალ და თანასწორ ადამიანებად.

მან შექმნა კანონები, რომლებიც იცავენ მუშა ქალს, იცავენ დედასა და ბავშვს, კანონები, რომელთა მიზანია სახალხო განათლების და მშრომელთა კულტურული დონის ამაღლება. საბჭოთა კავშირის მშრომელმა ქალებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი უფლებანი, თავისუფალ და თანასწორ მოქალაქეთა უფლებანი. მათ ეს უფლებანი იმით უნდა გაამტკიცონ, რომ მთელი თავიანთი ძალღონით, თავდადებით და აღფრთოვანებით იმუშავებენ სოციალიზმის განსახორციელებლად.

საბჭოთა კავშირის მუშა ქალებო, გლეხქალებო და მშრომელო ქალებო! თქვენს დებს კაპიტალისტურ სახელმწიფოებში და კოლონიალურ ქვეყნებში თქვენ მიაჩნიხართ რევოლუციონურ ბრძოლათა გმირებად, ისეთ გმირებად, რომლებმაც შექმნეს საბჭოთა სახელმწიფო და რომლებიც იცავენ მას როგორც შინაური, ისე გარეშე მტრის თავდასხმისაგან. თქვენ მათ მიაჩნიხართ შრომის გმირებად, ისეთ გმირებად, რომლებიც არ უდრეკებიან სიძნელეებს, არ უშინდებიან საფრთხეს და რომლებიც ამაგრებენ სოციალისტური მშენებლობის საქმეს. სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა კავშირის მძლავრი დაცვა. აი მკვეთრი პასუხი იმპერიალისტური მტრების თავდასხმის წინააღმდეგ.

პროლეტარული სახელმწიფოს კულტურული რევოლუციის განვითარება სიმტკიცეს აძლევს პოლიტიკური და ეკონომიური რევოლუციის საქმეს. ეს კულტურული რევოლუცია ქალის საქმე უნდა იყოს. 8 მარტმა ერთხელ უკვე ჩამოჰკრა რევოლუციის ბრძოლის ზარი ცარიზმისა და ომის წინააღმდეგ. დღეს 8 მარტი მოუწოდებს პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის მშრომელ ქალებს კულტურული რევოლუციისაკენ, რომელიც საბჭოთა კავშირს ხდის მსოფლიო რევოლუციის ურყევ ბურჯად.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა შეურყეველი მისწრაფება სოციალიზმის მშენებლობისაკენ, გაყვლეფილთა და დაჩაგრულთა ბრძოლა იმ ქვეყნებში, სადაც ბატონობს და სძარცვავს კაპიტალიზმი, ისეთ ძალას წარმოადგენს, რომელსაც ვერ დასძლევენ მშრომელთა მტრები. ქალთა ინტერნაციონალური კომუნისტური დღე მასებისაგან მოითხოვს შემჭიდროვებულ რევოლუციონურ ფრონტსა და მთლიანობას მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ, კომუნისტური პარტიებისა და კომინტერნის ხელმძღვანელობით, სქესის, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად. ეს დღე თავს უყრის მებრძოლებს ომის წინააღმდეგ საომრად და საბჭოთა კავშირის დაცვისათვის საბრძოლველად.

კაპიტალისტური სახელმწიფოებისა და კოლონიალური ქვეყნების მშრომელნი სალამს უძღვნიან თავის დებსა და ძმებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში სოციალიზმს ჰქმნიან. ისინი 8 მარტს საზეიმო აღთქმას სდებენ, რომ „თქვენთან ერთად იბრძოლებენ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის“.

გაუმარჯოს კომუნიზმს!

კლარა ცეტკინ.

ქალთა დღე და კულტურული რევოლუცია

8 მარტი არის მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე, მუშათა კლასის საერთო რევოლუციონურ მოძრაობაში მშრომელ ქალთა ახალი რაზმების გაძლიერებისა და განმტკიცების დღე. მშრომელ ქალთა წინაშე იგივე ამოცანები დგანან, რაც მთელი მუშათა კლასის წინაშე. მაგრამ თუ ქალთა კომუნისტური მოძრაობის ზოგიერთი საკითხი, კერძოდ, ქალთა საერთაშორისო დღე, გამოყოფილია ცალკე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გადიდდეს და გაძლიერდეს ქალთა მასების აქტივობა და მათი მონაწილეობა მუშათა კლასის საერთო ბრძოლაში; ამიტომ 8 მარტი არის არა მარტო ქალთა საერთაშორისო დღე, არამედ მთელი მუშათა კლასის საერთაშორისო დღეც.

კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელ ქალთათვის 8 მარტი რჩება იმ დღედ, როდესაც მათ უნდა გამოააშკარავონ თავიანთი სოლიდარობა მუშათა კლასთან და მშრომელ ქალთა ახალი ძალები ჩააბან მუშათა საერთო რევოლუციონური მოძრაობის მტკიცე რაზმებში მთელ მსოფლიოს კაპიტალისტებისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ —პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის.

გარდა ამისა, ამ დღეს ბურჟუაზიული სახელმწიფოების მუშა და მშრომელი ქალები ერთხელ კიდევ ხმამაღლა განაცხადებენ მთელ მსოფლიოს წინაშე, რომ ისინი სიმპატიით და აღტაცებით უყურებენ პირველ მუშურ სახელმწიფოს—საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, რომელიც აშენებს სოციალიზმს და ამით ამზადებს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციას.

ქალთა გასამხედროება

მუშა-ქალი სწავლობს ნიშანში სროლას.

ამ დღეს ისინი ერთხელ კიდევ მოაგონებენ მშრომელთ, რომ იმპერიალისტური ქვეყნები ომს ამზადებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ დღეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში მშრომელი ქალები მოუწოდებენ მშრომელ მასებს სიფხიზლისა და რევოლუციონური სიმტკიცისაკენ პირველ მუშურ სახელმწიფოს დასაცავად მთელი მსოფლიოს იმპერიალისტების მტაცებლური ზრახვებისაგან.

სულ სხვა ამოცანები დგას საბჭოთა კავშირის მუშა და მშრომელი ქალის წინაშე. პროლეტარიატის დიქტატურის დროს შენდება სოციალიზმი; საბჭოთა კანონმდებლობამ სავსებით გაანთავისუფლა ქალი და გაუთანასწორა იგი მამაკაცს; ქალს ფართო ასპარეზი აქვს გადაშლილი მთელ სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად; იგი მუშათა კლასთან ერთად პასუხისმგებელია როგორც ჩვენი მიღწევებისა და წარმატებისათვის, ისე ჩვენი შეცდომებისათვის.

სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბევრი რამეა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ფართოდ და აქტიურად იქნებიან ჩაბმული მშრომელი ქალები სოციალისტურ მშენებლობაში. ამიტომ ამხ. ლენინი მუშათა კლასს პრაქტიკულ ამოცანად უსახავდა ყოველი მშრომელი ქალის მომზადებას **სახელმწიფოს გამგეობაში** მონაწილეობის მისაღებად.

საჭიროა, რომ მუშათა კლასმა საერთოდ და მშრომელმა ქალებმა კერძოდ, 8 მარტს შეამოწმონ, თუ რამდენად გამოიყენეს მშრომელმა ქალებმა ოქტომბრის რევოლუციით მოპოვებული უფლებები. რამდენად ფართო მონაწილეობას იღებენ ისინი სოციალისტურ მშენებლობაში, რამდენად გაძლიერდა და გაიზარდა ქალთა მასების კლასობრივი და კომუნისტური აღზრდა, როგორია ქალთა მომზადება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ამოცანების განხორციელებაში მონაწილეობის მიღებისათვის.

8 მარტს უნდა შევამოწმოთ, თუ რამდენად სწორად და მიზანშეწონილად გვაქვს დაყენებული მუშაობა ქალთა ფართო მასების მიერ ცოდნის, კერძოდ აგრონომიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენის დარგში. მიუხედავად დიდი მიღწევებისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ მისათვის, რომ მოვამზადოთ ქალთა მასები მონაწილეობის მისაღებად ისეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრაში, როგორიცაა სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდება მიწის დამუშავების წესების მაქსიმალური გაუმჯობესებით და ნათესი სივრცის გაფართოვებით.

8 მარტს ერთხელ კიდევ უნდა მოვაგონოთ ქალთა მასებს, რომ მათ ფხიზლად და ენერგიულად უნდა დაიცვან პროლეტარიატის დიქტატურა საბჭოების მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღებით, მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებით, სოფლად ღარიბი გლეხობის დარაზმვით, საშუალო გლეხის ჩაბმით სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

განსაკუთრებით დიდი და მრავალმხრივი როლი უნდა ითამაშოს მუშა და გლეხმა ქალმა იმ ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც დასახული გვაქვს კულტურული რევოლუციის დარგში. მით უმეტეს, რომ კულტურული რევოლუციის მრავალი საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია ქალის განთავისუფლების საკითხთან. მის განთავისუფლებასთან მრავალი ისეთი წვრილმანი მოვალეობისაგან, რაც ადუნებს მას და არ აძლევს საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობის მიღების საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წლიწადს ვლაპარაკობთ საზოგადოებრივ კვებაზე, კოოპერატიული სასადილოების, სამზარეულოების, სამრეცხაოების მოწყობაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დარგში ჩვენში თითქმის არაფერი არ გაკეთებულა და ამაში დანაშაული მიუძღვით არა მარტო კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, არამედ თვით მშრომელ ქალებსაც, რომლებიც ამ დარგში არავითარ ინიციატივას არ იჩენენ და სათანადო ბრძოლას არ აწარმოებენ არც სოფლად და არც ქალაქში.

იგივე უნდა ითქვას ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდის საქმეზე.

ჩვენში ნელი ტემპით სწარმოებს სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მშენებლობა, საბავშვო ბაგების, ბაღების, მოედნების მოწყობა, რომლებიც წარმოადგენენ საუკეთესო საშუალებას როგორც ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდისათვის, ისე ქალის განთავისუფლებისათვის კულტურულ საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ამ დარგშიაც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მუშა და გლეხმა ქალმა ვერ გამოიჩინა სათანადო სიმტკიცე და ვერ მიაპყრო ამ საქმეს ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღება, აგრეთვე ვერ მიიზიდა საბჭოთა საზოგადოებრიობის საშუალებანი.

ქალი საწარმოში

პაპიროსების ჩამლაგებელი

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა და გლეხ ქალთა გადაწყვეტილების თანახმად, 8 მარტს იწყება კულტურული ლაშქრობა უმეცრების ყველა ნაშთის, წერა-კითხვის უცოდინარობის, უკულტურობის, რელიგიისა და დახავსებული ყოფა-ცხოვრების ნაშთების და სხვ. წინააღმდეგ.

ამ ლაშქრობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა აქტივის ინიციატივას და თაოსნობას.

განსაკუთრებით დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა მშრომელ ქალთა წინაშე სდგას ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნის დარგში, მით უფრო რომ დახავსებული შეხედულებების, ძველი ტრადიციების, ბურჟუაზიულ-მეშჩანური და რელიგიური ცრუმორწმუნეობის მატარებელი ამ დარგში არის თვით ქალი.

ბრძოლას ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის ძველი ნაშთების წინააღმდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ამიერ-კავკასიის პირობებში.

ჩვენს პირობებში ბევრ ადგილას ქალი ნაწილობრივ ან სრულებით არ სარგებლობს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარით, რადგან იგი იმყოფება წარსულის ძლიერი გავლენის ქვეშ.

ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ქალის ჩაგვრისა, დამცირებისა და შეურაცყოფის ფორმები. ჯერ კიდევ ხდება ქალის არალეგალურად გაყიდვა, გათხოვება სურვილის წინააღმდეგ, ხშირად მცირეწლოვანებისაც, ქალების მოტაცება, აგრეთვე მრავალგვარი დაბრკოლებების შექმნა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალის მონაწილეობისათვის. კერძოდ, ჩადრი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში თურქ და აჭარელ ქალთა შორის, წარმოადგენს დამცირებისა და უკულტურობის ემბლემას, რომლითაც თვალები აქვს ახვეული ქალს, რათა მან არ იხილოს ჭეშმარიტება, ვერ გაარჩიოს კეთილი და ბოროტი, ვერ შესძლოს ძველი ცხოვრების დაგმობა და ბრძოლა ახალი ცხოვრებისათვის.

არ შეიძლება კმაყოფილებით არ აღინიშნოს, რომ უკანასკნელ დროს სიბნელისა და უმეცრების ეს კედელი შეირყა: სრულიად საქართველოს აჭარულ და თურქ ქალთა ყრილობის მოთხოვნა ჩადრის აკრძალვის დეკრეტის გამოცემის შესახებ, სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ჩადრისათვის—მისი სახალხოდ დაწვა, —ყოველივე ეს მოწმობს, რომ ამიერ-კავკასიის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ქალი გამოფხიზლდა და ახალი ცხოვრების შექმნის გზას დაადგა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. მუშაობა უნდა გაძლიერდეს. კულტურული რევოლუციის ალი ძლიერ ხანძრად უნდა გადაიქცეს.

8 მარტის დღის მთავარ ამოცანას შეადგენს ბრძოლა ქალის ფაქტიურად განთავისუფლებისათვის, მისი ჩაბმისათვის სოციალისტურ მშენებლობაში.

ჩადრის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად ქალთა მთელმა აქტივმა ბრძოლა უნდა გააჩაღოს მუშათა კლასისათვის სხვა, არა ნაკლებ საშიში და უცხო საყოფა-ცხოვრებო მოვლენათა წინააღმდეგ, რომლებიც ახასიათებენ ქალთა ფართო მასას: ტუჩების შეღებვა, სხვადასხვა მორთულობის ტარება (საყურეები, ბეჭდები), ბურჟუაზიული მოდებისათვის მიბაძვა ტანისამოსის ჩაცმაში, თამბაქოს წევის გავრცელება ახალგაზრდა ქალთა შორის, რომელიც ვითომ მამაკაცებთან თანასწორუფლებიანობის მაჩვენებელია და სხვ.

კულტურული რევოლუციის განხორციელების საქმეში ერთ-ერთ დაბრკოლებას, რომელიც ძალიან უშლის ხელს ახალ ცხოვრებას, წარმოადგენს რელიგიურ ჩვეულებათა შესრულება. საეკლესიო უქმეების დღესასწაული, შობისა და აღდგომის სუფრის გამართვა შეღებილი კვერცხებით და პასკებით, სტუმრების დათრობა. არ უნდა დავმალოთ ის ცხადი ფაქტი, რომ ქალი ამ მხრივ ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა საუკუნეებით განმტკიცებული ტრადიციებისაგან და დღემდე იგი მატარებელია დახავსებული, კონსერვატიული ცრუმორწმუნეობისა.

ამ მიმართულებისათვის საჭიროა 8 მარტის დღეს გადავსინჯოთ ამ დიდ ბოროტებასთან ბრძოლის არსენალი და დავსახოთ ახალი გზები და ფორმები მასთან საბრძოლველად.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბრძოლა ახალი ყოფა-ცხოვრების შესაქმნელად ძალიან ძნელია, რომ აქ უნდა ვებრძოლოთ არა ჩვეულებრივად ძლიერ კონსერვატიზმს, ძველი, საუკუნეებით შექმნილი შეხედულებანი, რწმენა, ტრადიციები და ჩვეულებანი რომ ჩვენი ხალხის შეგნებიდან უნდა აღმოვფხვრათ ძველი დახავსებული წარმოდგენა ქალზე. ჩვენ ვიცით, რომ ძველი ყოფა-ცხ. ებღაუჭება ყოველ ახალ ნაბიჯს, რომელსაც მშრომელი ქალი სდგამს ახალი ცხოვრების შექმნის გზაზე.

მაგრამ ეს კონსერვატიზმის და სიბნელის კედელი ინგრევა ახალი იდეების, ახალი ცოცხალი ძალების შეტევით, რომლებიც ებრძვიან ჩამორჩენილობას და უკულტურობას, ყოფა-ცხოვრების ბოროტმოქმედებებს და რელიგიურ ნაშთებს, ჩადრს და ყოველსავე იმას, რაც ხელს უშლის ქალს გახდეს ახალი კომუნისტური საზოგადოების სრულუფლებიანი მონაწილე.

მარიამ ორახელაშვილი.

ქალი პროფკავშირში

რა როლი უნდა ითამაშონ პროფკავშირებმა მუშა-ქალების და გლეხ-ქალების სოციალისტურ აღმშენებლობის ჩაბმაში? შესძლეს თუ არა პროფკავშირებმა იმ დავალებების შესრულება, რომელიც დააკისრა მათ კომუნისტურმა პარტიამ ამ მხრივ? აი, ის საკითხი რომელიც ისმება დღეს ყოველი პროფმუშაკის წინაშე. კავშირები ჯერ კიდევ ზერელედ უყურებენ ქალთა შორის მუშაობას. მათ ვერ შესძლეს კავშირის წევრთა შორის იმ საზოგადოებრივი აზრის სათანადოთ განმტკიცება, რომ ქალთა შორის მუშაობა ეს საერთო პროფკავშირული მუშაობაა. მაგრამ ამ უკანასკნელ წელში, მიუხედავად ბევრ დაბრკოლებებისა, მაინც გვაქვს სათანადო მიღწევები. საქართველოს პროფკავშირებში გაერთიანებული ქალები (კავშირის წევრები) 1926 წელს უდრიდა 28.694-ს, ხოლო 1928 წელს—38.184-ს. მამასადამე იზრდება პროფკავშირებში დარაზმულ ქალთა რიცხვი, იზრდება ქალების რიცხვი წარმოება-დაწესებულებებში.

გადავიდეთ შემდეგ საკითხზე. რამდენი მუშა ქალია პროფკავშირთა აქტივში და როგორ იზრდება მათი რიცხვი წლების მიხედვით. 1926 წ. იანვარს ფაბქარკომებში ქალთა რიცხვი უდრიდა 13 პროც., სხვადასხვა კომისიებში, როგორც მაგალითად, კულტ-კომ, შრომის დაცვის, საწარმოო და სხვა—13 პრ., 1927 წ. იანვარს—13,3 პროც., კომისიებში კი—13,8 პროც., 1928 წ. იანვარს 15,6 პროც., კომისიებში კი—17.1 პროც., ცხადია არ შეიძლება იმის თქმა, რომ ქალთა აქტივის ზრდა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. ჩვენს კავშირებს ვალათ აწევთ, რომ უფრო მეტი და მეტი ქალები ჩააბან პროფკავშირების ორგანოებში სამუშაოთ.

რანაირი მდგომარეობა გვაქვს ხელფასის მხრივ სხვადასხვა წარმოებებში? დიფერენციალურ ხელფასის გამოკვლევის მიხედვით, რომელიც ჩატარებული იქნა 1926—27 წელს, რანაირი იყო ქალის საშუალო ხელფასი ლითონის წარმოებაში. 1926 წ. საშუალო თვიური ხელფასი უდრიდა 35—75 კ., დღიური—1—43 კ. 1927 წელს თვიური ხელფასი—40—80 კ. (გადიდება 14,1 პროც.) დღიური—1—71 კ.; (გადიდება 19,5 პროც.) თამბაქოს წარმოებაში 1926 წ. ქალის თვიური საშუალო ხელფასი უდრიდა 47,69 კ., დღიური—2,11 კ., 1927 წ. თვიური ხელფასი—59.75 კ., დღიური 2,61 კ. ე. ი. თვიური ხელფასი ამ წარმოებაში იზრდება 25,3 პროც. დღიური ხელფასის ზრდა კი უდრის 23,7 პროც., ტყავეულობის წარმოებაში 1926 წ. ქალის საშუალო თვიური ხელფასი უდრიდა—42.—16 კ., დღიური—1—94 კ., 1927 წელში თვიური—39—00 კ., დღიური—2.76 კ. ამ წარმოებაშიც იზრდება ქალების საშუალო ხელფასი, თვიური საშუალოდ გაზრდილა 63,7 პროც., დღიური კი—42,3 პროც.

პოლიგრაფიულ წარმოებაში: 1926 წ. ქალის თვიური საშუალო ხელფასი უდრიდა 56—00 კ., დღიური—2.—60 კ., 1927 წ. თვიური—70 44 კ., დღიური—3—33 კ. ამრიგად თვიური ხელფასი იზრდება 25,8 პროც., დღიური 28,1 პროც.

ზემოდ მოყვანილი ცხრილები გვიჩვენებს, რომ ქალის ხელფასი იზრდება, ის უთანასწორდება მამაკაცთა საშუალო ხელფასს, რაც მოასწავებს ქალთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამ ბოლო დროს მუშა-ქალების ლტოლვა იზრდება, საერთოდ, სწავლისაკენ. კულტურულ მუშათა კლუბებში წევრებათ არის წლების მიხედვით: 1926 წ. —4.157 ქალი. 1927 წ. 7,790 ქალი. სხვადასხვა წრეებში საერთო რიცხვიდან გაერთიანებულია 1927 წ. იანვარს 20,1 პროც., 1927 წ, ივლისს 22,6 პროც.; აქაც, რასაკვირველია, გვაქვს ერთგვარი მიღწევა. მაგრამ კავშირებმა რაც შეიძლება უფრო მეტი მუშა-ქალები უნდა ჩააბან კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში. კავშირები, უნდა გულახდილად ვსთქვათ, ძალიან ცუდათ უდგებიან ამ საკითხს. მუშა ქალები ხშირად შეჰყავთ საკავშირო მუშაობაში (ადგილკომები, სამაზ. განყ. (ცენტრალური გამგეობა და სხვა) არა იმის მიხედვით, თუ როგორ პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებენ ისინი, არამედ იმიტომ, რომ ფორმალურად იყოლიონ ქალთა წარმომადგენლი.

დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ კავშირებმა მუშა-ქალების კვალიფიკაციურად გადამზადების საქმეს. ეს დიდათ შეუწყობს ხელს ქალთა ეკონომიურად დაწინაურებას.

როგორ მუშაობას აწარმოებენ ჩვენი პროფორგანოები მუშა-ქალთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების დარგში? იყო, მართალია, სათანადო ცდები, რომ შექმნილიყო სპეციალური დაწესებულებები, როგორიც, მაგალითად; საბავშვო ბაგები, სასადილოები; სამრეცხაოები; რომ ამ ზომებით მუშა-ქალი ორმაგ სამუშაოდან განთავისუფლებულიყო. მაგრამ ამ მხრივ ცოტა რამ გაკეთდა იმასთან შედარებით, რისი გაკეთებაც შეგვეძლო. პროფორგანოებმა ამ მხრივ ძალიან სუსტად იმუშავეს. თავისთავად ცხადია, რომ მარტო კავშირები ამ ამოცანას ვერ შეასრულებენ, თუ მათ დანარჩენი ორგანიზაციებიც არ დაეხმარა და სისტემატიური მედგარი ბრძოლა არ იქნა წარმოებული. ძველი ყოფაცხოვრების ნაშთების აღმოსაფხვრელად.

მე-15 პარტყრილობის ლოზუნგები მტკიცედ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. სოფლის პროფკავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ყრილობის დადგენილების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება გლეხის წვრილი მეურნეობის სოციალისტურ-ნიადაგზედ, გარდაქმნას, რომელიც გვავალებს მუშაობის გაძლიერებას გლეხთა კოლექტივიზაციის დარგში. პროფკავშირებმა, რომლენიც სოფლად მუშაობენ, მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ სოფლის ყოფაცხოვრების გარდაქმნა საგრძნობლად არის დამოკიდებული მუშა გლეხ ქალზედ.

ჩვენ, მხოლოდ მაშინ მოვახერხებთ პარტიულ ყრილობების დადგენილებების განხორციელებას, თუ პროფკავშირები სხვა ორგანიზაციებთან ერთად გადასდგამენ პრაქტიკულ ნაბიჯს მუშა და გლეხთა ქალის ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისაკენ, მათი საზოგადოებრივ საქმეში მასიურად ჩაბმით შევასრულებთ ბელადის ანდერძს, რომ ყველა მზარეულ ქალს შეეძლება მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვა-გამგეობაში.

გ. მაჩაიძე.

ძირს ჩადრი!

ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთში, რადგან, არსად არ არის ქალი ისე დაჩაგრული და დამონავებული, როგორც აქ. ქალის ნამდვილი განთავისუფლება მრავალი საუკუნის მონობიდან—კომპარტიის ერთ-ერთ ძირითად ლოზუნგს შეადგენს.

თანამედროვე მომენტში ძლიერ მწვავდება კლასობრივი ურთიერთება, კლასობრივი ბრძოლა. მუშაობას ქალთა განთავისუფლებისათვის ძალიან დიდ წინააღმდეგობას უწევენ საბჭოთა ხელისუფლების მტრული ელემენტები, ქალაქისა და სოფლის მთელი ბურჟუაზია. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით მახინჯ ფორმებს იღებს ჩვენში—ამიერ-კავკასიაში, ამიერ-კავკასიის სოფელში. არა მარტო კომპარტიამ, არამედ მთელმა საბჭოთა საზოგადოებრივობამ, მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციამ და ჩვენი ქალაქისა და სოფლის კულტურულმა ძალებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საუკუნოებრივ ნაშთებთან—ქალის ჩაგრულ, დამონავებულ და შევიწროებულ მდგომარეობასთან ბრძოლაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთში.

ჩადრ-ახდილი აჭარელი ქალები

ჩადრის მოხსნას, რომელიც ამიერ-კავკასიაში ტარდება ამჟამად, მხარი უნდა დაუჭიროს ყველა კეთილსინდისიერმა მოქალაქემ, ყოველმა მუშამ, ყოველმა მოჯამაგირემ, ღარიბმა და საშუალო გლეხმა. მხოლოდ კულაკებს, მხოლოდ ბურჟუაზიას და მუსულმანთა სამღვდელოებას შეუძლიათ გამოვიდნენ ასეთი რევოლუციონური და კულტურული ღონისძიების წინააღმდეგ აღმოსავლეთში. სწორედ 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს განსაკუთრებული ძალით უნდა იქნას გამოაშკარავებული მთელი მუშურ-გლეხური მოსახლეობის ნება-სურვილი, მისწრაფება იმისაკენ, რომ აღმოსავლეთის ქალი საბოლოოდ და უეჭველად განთავისუფლდეს მონობიდან, სავსებით გათანასწორდეს უფლებრივად საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქესთან, რომ ქალთა თანასწორუფლებიანობა არა სიტყვით, არამედ საქმით განხორციელდეს არა მარტო სახელმწიფოში, არამედ აგრეთვე ოჯახსა და სკოლაში, ფაბრიკასა და ქარხანაში და საერთოდ ყოველ დარგში. აღმოსავლეთის განთავისუფლებული ქალი მუშათა კლასთან, გლეხობასთან, საბჭოთა მოსახლეობის მრავალ მილიონ მშრომელ მასებთან ერთად უნდა გამოვიდეს ახალი ყოფაცხოვრებისათვის ბრძოლის ასპარეზზე.

რვა მარტთან დაკავშირებით ყველა ორგანიზაციამ ფართო მუშაობა უნდა განავითაროს ჩადრის მოხსნის ლოზუნგის გასავრცელებლად ჩამორჩენილი გლეხობის ფართო მასებში და ყოველგვარი ზომები მიიღოს იმისათვის, რომ აღმოსავლეთის ქალის განთავისუფლებას არავინ შეუშალოს ხელი, ძალმომრეობით არ დააბრკოლონ საუკუნოებრივი მონობის ემბლემის—ჩადრის უკუგდება. ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, რომ ჩადრი ხელს უშლის აღმოსავლეთის ქალს დაეწაფოს საბჭოთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას, ჩაებას სახელმწიფო მმართველობის საქმეში. ყოველმა მუშამ, ყოველმა გლეხმა უნდა შეიგნოს, რომ ჩადრი ძლიერ რეალური იარაღია, რომელიც ხელს უწყობს ქალის დამონავებას ყოფა-ცხოვრებაში და მთელ საბჭოთა, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ქალი ჩადრით ვერასოდეს ვერ გახდება ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს სრულუფლებიანი წევრი, ქალი ჩადრით ვერასოდეს ვერ გახდება ჩვენი მუშისა და გლეხის თანამოლაშქრე რევოლუციონურ ბრძოლაში. სწორედ ამიტომ, სწორედ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ და გავაფართოვოთ ჩვენი რევოლუციონური კადრები, რომ გავამრავლოთ რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის, მთელი აღმოსავლეთის, მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა რაოდენობა, საჭიროა ქალის განთავისუფლება მონობიდან, საჭიროა საბოლოოდ უკუვაგდოთ ამ მონობის სიმბოლო—ჩადრი. 8 მარტის დღე ყოველმხრივ უნდა იქნეს გამოყენებული ჩადრის მოხსნის კამპანიის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის. მომავალშიაც, 8 მარტის ჩატარების დღეს ჩვენმა საბჭოთა, სამეურნეო და სხვ. ორგანიზაციებმა კიდევ უფრო მეტად უნდა ჩააბან ქალები წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში და სხვა ხელმძღვანელ ორგანოებში. უნდა გაძლიერდეს კულტურული კერები ქალებისათვის, როგორც მაგალითად: წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები, გლეხქალთა სამკითხველოები, საბავშვო ბაგები და სხვადასხვაგვარი კურსები.

8 მარტის დღეს ყველა თურქ-ქალებმა მთავრობას ერთსულოვნად უნდა მოსთხოვონ, რათა გამოსცეს დეკრეტი ჩადრის მოხსნის შესახებ.

ი. ტაგიევი.

8 მარტი და მშრომელ ქალთა ამოცანები

საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი მხარეა დედამიწის ზურგზე, სადაც ქალი უფლებრივად სავსებით გათანასწორებულია მამაკაცთან და სადაც ყოველგვარი ზომები არის მიღებული იმისთვის, რომ ეს თანასწორობა ფაქტიურად იქნეს განხორციელებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად პარტიისა და ხელისუფლების მიერ მიღებულ გადამჭრელი ზომებისა, ფაქტიური გათანასწორება ჯერ კიდევ ვერ არის ყველგან მიღწეული: ამის მიზეზი არის უკულტურობა, ჩამორჩენილობა, დახავსებული ზნე-ჩვეულებები-ტრადიციები. საბჭოთა ხელისუფლება მუშაობს და იბრძვის ამ შემაფერხებელი მიზეზების აღმოსაფხვრელად. მშრომელი ქალი ვალდებულია დაეხმაროს სახელმწიფოს ამ ბრძოლაში. მან წერა-კითხვის უცოდინარობას უნდა გამოუცხადოს სასტიკი ბრძოლა, რაც უნდა სწარმოებდეს ლიკპუნქტების, ქოხსამკითხველოების და უმთავრესად კი—სკოლების მეშვეობით. მშრომელ ქალების რაც შეიძლება მეტი პროცენტი უნდა იქნას ჩაბმული სასწავლო ერთეულებში. უნდა გადიდდეს მოსწავლე ქალების რიცხვი პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში, განსაკუთრებით კი გლეხთა ახალგაზრდობისა და საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში. დაუზოგავი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს აგრეთვე მავნე ტრადიციებსა და ჩვეულებებს, რომლებიც ზღუდავენ ქალს და ხელს უშლიან მის განთავისუფლებას. მშრომელი ქალი პირველ რიგში უნდა იდგეს ლოთობასთან, უვიცობასთან და ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის მშრომელმა ქალმა 8 მარტს უნდა გაითვალისწინოს თავისი ამოცანები და მოვალეობანი მებრძოლი პროლეტარიატის დახმარების საქმეში.

მილიციელი ქალი

ანა ალიევა

მილიციელი ქალი

ელისაბედ ჩხობაძე

წელს ქალთა დღესასწაული ტარდება ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავების ხანაში. მსოფლიო ბურჟუაზია ვერ ურიგდება მუშათა სახელმწიფოს განმტკიცებას, მის კულტურულ და ეკონომიურ წინსვლას. ევროპის იმპერიალიზმი, მიუხედავად საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკისა, ემზადება საბჭოთა ქვეყნებზე თავდასხმისათვის, მუშა-ქალებმა უნდა გაითვალისწინონ ეს მდგომარეობა და ემზადონ თავდაცვისათვის, რომ შეინარჩუნონ თავისი უფლებები და დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარნი. არც ერთი მშრომელი ქალი არ უნდა დარჩეს თავდაცვა-ავიაქიმის წრეების გარეშე, ყველამ უნდა მიიღოს სათანადო ცოდნა და გაწვრთნა სამხედრო საქმეში, რომ შესძლოს საჭირო მომენტში გვერდში ამოუდგეს მებრძოლ მუშებსა და გლეხებს და გაუწიოს მათ სათანადო დახმარება.

მაგრამ მარტო ომი არ უმზადებს საფრთხეს ჩვენს სოციალისტურ ქვეყანას. საჭიროა რომ ჩვენ სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოთ კაპიტალისტურ ქვეყნებს მშვიდობიან ეკონომიურ ფრონტზეც. ჯერ-ჯერობით ჩვენ ჩამორჩენილი ვართ ეკონომიურად და ტეხნიკურად. აუცილებელი კი არის, რომ ჩვენ არამც თუ უნდა დავეწიოთ, არამედ გაუსწროთ კიდეც მათ ამ მხრივ. ამიტომ მშრომელმა ქალმა ხელი უნდა შეუწყოს ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპით განვითარებას, 8 მარტს მუშა-ქალებმა უნდა გაითვალისწინონ თავისი ამოცანები ამ დარგში.

მშრომელმა ქალმა უნდა იცოდეს აგრეთვე, ჩვენი სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა, მას უნდა ესმოდეს, რომ სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპი მეტად ჩამორჩენილია. მუშა და გლეხმა ქალებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ ღონისძიებების განხორციელებაში, რომელსაც ატარებს პარტია და ხელისუფლება მოსავლიანობის გასადიდებლად.

8 მარტის დღესასწაულმა უფრო მეტად უნდა შეამჭიდროვოს მშრომელ ქალთა რიგები კომუნისტური პარტიის ირგვლივ, იმ პარტიის ირგვლივ, რომელიც იბრძვის ოქტომბრის რევოლუციის დროშის ქვეშ და ახორციელებს მუშა-ქალების ნამდვილი განთავისუფლების იდეას.

ლ. ანდრიაძე.

შეტევა დახავსებული ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ

გასულ წელს ქალთა შორის მუშაობის დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენდა მშრომელ ქალთა ფართო მასების აქტივობის ზრდა. ამავე დროს ქალები საკმაოდ არ იქნენ ჩაბმული ხელმძღვანელ მუშაობაში.

უკანასკნელ დროის ყველა საარჩევნო კამპანია, განსაკუთრებით საბჭოების საარჩევნო კამპანია, მოწმობს, რომ ეხლა უკვე იმდენად ქალს კი აღარ სჭირდება „რჩევის მიცემა“, საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმას, რამდენადაც ჩვენს საბჭოთა, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებს, რომ ჩააბან ქალი ამა თუ იმ მუშაობაში.

თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ წარსული წლის განმავლობაში პარტიულ, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების მიერ გამოცემულია მთელი რიგი საყოფაცხოვრებო დადგენილებისა, რომელიც მკვიდრ საძირკველს უქმნის ყოფა-ცხოვრების დარგში მუშაობას და რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მუშა და გლეხ-ქალთა სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის საქმისათვის, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება „მაკრატელი“ საბჭოთა მშენებლობაში მუშა და გლეხ-ქალთა მონაწილეობის შესაძლებლობასა და ამ საქმის ფაქტიურ მდგომარეობას შორის.

ეს „მაკრატელი“ რა თქმა უნდა, იმითაც აიხსნება, რომ ყველაზე უფრო აქტიური მუშა და გლეხი ქალებიც კი საკმაოდ ვერ არიან მომზადებულნი ამა თუ იმ სამუშაოს პრაქტიკულად შესრულებისათვის. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზია ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ დაწესებულებათა სიმცირე და მათი რიცხვის ნელი ზრდა, ხოლო ეს დაწესებულებანი ხელს უწყობენ ქალის მომზადებას საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობისათვის. სუსტად იზრდება საბავშვო ბაგების, კრების, საბავშვო ბაღების და მოედნების ქსელი, სახალხო კვების არსებული ქსელი ჯერ კიდევ მოუწყობელია მუშა და გლეხ-ქალთა ფართო მასებისათვის, ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არა გვაქვს სამრეცხაოები და სხვ. და მათ მოწყობის საქმეში გამოყენებული არ არის საზოგადოებრივი თვითმოქმედება.

სწორედ ეს გარემოება აფერხებს მშრომელ ქალის მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში.

შემდეგ კი მთავარია საშინელი „ჩვეულების ძალა“, დახავსებული ყოფა-ცხოვრება, რაც მიზეზია იმის რომ ქალის, როგორც საზოგადოებრივი ერთეულის; როლი სათანადოდ არ ფასდება, ხოლო აქედან გამომდინარეობს ყოველივე ის, რაც ხელს უშლის ქალს ჯეროვანი მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ მუშაობაში.

ქალთა განათლების შეუფასებლობა და სკოლებში ქალიშვილთა რიცხვის სიმცირე.

მცირეწლოვანთა გათხოვება, მცირეწლოვანთა „დანიშვნის“ უმსგავსო ჩვეულება, რის შედეგაც ქალს ეკარგება საზოგადოებრივი სასარგებლო მუშაობაში მონაწილეობის ყოველივე პერსპექტივა (დანიშნულისათვის სკოლაში სიარულიც კი „უხერხულია“, არა თუ რაიმე საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობის მიღება).

ქალის იძულება, რომ მან საერთოდ კარჩაკეტილად იცხოვროს, კერძოდ ჩადრი ატაროს („ცოლი ჩემია, თუ მოვისურვებ—გავუშვებ სახლიდან, უჩემოდ კი ის ბიჯსაც ვერ გადადგამს“).

სამწუხაროდ, ასეთ შეხედულებისაგან აქა-იქ თავისუფალნი არ არიან პარტიის წევრები და „შემცვლელი თაობა“—კომკავშირელებიც კი.

აი მაგალითებიც:

„თქვენ გსურთ, რომ მე ცოლს კლუბში სიარულის ნება მივცე? — არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მხოლოდ ერთი პირობით—თუ ჩემი ოთახიდან გააკეთებთ კლუბში გასასვლელ კარს (მისი ოთახი კლუბის გვერდითაა), რომ ჩემ ცოლს ქუჩაში გამოსვლა არ სჭირდებოდეს. გინდათ, რომ ცოლს ჩადრი მოვხსნა? ძნელია, ამხანაგებო, როგორღა უნდა დავენახვო მამა-ჩემს და უფროსებს?—ასე მსჯელობს უჯრედის მდივანი, რომელიც რამდენიმე ათეულ ამხანაგს ამ სიტყვების წინ თითონ ურჩევდა მოეხსნათ ჩადრი თავიანთი ოჯახის წევრებისათვის.

„არ მოდის ჩემი ცოლი კრებაზე, ნება მომეცით ვცემო და მაშინ მოვიყვან—ასე აცხადებს „აქტივისტი“ კრების წევრებს, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ მისგან, რომ კრებაზე მიეყვანა ცოლი. მისი მდგომარეობა კიდევ უფრო კრიტიკული გახდა, როდესაც ცოლი „უცაბედად“ გამოცხადდა კრებაზე და ყველასთან წამოდგა პირში — „სხვებთან გეტყვი, რომ ჩადრი მოიხადე, მაგრამ შენ უარი სთქვი იცოდე ჩადრის მოხდა არ გაბედოო“, ემუქრებოდა თურმე ცოლს ეს „აქტივისტი“.

კონსერვატიული შეხედულება ქალზე, როგორც საზოგადოებრივ მუშაკზე ხშირად აფერხებს მუშა გლეხ ქალთა დაწინაურების საქმეს. უკანასკნელ წლებში ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში აღიზარდა მუშა და გლეხ ქალთა საუკეთესო აქტივი, მაგრამ განა ბევრს ვხედავთ ხელმძღვანელ პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა მუშაობაზე?—ქვედა საფეხურის აპარატში ათეულებს, უმაღლეს ორგანოებში კი მხოლოდ ერთეულებს! ამაში სხვა ორგანიზაციაზე ნაკლები ბრალი არ მიუძღვით პარტკომების მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებებსაც, რომლებიც სუსტად მუშაობენ რეზერვების აღრიცხვისა და ქალთა სისტემატიურად დაწინაურების საქმეში, ღებულობენ და მოითხოვენ მხოლოდ „შემოხვევის დროს“. დაკვრითი წესით, დიდი დღესასწაულების დროს აწინაურებენ მუშა და გლეხ ქალებს. ხოლო ჩვენი საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალური ორგანიზაციების უმრავლესობა ჯერ კიდევ ფორმალურად უყურებს მუშა და გლეხ ქალთა დაწინაურებას ხელმძღვანელ სამუშაოზე და უცდის სხვის ინიციატივას.

ყოფა-ცხოვრების დარგში მუშაობის სუსტად დაყენების, აქტივის სუსტად შესწავლისა და აღზრდის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში ქალის მონაწილეობის შეუფასებლობის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს პარტიაში ჩაბმულ ქალთა დაბალი პროცენტი (5,9), ხოლო კომუნისტ ქალთა შემადგენლობაში—მუშა და მოჯამაგირე ქალთა მცირე პროცენტი.

ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, სუსტია კომუნისტ მუშა ქალთა ფენა საწარმოებშიაც, მაშინ, როდესაც ჩვენს საწარმოებში ჩაბმულნი არიან დიდი საწარმოო სტაჟის მქონე მუშა ქალები, ხოლო ახალი კადრები, რომლებიც ამჟამად შედიან ფაბრიკებში, გამოდიან საუკეთესო საზოგადოებრივ მუშაკ ქალთა წრიდან. ჩვენი პარტუჯრედების უპირველეს საზრუნავ საგნად უნდა გადაიქცეს მასიური მუშაობის გაუმჯობესება საწარმოებში, ამ მუშაობის შეფარდება მუშა-ქალთა ყოფა-ცხოვრების პირობებთან, რეზერვების შექმნა, და საუკეთესო მუშა-ქალთა პარტიაში ჩაბმა,

დეფექტების გამომჟღავნებასთან ერთად რასაკვირველია ჩვენ გვერდს ვერ აუხვევთ მიღწევებსაც. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს. გასული წელი წარმოადგენს გადამჭრელი ბრძოლის პერიოდს კარჩაკეტილობის ერთ-ერთ განსაკუთრებით უმსგავსო ფორმასთან—ჩადრის ტარებასთან.

ყველა, ვინც კი ერთხელ მაინც დასწრებია აზერბეიჯანში, რომელსამე მუშათა კლუბში ჩადრის ტარების წინააღმდეგ გამართულ საღამოს ან კრებას, ვინც საქართველოში დაესწრო აჭარელ ქალთა ყრილობას, ვისაც უხილავს კარჩაკეტილი ქალის უდიდესი საზეიმო განწყობილება, როდესაც იგი თამამად იხსნის სამარცხვინო საბურველს და მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლებისაგან დახმარებას ჩადრის ტარების ამკრძალველი კანონის გამოცემის სახით—იტყვის, რომ ჩვენ მოწმენი ვართ თურქი და აჭარელი ქალის მედგარი და შეუდრეკელი ბრძოლისა ფაქტიურ განთავისუფლებისათვის. ამ ბრძოლაში ჩაბმულია მშრომელი მასების საუკეთესო ნაწილი, რომელმაც შეიგნო, რომ მშრომელი მოსახლეობის ის ელემენტები, რომლებიც კიდევ ებღაუჭებიან წარსულს, განიცდიან პროლეტარიატის კლასობრივი მტრების—სასულიერო წოდებისა და კულაკების გავლენას.

8 მარტს მუშა და გლეხმა ქალებმა, ყველა პატიოსანმა მშრომელმა, უნდა აღიმაღლონ ხმა ქალის განთავისუფლებისთვის ჩადრისაგან და კარჩაკეტილობის ყველა სხვა ფორმისაგან, დახავსებული ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ!

ამასთან დაკავშირებით, უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა კულტურულ ყოფაცხოვრებით ლაშქრობას, რომელსაც 8 მარტს აწყობს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება მთელ საბჭოთა კავშირში. ამ ლაშქრობის მიზანია „დარაზმოს მუშა და გლეხ ქალთა ფართო მასები გადამჭრელი გარდატეხის მისაღწევად ქალთა უცოდინარობასთან და უკულტურო ყოფა-ცხოვრებასთან ბრძოლის საქმეში, ხელი შეუწყოს ყველა დეფექტების აღმოფხვრას იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობაში, რომელთა დანიშნულებასაც შეადგენს მუშათა კლასისა და გლეხობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ყოფა-ცხოვრების დარგში“.

ჩვენს პირობებში კულტურულ-ყოფა-ცხოვრებითი ლაშქრობის მთავარი მიზანი უნდა იყოს ბრძოლა დახავსებულ ყოფა-ცხოვრებასთან, რომელიც წარმოადგენს ძირითად დაბრკოლებას ქალის ფაქტიურად განთავისუფლების საქმეში.

ლაშქრობის მონაწილეთა მთავარ ამოცანებს ჩვენში წარმოადგენს:

ა) ნაადრევი დანიშვნისა და გათხოვების შემთხვევების გამომჟღავნება და ადგილობრივ საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების დამოკიდებულების გამორკვევა ამ მოვლენებთან;

ბ) იმის გამორკვევა, თუ როგორ უდგებიან ჩვენი სამოსამართლო და სხვა ორგანოები ქალის ინტერესების დაცვის საკითხებს,

გ) ქალთა განათლების საქმის მდგომარეობის გაცნობა;

დ) პიონერ-კოლექტივების გამოკვლევა; მათი ყოფა-ცხოვრების პირობების შესწავლა, პატარა ქალთა მონაწილეობის გამორკვევა. ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის იდეების პოპულიარიზაცია მოსახლეობაში, კერძოდ ქალთა შორის;

ე) კლუბებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის შემოწმება იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ემსახურებიან აღნიშნული ორგანიზაციები ქალთა ინტერესებს და სხვ.

აშკარაა, რომ ლაშქრობა სათანადო შედეგს მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ქალთა ფართო აქტივი: სადელეგატო კრებები, საბჭოების წევრი ქალები, ფაბრქარხადგილკომები, კოოპერაციაში მომუშავე აქტივი, კომკავშირელები, მასწავლებლები, ექიმები.

ლაშქრობის შედეგი განხილულ უნდა იქნას სათანადო საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებში, ლაშქრობის შედეგად უნდა მოჰყვეს ამ ორგანიზაციების მუშაობის გადამჭრელი გარდატეხა მუშა და გლეხ ქალთა კულტურულ-ყოფაცხოვრებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში.

პროლეტარიატის დიქტატურის ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ იმას რომ უფრო ენერგიულად აღვძრათ მშრომელი ქალის ფაქტიურად განთავისუფლების საკითხები და უფრო გაბედულად ჩავაბათ ქალი ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში.

ს. შავერდოვა.

საბჭოთა საქართველოს მუშა და გლეხ ქალებს

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მხურვალე სალამს გიძღვნით ქალთა კომუნისტურ საერთაშორისო დღეს. მრავალი საუკუნის განმავლობაში მილიონი მშრომელი კაცობრიობა იტანჯებოდა და მისი უდიდესი ნაწილი ეხლაც იტანჯება მეფეებისა, მებატონეებისა და ათასგვარ მჩაგვრელების უღელქვეშ. ოქტომბრის ძლევამოსილმა რევოლუციამ შეარყია მთელი თანამედროვე კაცობრიობა, თავზარი დასცა ბურჟუაზიულ ბატონობას და დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში დაამყარა მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

მუშა და გლეხ ქალებსაც სწორედ ოქტომბრის რევოლუციამ მიანიჭა სრული პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი უფლებანი და გაუხსნა გზა თავისუფალ ცხოვრებისაკენ, მაგრამ პროლეტარული დიქტატურის დამყარება დედამიწის ერთ მეექვსედზე—ეს არის მხოლოდ ნაწილობრივი გამარჯვება. სრული გამარჯვებისათვის საჭიროა მთელი მსოფლიო იმპერიალისტურ-ბურჟუაზიის დამხობა და მშრომელთა კლასის გაბატონება მთელ დედამიწის ზურგზე.

ამ საკაცობრიო ბრძოლაში მშრომელმა ქალებმა უნდა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ მთელი თავიანთი შეგნებით და ძალღონით. წლიდან წლამდე თუ როგორ იზრდება და ძლიერდება მშრომელ ქალების სამზადისი და ნებისყოფა მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებისათვის—ამისი შემოწმება ხდება ყოველ წლიურად 8 მარტის დღეს.

დღევანდელ დღეს მუშა და გლეხ-ქალებმა კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ თავიანთი რიგები საერთაშორისო მასშტაბით. განსაკუთრებით იმსჭვალონ კლასიური თვითშეგნებით და უფრო ძლიერი აქტიობა გამოიჩინონ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად იმპერიალისტურ სახელმწიფოების თავდასხმისაგან.

წრევანდელი 8 მარტი იმით განირჩევა წარსული წლების დღესასწაულიდან, რომ ჩვენმა მშრომელმა ქალებმა ეხლა კიდევ უფრო აშკარად უნდა დაამტკიცონ თავიანთი მომზადება და სურვილი ქალთა სრული განთავისუფლებისათვის.

მარტო უფლებრივი გათანასწორება არა კმარა, რომ ქალები შეიქმნენ აქტიური მონაწილენი განახლებული ცხოვრებისა. საამისოდ საჭიროა, პირველ ყოვლისა, სავსებით აღმოფხვრას ის დამამონავებელი ადათ-ჩვეულებანი, რის წყალობითაც ქალს მეტ წილად ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი სიბნელისა და უვიცობისათვის. ამ მშრომელი ქალები მთელი თავიანთი შეგნებით უნდა გამოვიდნენ მათ შემბორკავ ადათ-ჩვეულებათა წინააღმდეგ და განსაკუთრებით კი. ქალების ყველაზე მეტად დამამცირებელ ჩადრის წინააღმდეგ.

მშრომელმა ქალებმა თავიანთი შეგნებული მოთხოვნილებით ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაამხონ ამ სამარცხვინო ჩადრის ტარება და ხელი შეუწყონ მუშურ-გლეხურ მთავრობას მის წინააღმდეგ კანონის გამოცემაში.

ეს იქნება ერთი უდიდესი მიღწევათაგანი წრევანდელი „8 მარტის“ დღესასწაულისათვის.

მაგრამ მუშა და გლეხი ქალები მარტო ჩადრის მოსპობით ვერ დაკმაყოფილდებიან. საბჭოთა კავშირში უდიდესი და თავგანწირული მუშაობა სწარმოებს მთელი კულტურისა და მეურნეობის ძირიან-ფესვიანად გარდაქმნისათვის სოციალიზმის დამყარების მიზნით. ამ საქმეშიც მუშა და გლეხ ქალებმა უნდა მიიღონ უდიდესი მონაწილეობა. ისინი უნდა აქტიურად ჩაებან სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობაში როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

მშრომელი ქალის მონაწილეობის გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი სახელმწიფო ორგანო, არც ერთი საზოგადო დაწესებულება, სადაც კი იქმნება და იჭედება მომავალი მშრომელი კაცობრიობისა, სოციალისტური ქვეყნიერება.

ამ საერთაშორისო საქმეში საქართველოს მუშა და გლეხი ქალებიც გამოვლენ მწყობრად თავიანთი კლასიური შეგნებით დარაზმულნი.

მშრომელ ქალთა პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ უფლებათა გათანასწორებასთან უნდა მოჰყვეს შეგნების, შრომისა, აქტიობისა და ნებისყოფის ზრდა განახლებულ ცხოვრების შეუჩერებელ აღმშენებლობაში.

მთელ შეგნებულ, მებრძოლ პროლეტარიატთან ერთად დღევანდელ დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელ ქალთა მოძრაობის უმთავრეს ამოცანას უნდა შეადგენდეს სოციალიზმისათვის შეურიგებელი ბრძოლა არა მარტო საქართველოში და საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში.

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს 8 მარტს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას!

გაუმარჯოს კულტურულ რევოლუციას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელს—საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებს)!

ჩვენი მხურვალე სალამი საქართველოს, ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს!

წინ გადამწყვეტი ბრძოლით გამარჯვებისაკენ, სოციალიზმის გზით კომუნიზმისაკენ!

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.
სრ. საქ. ცაკ-ს მდივანი **ი. ვარძიელი.**

თბილისის კომიტეტისაგან

ქალ. თბილისის და მისი მაზრის მუშა-ქალებს, გლეხ-ქალებს და ყველა მშრომელ ქალს

ქალთა საერთაშორისო დღეს მხურვალე სალამი მუშა-ქალებს, გლეხ-ქალებს და ყველა მშრომელ ქალს!

8 მარტს მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალები იკრიბებიან კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, ინტერნაციონალის, რომელიც მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისათვის იბრძვის.

მუშა და გლეხი ქალებო! ამ დღეს კაპიტალისტური ქვეყნების ქალთა მასები მოგიწოდებენ: დაგვეხმარეთ ხელი შეუშალოთ კაპიტალისტებს, რათა ჩვენი ძმები, შვილები არ გაიყვანონ ახალ იმპერიალისტურ ომში კოლონიალური ხალხების მოძრაობის ჩასახშობად, რევოლუციონური მუშათა მოძრაობის დასამარცხებლად.

ჩვენი პასუხი იქნება: მთელი მსოფლიოს მშრომელო ქალებო, ჩვენ მზადა ვართ! ჩვენ ამ ბრძოლას დიდი ხანია ვაწარმოებთ, ჩვენი შეურყეველი გადაწყვეტილებაა მთელი ჩვენი ძალ-ღონე, ენერგია მოვანდომოთ ბრძოლას მშვიდობიანობისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს—მსოფლიოში ერთად-ერთი პროლეტარული სახელმწიფოს დაცვას, სადაც ყველა მშრომელი თავისუფალია და სადაც ქალები სრული თანასწორუფლებიანობით სარგებლობენ. თქვენც მოიპოვეთ თქვენი უფლებები კაპიტალისტური წყობილების დამხობის გზით, დარაზმეთ კომპარტიების ირგვლივ!

წინ, კომუნისტური რევოლუციისაკენ! ჩვენ თქვენთან ვართ ამ ბრძოლაში!

მშრომელო ქალებო! თქვენი დები ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში ესალმებიან უდიდეს მონაპოვარს, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ მოგანიჭათ. თქვენ დააღწიეთ თავი მონურ მდგომარეობას და ჩაებით ფართო საზოგადოებრივ, შემოქმედებით მუშაობაში, მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ ბევრი მტრები გყავსთ. ეს მტრებია კულაკები, ნეპმანები, ძველი რელიგიური ჩვეულება, ცრუმორწმუნეობა, მღვდლების და მოლების სიცრუე და სიყალბე, რომლებისათვისაც სასარგებლოა თქვენი დამონავება და ყვლეფა.

ძნელია ამ მტრებთან ბრძოლა, მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ თქვენი მისწრაფება თავისუფლებისაკენ უფრო ძლიერია, ვიდრე პროლეტარული დიქტატურის მტრული ძალების ყველა ცდა.

ჩვენ მტკიცედ გვწამს გამარჯვება.

8 მარტის დღეს ყველა მშრომელები ესალმებიან იმ გაბედულ და ძლიერ ნებისყოფის ქალებს, რომლებმაც უკუაგდეს ჩადრი—მონობის და ჩაგვრის სიმბოლო, თამამად და გაბედულად გააჩაღეს ბრძოლა ყოფა-ცხოვრების ცრუმორწმუნეობასთან და საუკუნოებრივი მონობის ნაშთებთან.

მუშა-ქალებო, გლეხ-ქალებო და ყველა მშრომელო-ქალო, ეცადეთ ასწიოთ თქვენი პოლიტიკური დონე, მოსპეთ წერა-კითხვის უცოდინარობა, გახდით სოციალისტური სამშობლოს შეგნებული მშენებელი. განამტკიცეთ საბჭოები—პროლეტარიატის დიქტატურის დასაყრდენი, შედით კოოპერაციაში, გაამრავლეთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეთა რიგები. დაირაზმეთ კომპარტიის ირგვლივ ქალაქისა და სოფლის კულაკურ-კაპიტალისტურ ელემენტებთან საბრძოლველად.

მუშა-ქალებო, განამტკიცეთ ქალაქისა და სოფლის კავშირი. გლეხ-ქალებო, თამამად და ენერგიულად შეუდექით კოლმეურნეობათა, არტელების და კომუნების მოწყობას, გააფართოვეთ ნათესების სივრცე, გაადიდეთ მოსავლიანობა.

მზად იყავით წითელ არმიასთან და მუშებთან და გლეხებთან ერთად დაიცვათ მსოფლიოში პირველი საბჭოთა რესპუბლიკა.

გაუმარჯოს სოციალისტურ მშენებლობას ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით!

მჭიდროდ დაირაზმეთ მსოფლიო რევოლუციის შტაბის—კომინტერნის დროშის ქვეშ!

წინ, სოციალიზმისაკენ!

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგა-დოების „სამდღიური“-ს მოწყობის შესახებ

დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოების იდეებისა და მიზნების პოპულიარიზაციისათვის და მისი მატერიალური სახსრის გაძლიერებისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს მოაწყოს სსრ ტერიტორიაზე „სამდღიური“—8, 9 და 10 მარტს—შემდეგ საფუძველზე:

2. ზემოაღნიშნული სამი დღის (8, 9 და 10 მარტს) განმავლობაში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ნება დართული აქვს:

ა) მოაწყოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები დედათა და ბავშვთა დაცვის მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები, კინო-თეატრების სადგომები და რადიო-გადაცემა;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) შეაგროვოს ყულაბებით ნებაყოფლობათი გამოსაღები ქუჩებში,

3. შემოღებულ იქნეს იმავე სამი დღის განმავლობაში სპეციალური დაბეგვრა სახით დედათა და ბავშვთა დაცვის სასარგებლოდ;

ა) სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობ-სანახაობის (თეატრი, კინო, ცირკი, დოღი და სხვა) ბილეთებზე—ამ ბილეთების ღირებულების 10 პროცენტის რაოდენობით (იმ გამოსაღების გარეშე, რაც დაწესებულია საკავშირო კანონმდებლობის წესით);

ბ) სპეციალური გამოსაღები ყველა რესტორანისა, სასადილო და სასტუმროს ბრუნვაზე—მათი სამი დღის საშუალო ბრუნვის 10 პროცენტის რაოდენობით;

გ) სპეციალური გამოსაღები აბანოებში (ცალკე ნომრების სარგებლობისათვის—არსებული ნიხრით დაწესებული ამ ნომრების ღირებულების 10 პროცენტის რაოდენობით.

4. ამ დღის განმავლობაში შეგროვილი სახსრის ოთხმოცი პროცენტი გადაეცეს დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოების ადგილობრივ ქვე-განყოფილებათ, ხოლო ოცი პროცენტი—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილება უფრო სუსტ ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის დახმარების გასაწევად.

5. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი განსაკუთრებული რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით, რომელიც მოეწყობა სამდღიურის ჩასატარებლად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ი. ვარძიელი.

1929 წლ. მარტის 6.
თბილისი-სასახლე.

რემედასის მოწოდება

მოსკოვი, 7 მარტი. ქალთა საერთაშორისო დღის რემედასის აღმასკომმა მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის მშრომელ ქალებს.

მოწოდება აღნიშნავს, რომ 8 მარტს მრავალი მილიონი მუშა და გლეხი ქალი უნდა გამოვიდეს მსოფლიო ბურჟუაზიის იმპერიალისტურ ზრახვების, კაპიტალისტური რაციონალიზაციის, ფაშიზმის, თეთრი ტერორისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით (ადს).

მილიციელი ქალი

ანა შარაზადიშვილი

მშრომელი ქალი კოოპერაციაში

თბილისის მუშკოოპმა მეორე წელია, რაც მოჰკიდა ხელი ქალთა შორის მუშაობას. 1928 წელში მუშკოოპში ირიცხებოდა წევრად—11.164 ქალი, რაც შეადგენდა წევრთა მთელ მასის 25,6 პროცენტს. სპეციალური ქალთა წრეები იყო შვიდი. წრეებში ჩაბმული იყო 180 ქალი. 1928-29 წელში ქალთა რიცხვი ამ წრეებში გაიზარდა 280-დე.

მუშკოოპის რწმუნებული ქალების რიცხვი უდრის 68-ს; სადუქნო კომისიებში ირიცხება 239 ქალი, თვით აპარატში მუშაობს 275 ქალი, რაც თანამშრომლების საერთო რიცხვის 12,3 პროცენტს შეადგენს.

დაწინაურებულ ქალთა რიცხვი მუშკოოპში უდრის 65-ს. 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით დაწინაურებული იქნება კიდევ შვიდი ქალი.

ქალთა ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით გახსნილია საბავშვო ბაღი, სადაც ირიცხება 52 ბავშვი. 8 მარტისათვის განზრახულია გაიხსნას კიდევ მეორე საბავშვო ბაღი.

გახსნილია სპეციალური მაღაზია „დედა და ბავშვი“, სადაც მხოლოდ ქალები მუშაობენ.

განზრახულია სამრეცხველოს და სამკერვალოს გახსნა.

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე

რით იქნება აღნიშნული რვა მარტი

მშრომელ ქალთა საქმეების სასწრაფოდ გარჩევა

იუსტიციის სახალხო კომისარიატმა დაავალა სასამართლოებს ცალკე გამოჰყონ ყველა ის საქმეები, სადაც მაძიებლათ ან დაზარალებულის სახით გამოდიან მშრომელი ქალები და ყველა ასეთი საქმეების გარჩევა დაამთავრონ 20 მარტამდე. პირველ რიგში სასამართლოებმა უნდა გაარჩიონ შრომის ხელფასის, ალიმენტების და სხვა მსგავსი საქმეები.

გამომძიებლებს დაევალა 2 კვირის განმავლობაში დაამთავრონ გამოძიება ყველა იმ საქმეების შესახებ, რომლებიც შეეხება მშრომელ ქალებს. დამცველთა კოლეგიებს, საკონსულტაციო კამერებს და რწმუნებულებს დაევალოს გაუწიონ უფასო იურიდიული დახმარება მშრომელ ქალებს 20 მარტამდე.

გარდა ამისა, იუსტიციის კომისარიატმა დაადგინა—გაანთავისუფლოს სოციალური დასჯის სასჯელისაგან ყველა მუშა და გლეხი-ქალები, რომელთაც 1929 წ. 8 მარტამდის ჰქონდათ მისჯილი სასჯელი მცირე დანაშაულისათვის.

სამომხმარებლო კოოპერაციის ღონისძიებები

სამომხმარებლო კოოპერაციას დავალებული აქვს 8 მარტის აღსანიშნავად სამომხმარებლო კოოპერატივების წევრად ჩარიცხოს 11. 985 ქალი.

კულტურულად ჩამორჩენილ და ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში გაიხსნება ქალთა შორის წერა-კითხ. უცოდინარობის ლიკვიდაციის 18 სკოლა 450 ქალისათვის. მარტო აჭარაში გაიხსნება 5 სკოლა.

ქუთაისის, ბათომის და ახალციხის სამომხმარებლო კოოპერატივებს დავალებული აქვთ გახსნან საბავშო ბაღები 90 ბავშვისათვის. ცეკავშირის ინიციატივით გაიხსნება 6 კოოპერატიული სპეციალური სავაჭრო მაღაზია, სადაც მომუშავეებათ მიღებული იქნებიან მხოლოდ ქალები.

სამეურნეო დახმარება მშრომელ ქალებს

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით, ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად უფასოდ იქნება გაცემული: აბრეშუმის თესლი, თუთის ხის ნერგები—30.000 ძირი, ბოსტნეულის თესლეულობა—4 კილოგრამი, მანდარინის ნერგები—200 ძირი, დამყნილი ვაზები—200 ძირი და ხეხილის ნერგები—100 ძირი.

გარდა ამისა მოეწყობა მებოსტნეობის კურსები გორში, ქუთაისში, ოზურგეთში, ზუგდიდში, და ახალციხეში. კურსებზე მიღების დროს უპირატესობა მიეცემა ქალთა არტელების წევრებს.

ბრძოლა ქალთა უმუშევრობასთან

შრომის კომისარიატს დაევალა მიიღოს განსაკუთრებული ზომები ქალთა შორის უმუშევრობის შესანელებლად. ამ მიზნით საჭიროთაა ცნობილი, რომ უმუშევართა საერთო რაოდენობიდან ნაცვლად 20 პროცენტისა სამუშაოზე გაიგზავნოს 30 პროცენტი.

თბილისის მაუდის ფაბრიკისათვის მოსამზადებელ მუშებიდან (სულ მომზადებული იქნება 250 მუშა) 135 ქალი უნდა იყოს.

დღეს

— ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბთან გაიხსნება ქალთა სატრიკოტაჟო არტელი, რომელშიაც ჩარიცხული იქნება 15 თურქი ქალი.

— თბილისში არსებულ არტელებში ჩარიცხული იქნება 40 ღარიბი და უმუშევარი ქალი.

— შინამრეწველთა-კოოპერატიული კავშირის კლუბთან გაიხსნება ხელსაქმობის არტელი 15 ქალისათვის.

—მოშკოვი გახსნის ერთ ახალ სამრეცხაო სახელოსნოს, სადაც სამუშაოდ მიღებული იქნებიან უმუშევარი ქალები.

— ცაკ-თან არსებული ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია მუდმივ სამუშაოზე რიგს გარეშ გაგზავნის 15 ქალს.

დედებისა და ბავშვთა დაცვა

ბავშთა ბაგა როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანასთან

ინსტრუქცია

იუსტიციის სახალხო კომისარიატისა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1929 წლ. თებერვლის 27-ის დადგენილების—„იმ ქალთა ხვედრის შემსუბუქების შესახებ, რომელთაც დანაშაული ჩაუდენიათ 1929 წლ. მარტის რვამდე“—ცხოვრებაში გასატარებლად

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1929 წლ. თებერვლის 27-ის დადგენილების შესასრულებლად, იუსტიციის სახალხო კომისარი წინადადებას იძლევა სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად მიღებულ იქნეს შემდეგი:

1. ყველა საპატიმრო ადგილის უფროსმა დაუყოვნებლივ განთავისუფლოს ქალები, რომელთაც თავისუფლება აღკვეთათ სასამართლოს განაჩენით ან სასამართლო ფუნქციებით აღჭურვილ ორგანოთა დადგენილებით ისეთი დანაშაულისათვის, რისთვისაც სისხლის სამ. კოდექსით დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე. ეს მუხლი არ გავრცელდება სისხ. სამ. კოდექსის 58^{16} მუხ. 2 ნაწილით, 58^{18} მუხ. პირველი ნაწილით, 58^{23}, 149 და 166 მუხ. გათვალისწინებულ დანაშაულებსა და აგრეთვე იმ დანაშაულთა დებულების მე-2 მუხ. გათვალისწინებულ ქმედობაზე, რომლებიც საგვარეულო ყოფა-ცხოვრების ნაშთს წარმოადგენენ.

იმ ქალთა სია, რომელთაც ზემოთაღნიშნული დადგენილება შეეფარდებათ, სათანადო ცნობებით (რა დანაშაულისათვის დაედო მსჯავრი, რა დროიდან იხდის თავისუფლების აღკვეთის ვადას, როდის თავდება ეს ვადა) დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს პროკურატურის ორგანოებს.

2. დაუყოვნებლივი განთავისუფლება იძულებითი მუშაობისაგან ისეთ საქმეებზე, რაც ამა ინსტრუქციის 1-ლ მუხლშია აღნიშნული, ეკისრება შინაგან საქ. სახ. კომისარიატის სათანადო ორგანოთ.

3. ადმინისტრატიული წესით გადაწყვეტილი გადახდევინება,—თავისუფლების აღკვეთა ან იძულებით მუშაობა—ისეთი დანაშაულისათვის, რაც ქალს 1929 წლ. მარტის რვამდე ჩაუდენია, დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას, ქალი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს გადაწყვეტილი გადახდევინების მოხდისაგან იმ საპატიმრო ადგილის, თუ დაწესებულების უფროსისა ან გამგის განკარგულებით, სადაც აღნიშნული ქალი გადახდევინებას იხდის და ეს უნდა ეცნობოს სათანადო (გადახდევინების გადამწყვეტ) ადმინისტრატიულ ორგანოს.

4. თუ იგივე დანაშაულისათვის (1-ლი მუხ.) სასამართლოს განაჩენით დადებული ჯარიმა, აგრეთვე ჯარიმა, დადებული ადმინისტრატიული წესით (იმ ნაწილის გარდა, რაც უნდა მოხმარდეს ხაზინაში შეუტანელი შემოსავლის ან სხვა ზარალის ანაზღაურებას), ჯერ გადახდევინებული არ არის, მას სათანადო ორგანო მექანიკურად აღარ გადაახდევინებს, ხოლო თვით საქმე გადახდევინების შესახებ მოისპობა და ეს უნდა ეცნობოს სათანადო სასამართლოს ან ადმინისტრატიულ ორგანოს.

უკვე გადახდევინებული ჯარიმის უკან დაბრუნება არ შეიძლება.

5. საქართველოს ცაკის დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საქმეები, თუ ისინი მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების სტადიაშია, მოისპობა სათანადო პროკურორის დადგენილებით, ხოლო თუ სასამართლოს წარმოებაშია, მაგრამ ჯერ განხილული არ არის ან და თუმცა განხილულია, მაგრამ მათზე გამოტანილი განაჩენი ჯერ სისრულეში არ არის მოყვანილი, მოისპობა იმ სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომის დადგენილებით, რომლის წარმოებაშიც ეს საქმეებია.

შენიშვნა: ამა მუხლში აღნიშნული საქმე, თუ იგი დაკავშირებულია სამოქალაქო სარჩელთან, სისხლის სამართლის წესით მოსპობის შემდეგ, უნდა წარიმართოს სათანადო სასამართლოში სამოქალაქო სამართლის წესისამებრ გადასაწყვეტად.

6. ადმინისტრატიული წესით აღძრული საქმე ისეთი დანაშაულის შესახებ, რაც ქალს ამა წლის მარტის რვამდე ჩაუდენია, თუ იგი ჯერ განხილული არ არის, ან წარმართული არ არის შესასრულებლად, უნდა მოისპოს სათანადო ადმინისტრატიული ორგანოს დადგენილებით.

7. საქართველოს ცაკის დადგენილების 4 და 5 მუხლში აღნიშნულ „მშრომელთა წრეს“ ეკუთვნის ის ქალი, რომელიც მსჯავრის დადების ან დანაშაულის ჩადენის დროს, კონსტიტუციის ძალით, სარგებლობდა საარჩევნო უფლებით.

8. საქართველოს ცაკის 1929 წლ. თებერვლის 27-ის დადგენილება ცხოვრებაში გატარებულ უნდა იქნეს ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა ინსტრუქციის გამოქვეყნებისა ან ადგილებზე მიღებისა, ამასთან ცნობებს იმ პირთა შესახებ, რომელთაც აღნიშნული დადგენილება შეეფარდებათ, სათანადო ორგანოები წარმოუდგენენ იუსტიციის სახალხო კომისარიატის პროკურატურის განყოფილებას.

იუსტიციის სახალხო კომისარისა და რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე

ი. ტალახაძე.

1929 წ. მარტის 7
თბილისი.

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა

15 მარტს გაიხსნება ბაქოს მეშვიდე ბაზრობა. ბაზრობის გახსნასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის თ. აღმასრ. ა.-კავკასიაში ამხ. აპრესოვმა შემდეგი განაცხადა:

ბაქოს მე-7 ბაზრობა, 15 მარტს გაიხსნება. არსებით გავლენას მოახდენს სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობის შემდგომ განვითარებაზე. ჩვენი ვაჭრობა სპარსეთთან წლითი-წლობით იზრდება. წარსული წლის ცნობებით, საბჭოთა კავშირმა სპარსეთიდან ექსპორტის მხრივ პირველი ადგილი დაიჭირა, ხოლო იმპორტის მხრივ—მეორე ადგილი. საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის სამეურნეო ორგანიზმების სხვადასხვა სტრუქტურის მიუხედავად საქმით დავამტკიცეთ, რომ სავსებით შესაძლოა ამ ორი ქვეყნის მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობა.

ჩვენმა მთავრობამ სპარსეთთან ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერების მიზნით შეამსუბუქა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სისტემა და სხვადასხვა შეღავათი მისცა სპარსელ ვაჭრებს.

საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა წელს გახსნას ბაქოს ბაზრობა და შეღავათები მისცეს ბაზრობის მონაწილეებს. ბაზრობის გახსნას ბაქოში, რომელიც მთავარ პუნქტს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ვაჭრობისა სპარსეთთან, არსებითი მნიშვნელობა აქვს. ბაქოს გზით გადის სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ბრუნვის 80 პროც.-მდე. ბაქოში შექმნილია ისეთი პირობები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ იმედი ვიქონიოთ, რომ ბაქოს ბაზრობა უფრო მეტად განავითარებს საქონლის ბრუნვას და ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის შემდგომ ეკონომიურ დაახლოვებას სპარსეთთან.

არსებული ცნობებით, სპარსეთის სავაჭრო წრეები დიდ ინტერესს იჩენენ მოწვეული ბაზრობისადმი და უნდა ვიფიქროთ, რომ ბაზრობა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში ჩააბამს საშუალო, წვრილი და მსხვილი ვაჭრობის ახალ ფენებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ თვითონ სპარსეთი დაინტერესებულია გააფართოვოს ვაჭრობა იმ ქვეყნებთან, რომლებიც მის საქონელს ხმარობენ, და არა იმ ქვეყნებთან, რომლებსაც შეაქვთ მხოლოდ თავიანთი საქონელი და გააქვთ ვალიუტა. ამიტომ შეეცდება უფრო განამტკიცოს და გააძლიეროს ეკონომიური კავშირი საბჭოთა ქვეყანასთან. (ადს).

შემნახველ სალაროების ერთთვიური

როგორ მიმდინარეობს მუშაობა

პირველი მარტიდან მთელს საქართველოში დაიწყო შემნახველ სალაროების ერთ-თვიური.

საქართველოს ცენტრალურ შემნახველ სალაროში მიღებული წინასწარი ცნობებით, მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე ყველგან დამთავრებულია. სახელმწიფო სესხების რეალიზაციის ხელშემწყობი კომისიები დიდ აქტივობას იჩენენ ერთ-თვიურის ჩატარებაში.

თბილისის წარმოება-დაწესებულებებში კამპანიასთან დაკავშირებით ტარდება მოხსენებები და საღამოები

კრებებზე მუშა-მოსამსახურეები დიდ ინტერესს იჩენენ შემნახველ სალაროებისადმი. ტყავის ქარხანაში გამოიტანეს დადგენილება, რომ არც ერთი მშრომელი არ დარჩეს შემნახველ სალაროს გარეშე და მოითხოვენ დაწესებულებებთან და წარმოებებთან ახალ სალაროების გახსნას. ახალი სალარო უკვე გახსნილია ცენტრალურ გლეხსახლთან და იხსნება „ზაკგოსტორგ“-თან.

იზრდება ახალ მეანაბრეთა რიცხვი. განსაკუთრებით საგრძნობლად იზრდება მიზნობრივი ანაბრების შეტანა სალაროებში.

ადგილებიდან მოდის მოთხოვნილებები ფულის შესანახ ყულაბებზე. საქართველოსათვის გამოყოფილია 9.400 ყულაბა, რომლებიც ახლო მომავალში დაიგზავნება ადგილებზე.

ერთ-თვიურთან დაკავშირებით, საქართველოს ცენტრალური შემნახველი სალარო და მისი განყოფილებები თბილისში ოპერაციებს აწარმოებენ დილის 9 საათიდან—საღამოს 8 ნახევარ საათამდე.

შემნახველ სალაროების თანამშრომელთა კრება

გუშინ, საქ. ცენტრალურ შემნახველ სალაროსთან შესდგა თბილისის ყველა შემნახველ სალაროების თანამშრომელთა საერთო კრება.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელი ამხ. ყაზაროვი, რომელიც შეეხო შემნახველ სალაროების თანამშრომელთა მუშაობას.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა სალაროებას კლიენტებისადმი თავაზიან მოპყრობის დიდ მნიშვნელობას.

კრებამ ამხ. ყაზაროვის მოხსენება მიიღო ცნობად და სახელმძღვანელოდ.

პარტიაში

პარტია არ დაუშვებს ბოლშევიკური დისციპლინის დარღვევას

მემარჯვენე გადახრა შესდგა განვითარების ახალ საფეხურზე: მას ემჩნევა ფრაქციად ჩამოყალიბების ტენდენცია.— მემარჯვენეები ცდილობენ პარტიის ცალკე ხელმძღვანელებზე თავდასხმით მიჩქმალონ პრინციპიალური საკითხები.—სასტიკი ბრძოლა ლენინურ დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ— ასეთია პარტიული მასების ურყევი ნება.

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობა

ბაქო, 6 მარტი. 6 მარტს საღამოთი თურქული კულტურის სახლში გაიხსნა აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის მეცხრე ყრილობა.

ამხ. კარაევის სიტყვა

ყრილობა გახსნა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანმა ამხ. კარაევმა, რომელმაც თავის სიტყვაში, აღნიშნა, რომ აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) მერვე ყრილობის შემდეგ აზერბეიჯანის მუშათა კლასმა სოციალისტური მშენებლობის დარგში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

„აზერბეიჯანი,—განაცხადა ორატორმა,—აღმოსავლეთში არის პირველი ქვეყანა, რომელიც მიმდინარე წელს სავსებით გადავიდა ახალ ანბანზე. და რომელმაც ეხლა წამოაყენა საკითხი ქალის საბოლოოდ განთავისუფლების შესახებ“.

შემდეგ ამხ. კარაევი შეეხო მშენებლობის სიძნელეებს და აღნიშნა, რომ ეს სიძნელენი ჩვენი პარტიის ცალკე უმნიშვნელო ფენებში და მშრომელი მასის ჩამორჩენილ ნაწილში იწვევს მერყეობას და ქანაობას.

„თავის მერვე ყრილობაზე,—ამბობს ამხ. კარაევი,—აზერბეიჯანის კომპარტიამ (ბ) გადამწყვეტი პასუხი გასცა ტროცკისტული ოპოზიციის წვრილ-ბურჟუაზიულ ტენდენციებს. მეცხრე ყრილობისათვის ჩვენ პარტიაში გვაქვს ახალი გადახრა—მემარჯვენე გადახრა და მასთან შემარიგებლობა. ამ მერყეობას და ქანაობას პარტიის შიგნით უკვე სათანადო პასუხი გასცა მთელმა საკავშირო კომპარტიამ (ბ), კერძოდ, ერთ-ერთმა მისმა რაზმმა—აზერბეიჯანის კომპარტიამ (ბ). ჩვენმა პარტიამ მტკიცედ და გადაჭრით აიღო კურსი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ და ჩვენი სოფლის სოციალისტური გარდაქმნისაკენ. ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად მუშათა კლასის ავანგარდმა—კომუნისტურმა პარტიამ მჭიდროთ უნდა დარაზმოს თავის გარშემო მუშურ-გლეხური უფართოესი მასები“.

„ჩვენი ყრილობა, ამხანაგებო,—ამბობს დასასრულ ამხ. კარაევი,—იხსნება იმ დროს, როცა მოახლოვებულია საბჭოთა აზერბეიჯანის 9 წლის თავი. ჩვენ ჯამი უნდა გავუკეთოთ მთელ ჩვენს მუშაობას ამ პერიოდში, უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი დეფექტები და მივსცეთ ჩვენს პარტიას გენერალური ხაზი სოციალიზმის მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის“. (მქუხარე ტაში).

პრეზიდიუმის არჩევა

ამხ. კარაევის სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა ყრილობის პრეზიდიუმი, სამდივნო და სამანდატო და სარედაქციო კომისიები და დამტკიცებულ იქნა ყრილობის მუშაობის რეგლამენტი.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. სტალინი, ვოროშილოვი, რიკოვი; რუძუტაკი; ორჯონიკიძე; კუიბიშევი; მოლოტოვი; კალინინი; ტომსკი, ბუხარინი, მიქოიანი; კიროვი, ორახელაშვილი, კრუპსკაია; და კლარა ცეტკინი.

შემდეგ საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. რუბენი, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

ამხ. რუბენის სიტყვა

„ამხანაგებო, ჩვენი პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა დამავალა გადმოგცე სალამი თქვენს ყრილობას. (ტაში).

თქვენი ყრილობა, ამხანაგებო, იმუშავებს იმ მომენტში, როცა პარტია და ქვეყანა მთელ რიგ სერიოზულ სამეურნეო დაბრკოლებებს განიცდის, როცა ჩვენს წინაშე არის კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ფაქტი, როცა ადგილი აქვს შინაპარტიულ მდგომარეობის ერთგვარ გამწვავებას. ყველაფერი ეს მხედველობაში უნდა მიიღოს ყრილობამ მუშაობის დროს.

თავის თავად ცხადია, რომ ჩვენი განვითარების ეტაპი, რომელიც გათვალისწინებულია მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებში, შეიცავს საკმაოდ ბევრ სიძნელეს. ჩვენ უკვე განვიცდით სამეურნეო დაბრკოლებებს. ეს სიძნელეები ჰქმნიან ერთგვარ მერყეობას ჩვენს საკუთარ რიგებში, ჰქმნიან მერყეობას და ეჭვის ელემენტებს. სწორედ ამიტომ თქვენს ყრილობას, პირველ ყოვლისა, საფუძვლად უნდა დაედოს გადამწყვეტი, მედგარი და თანმიმდევრობითი ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც პანიკას ეძლევა არსებულ სიძნელეების წინაშე, იმათ წინააღმდეგ, ვინც თავის ოპორტუნიზმს ნიღაბით ფარავს.

დღეს გადავედით მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის ახალ ფაზისში. თუ ამ ცოტა ხნის წინად ჩვენ ვამბობდით, რომ მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ საჭიროა იდეოლოგიური ბრძოლა, ვამბობდით ამას იმიტომ, რომ იმ დროს ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონდა ფრაქციული ბრძოლის ფაქტები, სამაგიეროდ დღეს ჩვენ საქმე გვაქვს მემარჯვენე გადახრის ჯგუფური ჩამოყალიბების ფაქტთან, ისეთ ფაქტთან, როცა მემარჯვენე გადახრა იწყებს ჩამოყალიბებას იმისთვის, რომ ლახვარი ჩასცეს ჩვენს პარტიას.

მთელს საბჭოთა კავშირში ყველა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ, კერძოდ, აზერბეიჯანის კომპარტიამ, უკვე გამოსთქვა თავისი თვალსაზრისი მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ყრილობამ გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღოს ამ გადახრის წინააღმდეგ, უნდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ ხშირად მემარჯვენე გადახრის წარმომადგენლები ცდილობენ—პრინციპიალური საკითხები მიჩქმალონ ცეკას ცალკე წევრებზე თავდასხმით. მე ვფიქრობ, რომ ამიერ-კავკასიის ყველა ორგანიზაცია, მთელი ჩვენი პარტია საკადრის პასუხს გასცემს მათ, ვინც ცდილობს თავისი ოპორტუნიზმი და მემარჯვენე უკლონიზმი დაფაროს ლენინის საუკეთესო მოწაფის ამხ. სტალინის წინააღმდეგ პირადი გალაშქრებით“ (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

აქ ჩემს ამოცანას არ შეადგენს დავახასიათო თქვენს წინაშე შინაპარტიული მდგომარეობა. მე ვიმეორებ მხოლოდ, რომ თქვენი ყრილობის მთავარ ლოზუნგს შეადგენს—მიმართეთ ცეცხლი მარჯვნივ, ვინაიდან აქ არის დღეს მთავარი საფრთხე. მაგრამ ეს სრულიადაც არ უარყოფს იმას, რომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ტროცკისტებისა და ტროცკისტული ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ მოიპოვებიან ჩვენი პარტიის რიგებში. ჩვენი პრინციპიალური დამოკიდებულება ტროცკისტებთან შეიცვალა, ვინაიდან ეს ელემენტები ფაქტიურად დაადგნენ მენშევიკურ კონტრ-რევოლიუციონურ გზას.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ჩვენ ამოცანას შეადგენს აგრეთვე—ყრილობა ჩატარდეს ნაციონალ-შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნის ქვეშ. თუ თქვენ გახსოვთ, ლენინმა გვიანდერძა ისეთი რესპუბლიკის შექმნა ამიერ-კავკასიაში, რომელმაც ეროვნული მშვიდობიანობის მაგალითი უნდა მოგვცეს. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ილიჩის ანდერძიდან მთავარი უკვე შევასრულეთ. თქვენ უნდა გახსოვდეთ რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის საქმეში, პიონერი იყო ბაქოს პროლეტარიატი და როცა დღეს ვამბობთ, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციამ სავსებით და მთლიანად გაამართლა თავისი არსებობა, რომ ბაქოს პროლეტარიატს სამართლიანად ეკუთვნის ხელმძღვანელი როლი ამიერ-კავკასიაში, ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ბაქოს პროლეტარიატმა პრაქტიკულად უნდა დასვას საკითხი ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის მტკიცე ეკონომიური ბაზისის შექმნის შესახებ, მე ვფიქრობ რომ თქვენი ყრილობა გამოსთქვამს თავის აზრს ამ საკითხზე.

შემდეგ, ყრილობამ გადაჭრით უნდა გამოსთქვას ის აზრი, რომ პარტიის მომავალი წმენდა რომელმაც პარტიის რიგები უნდა გასწმინდოს ყველა მიტმასნილი, მავნე და უვარგისი ელემენტებისაგან, ჩატარებულ იქნას ჩვენი საუკეთესო პროლეტარების ხელმძღვანელობით, ყრილობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე ჩვენი აპარატის გაწმენდას. თავისთავად ცხადია, რომ თვითკრიტიკის ელემენტების გაძლიერება ჩვენს მუშაობაში, შინაპარტიული დემოკრატიის გაშლა, პროლეტარიატის საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია, მასიური მუშაობის გაძლიერება,—ყველაფერი ეს აუცილებელია წარმატებით წინსვლისათვის. დაე, ზოგიერთებმა დაინახონ ჩვენი განვითარების მარტო უარყოფითი მხარეები. ჩვენ რიგებში არის ხალხი, რომელიც დაშინებულია იმით, რომ პარტიას და ქვეყანას ელობებიან სიძნელენი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ პარტია და მუშათა კლასი შესძლებენ ამ სიძნელეების გადალახვას და ძლევამოსილი ნაბიჯით წასვლას წინ“. (ტაში).

—:—

ამხ. რუბენის სიტყვის შემდეგ, ყრილობას მიესალმენ პროლეტარული სტუდენტობის წარმომადგენელნი.

ყრილობამ დაადგინა—მისალმება გაუგზავნოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, კომინტერნს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტს და სერგო ორჯონიკიძეს.

მისალმებათა ტექსტის მიღების შემდეგ აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. კარაევი, მოხსენება დამთავრდება 7 მარტის დილის სხდომაზე. (ადს).

მისალმება საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას

მისალმება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მისასალმებელ დეპეშაში, რომელიც გაუგზავნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, ყრილობა გამოსთქვამს ღრმას რწმენას, რომ მთელი პარტია, მჭიდროთ გაერთიანებული ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ, გადალახავს ყველა სიძნელეს, რომელიც გამომდინარეობს სოციალისტური მშენებლობის ზრდიდან და გასწევს წინ ლენინის სახელოვანი გზით.

„აზერბეიჯანის კომუნისტები,—ნათქვამია დეპეშაში,—მთელ პარტიასთან ერთად გადაჭრით გმობენ მემარჯვენე უკლონისტების ცდას—მიჩქმალონ კლასობრივი ბრძოლა სოფლად და შეანელონ ინდუსტრიალიზაციის ტემპი, და უკუაგდებენ აშკარა ოპორტუნისტულ და ყალბ თეორიას კულაკის მშვიდობიანი შეზრდის შესახებ სოციალიზმში და ცილისმწამებელ ბრალდებებს პარტიისა და პარტხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ჩვენ შევამჭიდროვებთ ჩვენ რიგებს, განვამტკიცებთ ჩვენი პარტიის ფოლადისებურ მთლიანობას და გავსწევთ წინ ლენინის გზით სოციალიზმისაკენ“ (ადს).

მისალმება ამხ. ს. ორჯონიკიძეს

ძვირფასო სერგო!

აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის მეცხრე ყრილობა გიგზავნის შენ ძვირფასო ამხანაგო, მხურვალე სალამს და სიხარულს გამოსთქვამს შენი გამომრთელების გამო, ყრილობა დარწმუნებულია, რომ ავადმყოფობა არ მოახდენს გავლენას შენი ბოლშევიკური ნებისყოფისა და სულის სიმტკიცეზე და შენ, ისე როგორც წინად, მედგრად იბრძოლებ ლენინიზმის პრინციპებისა და საფუძვლების სიწმინდის დასაცავად. სიძნელეებმა, რომლებიც აუცილებელია სოციალისტური მშენებლობის დროს, ჩვენი პარტიის ზოგიერთ უმნიშვნელო ფენებში გამოიწვია მერყეობა და სწორი ლენინური ხაზიდან გადახვევა. ყრილობა გიცხადებს შენ, რომ აზერბეიჯანის კომუნისტური პარტია, აზერბეიჯანის მშრომელი მასების წინაშე პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, ლენინიზმის ძველი მებრძოლი დროშის ქვეშ ენერგიულად და დაუნდობლად იბრძოლებს ყველა იმ გადახრების წინააღმდეგ, რომლებიც ისახავენ ერთად ერთ მიზანს—პარტიისა და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის აცდენას სწორი ლენინური გზიდან“. (ადს).

პარტგანათლება და გადახრებთან ბრძოლა

ტროცკისტული მენშევიკური ოპოზიციის ნაშთების წინააღმდეგ პარტიისა და ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები რასაკვირველია აუცილებელია, მაგრამ ის საკმარისი არ არის. ამ ანტილენინური მიმდინარეობის დასამარცხებლად, ამ ღონისძიებებთან ერთად, როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე“ მენშევიკურ ოპოზიციას უნდა დაუპირდაპირდეს მთელი პარტიული და კომკავშირული მასების ბოლშევიკური იდეოლოგიური სიმტკიცე, მისი პოლიტიკური მომზადება ეს უკანასკნელი კი, აშკარად უნდა ვაღიაროთ, ზოგჯერ ძლიერ მოისუსტებს. ხშირია შემთხვევა, როდესაც საკმაოდ დიდი სტაჟის მქონე კომუნისტი, რიხიანად ლაპარაკობს—მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრის შესახებ. ამბობს, რომ ეს გადახრები მავნებელია პარტიისა და პროლეტარიატის დიქტატურისათვის და სხვ., მაგრამ თუ კონკრეტულად დაუსვამთ საკითხს: „რატომ ან რით არის მავნებელი ეს გადახრები“—ამაზე ის უკვე ვერ გვიპასუხებს.

ასეთი ზერელე ცოდნით კლასობრივად მოწინააღმდეგე იდეოლოგიის დამარცხება არ შეიძლება. ამიტომაც საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს პარტიული და კომკავშირული მასის პოლიტიკურ მომზადებას, მის იდეურად შეიარაღებას ანტილენინურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ. ამ მიზნით მაქსიმალურად უნდა გაძლიერდეს, როგორც ქალაქად, ისე განსაკუთრებით სოფლად, პოლსკოლების მუშაობა, რომელიც დღემდე ძლიერ მოისუსტებს. პარტგანათლების სკოლებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიის პოლიტიკის საკითხებს, ანტილენინურ მიმდინარეობათა საფუძვლიანად გარჩევას და სოციალისტური მშენებლობის პერსპექტივების ნათელ გარკვევას მსმენელთათვის. ამით პარტგანათლების ქსელი ხელს შეუწყობს გადახრებთან წარმატებით ბრძოლას და სოციალისტურ მშენებლობის გზაზე ამართულ სიძნელეთა ბოლშევიკურ დაძლევის საქმეს.

ი. აბესალაშვილი.

ქალაქის რაიონის აქტივზე

ქალაქის რაიონის პარტაქტივის კრებამ, რომელიც გუშინ შესდგა, მოისმინა ამხ. ლოლობერიძის ვრცელი მოხსენება მემარჯვენე გადახრისა და მასთან ბრძოლის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ მემარჯვენე გადახრა, რომელიც უკანასკნელ ხანებში თანდათანობით ღებულობს ორგანიზაციულ ფორმას მთავარი საფრთხეა ჩვენი პარტიის შიგნით. პარტიამ გადამჭრელი ნაბიჯი უნდა გადადგას მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ. იდეოლოგიურ ბრძოლასთან ერთად საჭიროა პარტიული ზემოქმედების ზომების გამოყენებაც მათ მიმართ, ვინც დაადგება ფრაქციულობის გზას და არ დაემორჩილება პარტიის დისციპლინას. კამათში გამოსულნი ხაზს უსვამდნენ აგრეთვე შემარიგებლობის უდიდეს მავნებლობას და მოითხოვდნენ სასტიკ ბრძოლის წარმოებას შემარიგებლების წინააღმდეგაც.

მიღებულ რეზოლიუციაში აქტივი გადაჭრით აცხადებს, რომ პარტიული მასები არ დაუშვებენ მე-15 ყრილობის დადგენილებათა რევიზიას, ისინი არ დაუშვებენ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და პარტიის ცალკე ხელმძღვანელებზე თავდასხმას მემარჯვენე ლიკვიდატორების მხრივ.

პარტიის ფოლადისებური მთლიანობისათვის

ქუთაისი, 6 მარტი. მაუდისა და თამბაქოს ფაბრიკების, სტამბის, ელექტრო-სადგურის და რკინისგზელთა უჯრედების წევრთა გაერთიანებულმა კრებამ პარტიაში არსებულ გადახრების შესახებ მოსმენილი მოხსენების გამო მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია: „გაერთიანებული კრება, აღნიშნავს რა პარტიის ზოგიერთ წევრის გადაგვარებას, იძლევა სიტყვას, რომ შეუდრეკელი ენერგიით გამოააშკარავებს ყოველგვარ მერყეობას ჩვენს ორგანიზაციაში. არც ერთი მერყევი პარტიის რიგებში! გადამჭრელი და დაუნდობელი ბრძოლა როგორც მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრების, ისე მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ! მხოლოდ სიმტკიცე და აქტიური ნებისყოფა უზრუნველყოფენ ჩვენი პარტიის მთლიანობას და სოციალიზმის წარმატებით მშენებლობას“. (ადს).

ხონი, 6 მარტი. ხონის პარტორგანიზაციის გაფართოვებული პლენუმი, კომკავშირის აქტივთან ერთად, ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და იწონებს იმ ორგანიზაციულ ზომებს, რომლებიც მიიღეს საბჭოთა ორგანოებმა ტროცკის და ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ. პლენუმი მხარს უჭერს გადამჭრელ ბრძოლას მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრისა და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ (ადს).

საქ. პროფსაბჭოს და ს.მ.უ.ს გაერთიანებული პლენუმი

მეორე დღე

გუშინ, 7 მარტის დილისა და საღამოს სხდომაზე სწარმოებდა კამათი საქართველოს მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის გარშემო.

კამათი საქართველოს მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის გარშემო

კამათში გამოსულნი ამხანაგები შეჩერდნენ უმთავრესად მრეწველობის ცალკე დარგებზე და ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ გეგმები სავსებით არ ამოსწურავენ ამა თუ იმ დარგის განვითარების შესაძლებლობას უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში.

კერძოდ, მთელმა რიგმა ორატორებმა ასეთი აზრი გამოსთქვეს სატყეო მრეწველობის, ტყავეულობის, თამბაქოს სამთამადნო, ქიმიური და სამკურნალო მრეწველობის შესახებ. ამ დარგებში, ორატორების აზრით, არ არის სისწორით გათვალისწინებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხები, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდა. სატყეო მრეწველობის დარგში შესაძლებელია არსებული ქარხნების უფრო მეტი დატვირთვა და მშენებლობის გაფართოება. ამის საშუალებას იძლევა, როგორც ხე-ტყის მარაგი, ისე შინაური და გარეშე ბაზრის ტევადობა. საკმაო არ არის მარტო ორი საკასრე ქარხნის აგება ამ ხუთ წელში, რადგან კასრებზე მოთხოვნილება იმაზე მეტად იწევა, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს. სისწორით არ არის გათვალისწინებული აგრეთვე ავეჯეულობის ქარხნების დატვირთვა, თუ მხედველობაში მივიღებთ მოთხოვნილებების ზრდას ავეჯეულობაზე. აუცილებელია ავეჯის ქარხნებში რამოდენიმე ცვლის შემოღება. ხე-ტყის ნაწარმოების თვითღირებულების შესამცირებლად ორატორებს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე უფრო მეტი ყურადღების მიქცევა საგზაო მშენებლობაზე.

თითქმის ამასვე იმეორებენ ზოგიერთი ამხანაგები თამბაქოს მრეწველობის შესახებ. მათ უსაფუძვლოდ მიაჩნიათ თამბაქოს მრეწველობის განვითარების გეგმის შეზღუდვა, რადგან თამბაქოზე მოთხოვნილება, მათი აზრით თანდათან იზრდება საბჭოთა კავშირის ბაზარზე. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ტყავის მრეწველობის განვითარებას, რისთვისაც საჭიროა გაფართოვდეს თრიმლის წარმოება და ფეხსაცმლების დამზადება. სამთო ქიმიურ მრეწველობაშიაც, ზოგიერთების აზრით, გეგმა შეკვეცილია, ზოგიერთი დარგები გეგმით ხუთი წლის დამლევს ომის წინადროინდელ დონესაც ვერ აღწევს. ასეთი მდგომარეობაა მაგალითად ქვა-ნახშირის მრეწველობაში. ხოლო ქიმიური მრეწველობა თითქმის უყურადღებოთ არის დატოვებული გეგმაში.

საერთოდ, ორატორთა ერთი ჯგუფის დასკვნით, მრეწველობის განვითარება პირველ სამ წელში მიდის აღმავალი ხაზით, ხოლო შემდეგ ორ წელში ქვევით ეშვება. ამ მდგომარეობას განიცდის პროდუქციის საერთო ღირებულების შრომის ნაყოფიერების და ხელფასის ზრდა, რაც გეგმის ნაკლად უნდა ჩაითვალოს. მთელ რიგ ორატორებს ხუთწლიანი გეგმის ნაკლად მიაჩნიათ ის გარემოება, რომ იგი არ ითვალისწინებს კულტურულ მშენებლობას და მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას. მაგალითად, გეგმაში არ არის წარმოდგენილი თუ რამდენი თანხებია გაღებული საკლუბო მშენებლობისათვის, წარმოებებში ბაგების, ამბულატორიების მოსაწყობად და სხვ. გარკვევით არ არის ნათქვამი აგრეთვე გეგმაში, თუ რა კონკრეტული ღონისძიებები იქნება მიღებული კვალიფიკაციური მუშა-ხელის და სპეციალისტების მოსამზადებლად, მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის. ამ უკანასკნელ საკითხზე პლენუმს ვრცელ განმარტებას აძლევს ამხ. ელბაქიანი რომელიც აღნიშნავს, რომ ს.მ.უ.ს. გეგმის მიერ გათვალისწინებულია 11 ათასი მუშა ხელის მომზადება, საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ინდივიდუალური საბრიგადო შეგირდობის და სპეციალური კურსების საშუალებით. ორატორი ასახელებს, თუ სახელდობრ რომელი დარგისათვის რამდენი მუშა ხელი იქნება მომზადებული. საერთოთ ეს საკითხი პლენუმის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ზოგიერთი ორატორის აზრით, განათლების სახალხო კომისარიატის ხუთწლიანი გეგმა კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების დარგში არ შეესაბამება ჩვენი მრეწველობის განვითარების გეგმას.

ბევრი მიზანშეწონილად სცნობს, რომ პროფტექნიკური განათლების საქმე გადაეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, განათლების სახალხო კომისარიატს კი დაეკისროს მეთოდიურ-პედაგოგიური ხელმძღვანელობა ასეთი ტიპის სკოლებზე. გეგმაში უნდა შევიდეს ხარჯები ჩვენი პოლიტეხნიკური ფაკულტეტების და საშუალო ტექნიკურ სასწავლებლების ლაბორატორიების, კაბინეტების მოსაწყობათ და გასაფართოვებლად და სტიპენდიანტების რიცხვის გასადიდებლად სპეციალურ დარგებზე.

ამხ. ალლაქის აზრით, აღმშენებლობის წარმოების და აგრეთვე სააღმშენებლო მასალის მიწოდების საქმე უნდა შევიდეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სისტემაში, რადგან მშენებლობის გაცემა იჯარით ან მშენებლობის სამეურნეო წესით წარმოება დღემდე სათანადო ეფექტს ვერ იძლევა. ორატორები მოითხოვენ აგრეთვე მეტი თანხები იქნეს გაღებული გეოლოგიურ კვლევა-ძიებისათვის. გეგმაში შეტანილი უნდა იქნეს აგრეთვე ელექტრო-ენერგიის შემდგომი გაიაფება, რომ მოსახლეობას ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი ფართოდ გამოყენების საშუალება მიეცეს.

ამხ. გ. ყურულაშვილის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ყურულაშვილმა აღნიშნა, რომ გეგმა არ არის საბოლოო, რომელიც მთელი ხუთი წლის განმავლობაში უცვლელად გატარდება. გამოცდილების მიხედვით ყოველწლიურად ამ ხუთწლიან გეგმაში შეტანილი იქნება აუცილებელი შესწორებები; შეიძლება ცხოვრებამ მოითხოვოს ამ გეგმის გაფართოება, ანუ უფრო შეკვეცა. საერთოდ კი გეგმას ახასიათებს ჩვენი მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის, შრომის ნაყოფიერების და ხელფასის გადიდების ტენდენცია. ამჟამად გეგმა უნდა ჩაითვალოს არა თუ შეკვეცილად, არამედ ზოგიერთ დარგებში გადაჭარბებულადაც.

ყოველი დარგის განვითარება შეთანხმებულია და შეფარდებული არა მარტო ჩვენს რესურსებთან, არამედ მეზობელ რესპუბლიკების სათანადო დარგების განვითარებასთან და ამ რესპუბლიკების ბაზრების მოთხოვნილებასთან. მაგ. ხე-ტყის მრეწველობის დარგში მოუხერხებელია იმაზე მეტი საკასრე ქარხნების აგება, ვიდრე განზრახულია, რადგან ღვინის ექსპორტი, რისთვისაც კასრები კეთდება, განსაზღვრულია და გეგმაც აგებულია იმ ანგარიშით, რომ დააკმაყოფილოს ამ ექსპორტის 85 პროცენტი, ხოლო დანარჩენს დააკმაყოფილებს კავშირის სხვა რაიონები. იგივე ითქმის თამბაქოს მრეწველობაზე, რომლის განვითარებასაც ჩვენ ვერ დაუკავშირებთ საბჭოთა კავშირის და სხვა მეზობელ სახელმწიფოების მოთხოვნილების ზრდას, რადგან თამბაქოს ქარხნები შენდება არა მარტო ჩვენში, არამედ უკრაინაში, რუსეთში, და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, აგრეთვე სპარსეთშიაც, სადაც წინად გადიოდა ჩვენი თამბაქო. ტყავის მრეწველობაში დასახული გეგმის შესრულება დიდი მიღწევა იქნება, რადგან იგი ამ დარგს მისცემს ასე თუ ისე მსხვილი მრეწველობის ხასიათს, და სავსებით ამოსწურავს ადგილობრივ ნედლეულს, რომლის სიმცირე ტყავის მრეწველობის უფრო მეტი განვითარების შესაძლებლობას ჯერ-ჯერობით არ იძლევა.

რაც შეეხება სამკერვალო მრეწველობას, ხუთი წლის განმავლობაში ამ დარგში გვექნება პროდუქციის 2.000 პროცენტით ზრდა, რაც სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ განვითარების ხუთწლიანი გეგმა შეეხება თითქმის ჩვენი მრეწველობის ყველა დარგებს. არ არის არც ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც გეგმაში არ იყოს შეტანილი, შეიძლება ასეთი დარგი იყოს, მაგრამ რამდენადაც ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრენი შესწავლილი არ არის, ჩვენთვის იგი შეუმჩნეველი რჩება.

ამიტომ ჩვენ აქტუალურად უნდა დავსვათ საკითხი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის შესწავლის შესახებ, რომ შემდეგისათვის გვექნება უფრო სწორი და სრული გეგმის შედგენის საშუალება.

რაც შეეხება ნაწარმოების თვითღირებულებას, ჩვენ მის შემცირებას გეგმით გათვალისწინებულ ნორმაზე უფრო მეტად არ უნდა მოველოდეთ, რადგან ის მუშა-ხელი, რომელიც ჩვენ მრეწველობას შემატება სოფლებიდან, ვერ მოგვცემს პირველ წლებში შრომის ისეთ ნაყოფიერებას, რომ თვითღირებულების შემცირების დარგში გაუთანასწორდეთ რუსეთს და სხვა რესპუბლიკებს, სადაც მრეწველობას დიდი ხნის ისტორია აქვს და მაშასადამე, კვალიფიციური მუშა ხელიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება.

ამხ. ყურულაშვილის სიტყვის შემდეგ, პლენუმმა რეზოლიუციის დამუშავება მიანდო პროფსაბჭოსა და ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმებს.

ამით დამთავრდა პროფსაბჭოს და ს.მ.უ.ს. გაერთიანებული პლენუმი.

პროფსაბჭოს პლენუმი შესდგება დღეს დილის 9 საათზე შრომის სასახლის ქვედა დარბაზში; ხოლო ს.მ.უ. საბჭოს პლენუმი სამეურნეო მუშაკთა კლუბში საღამოს 6 საათზე.

საქ. სახკომსაბჭოში

ღვინით მოვაჭრეთათვის სარეწაო გადასახადის ნორმის შემცირება

სახკომსაბჭომ და ეკონომ საბჭომ საჭიროდ სცნეს, რათა საქართველოში, როგორც მევენახეობის ქვეყანაში, ღვინის ვაჭრობის სარეწაო გადასახადით დაბეგვრის დაწესებული ნორმა შემცირებულ იქნეს 7,15 პროცენტიდან 6,35 პროცენტამდე, როგორც ეს შემოღებულია პურის არაყით ვაჭრობისათვის რუსეთში.

ფინსახკომს დაევალა სათანადო წესით აღძრას უმაღლეს ორგანოების წინაშე შესაფერი შუამდგომლობა.

გურჯაანის ღვინის სარდაფის აგება

სახკომსაბჭომ ნება მისცა „სოფლის კავშირს“ გამოიწეროს საზღვარგარეთიდან ღვინის სარდაფის შენობისა და მოწყობილობის ტიპიური პროექტი, რაც აუცილებელია გურჯაანის ღვინის სარდაფის ასაგებათ.

წითელი ყაზარმის დათვალიერება

წითელი ყაზარმის დამთვალიერებელ საარმიო კომისიის სხდომა

7 მარტს, ამხ. ნიმერზელის კაბინეტში შესდგა წითელი ყაზარმის დამთვალიერებელი საარმიო კომისიის სხდომა.

სხდომაზე მოსმენილ იქნა კომისიის წევრების მოხსენება დათვალიერების მიმდინარეობის შესახებ № რკინის გზის ლეგიონში და სანაპირო რაზმის ნაწილებში.

მომხსენებლების მიერ აღნიშნული იყო, რომ დათვალიერება ხსენებულ ნაწილებში ჩატარდა ფრიად დამაკმაყოფილებლად.

დათვალიერებაში ღებულობდნენ უახლოეს მონაწილეობას როგორც წითელი არმიელები და მეთაურები, ისე მუშათა ორგანიზაციები ამ უკანასკნელებმა აღმოუჩინეს დახმარება ნაწილებს ფულით და საკუთარი შრომით.

ამავე სხდომაზე ამხ. სნეგირევმა გააცნო კომისიას მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტსამმართველოს დადგენილება იმ ნაწილების დაჯილდოვების შესახებ, რომლებიც დაიჭერენ პირველ ადგილს დათვალიერებაში.

ეხმარებიან წითელ ყაზარმას

წითელი ყაზარმის დათვალიერებასთან დაკავშირებით, ტყიბულის მაღაროების მუშებმა იკისრეს მე-3-ე ლეგიონის შეფობა.

ამ რამოდენიმე დღის წინად მუშების დელეგაცია ესტუმრა ლეგიონს და მუშების სახელით გადასცა წითელ არმიელებს 700 მანეთი. ეს თანხა შეგროვებინათ მაღაროების მუშა-მოსამსახურეების.

მუშების დელეგაციამ დაათვალიერა ყაზარმა, წითელ არმიელთა საცხოვრებელი ბინები, ლენინის კუთხეები და ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

მუშები კმაყოფილნი დარჩნენ არმიელთა ყოფა-ცხოვრებით და აღუთქვეს მათ, რომ შემდეგში არ მოაკლებენ ყაზარმას თავის მზრუნველობას.

საქ. მუშგლეხკორთა თათბირისათვის

როგორ უნდა სწარმოებდეს აღრიცხვა

მუშგლეხკორთა აღრიცხვის საქმე დღემდე ისევ მოუწესრიგებელია. მართალია, ცალკე რედაქციები აწარმოებენ ერთგვარ აღრიცხვას, მაგრამ ასეთი აღრიცხვიდან შესაძლებელია გავიგოთ მხოლოდ იმ მუშკორთა რაოდენობა, რომელნიც სწერენ ნაბეჭდ გაზეთებში. რაც შეეხება კედლის გაზეთების ირგვლივ შემოკრებილ მუშა და გლეხ კორესპონდენტებს, მათი აღრიცხვის შესახებ ჯერ თითქმის არავის უფიქრია. მუშგლეხკორთა აღრიცხვის საქმე მოიკოჭლებს არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიაც, რომლის შესახებ თათბირზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში ამხ. მ. ი. ულიანოვამ.

მუშგლეხკორთა აღრიცხვის არსებული მდგომარეობით დაკმაყოფილება შეუძლებელია, საკავშირო თათბირმა ამ საკითხის მოსაწესრიგებლად გამოჰყო ცალკე სექცია, რომელმაც შეიმუშავა აღრიცხვის მოწესრიგების გეგმა. ამ გეგმის მიხედვით კედლის გაზეთების თვითეულმა სარედაქციო კოლეგიამ უნდა იქონიოს აღრიცხვისათვის ორი რვეული—ფორმა „ა“ და ფორმა „ბ“. პირველ რვეულში უნდა სწარმოებდეს კედლის გაზეთებში შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვა ხოლო მეორეში კედლის და ნაბეჭდ გაზეთების მუშგლეხკორთა აღრიცხვა.

ორი რვეულის არსებობა იმით არის აუცილებელი, რომ პირველ მათგანში აღინიშნება წერილის მიღების დრო, ავტორის ვინაობა რა საკითხზეა წერილი დაწერილი, როგორ იქნა გამოყენებული და რა შედეგი მოიტანა მან. ფორმა „ბ“ რვეულში, რომელიც დანიშნულია მუშგლეხკორთა აღრიცხვისათვის, უნდა აღინიშნოს თვე და რიცხვი, ავტორის სახელი გვარი და მამის სახელი, სად მუშაობს და რა თანამდებობაზე, წლოვანება, პარტიულობა, რა საზოგადოებრივ მუშაობას აწარმოებს, სარედაქციო კოლეგიაში თუ კოლეგიის დავალებით მუშაობს, სწერს თუ არა ნაბეჭდ გაზეთში და რომელში. ნაციონალურ რესპუბლიკებში და ოლქებში ფორმა „ა“ რვეულს უნდა დაემატოს განსაკუთრებული გრაფა, რომელშიაც აღინიშნება მუშგლეხკორის ეროვნება. სოფლის ორგანიზაციებში, ფორმა „ა“ რვეულის იმ გრაფაში, სადაც ჩაიწერება თუ ვინ დასწერა წერილი, უნდა აღინიშნოს წერილის დამწერი ღარიბი გლეხია, მოჯამაგირე, საშუალო, მუშა; მასწავლებელი, აგრონომი თუ სხვა.

მუშკორთა აღრიცხვის ფორმა „ბ“ რვეულში უნდა ჩაიწეროს არა ყველა ამხანაგი, რომელმაც წერილი მიაწოდა კედლის გაზეთს, არამედ მხოლოდ ის, ვინც ასე თუ ისე რეგულარულად სწერს კედლის გაზეთში და სისტემატიურად დაკავშირებულია კედლის გაზეთთან. აღრიცხვის საწარმოებლად არ უნდა იქნას შემოღებული არავითარი ანკეტები, ცნობების შეკრება შეიძლება მუშკორთან პირადი ნაცნობობის საშუალებით, პირდაპირი დაკითხვით, აღრიცხვის საწარმოებლად გამოყოფილმა ამხანაგმა აგრეთვე უნდა განუმარტოს თვითეულ მუშკორს. თუ რისთვის არის საჭირო აღრიცხვა, რა სარგებლობას იძლევა ის, აღრიცხვის ეს წესი იმის გარანტიას იძლევა, რომ მუშკორის ვინაობა დაცული იქნება საიდუმლოდ.

ასეთი აღრიცხვით შესაძლებელი გახდება კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებმა შეადგინონ მოხსენებები თავიანთ მუშაობის შესახებ ხელმძღვანელ რედაქციებში გასაგზავნად და ჩააბარონ თავიანთი მუშაობის ანგარიში მუშების საერთო კრებებს.

თათბირის დადგენილებით კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს ევალებათ წელიწადში ორჯერ (პირველ აპრილის და პირველ სექტემბრის რიცხვებში), გადაუგზავნონ ცენტრალურ გაზეთის იმ რედაქციას, რომელიც ხელმძღვანელობს ადგილობრივ რაიონში მუშგლეხკორთა მოძრაობას, თავიანთი მუშაობის ანგარიშები. რედაქციაში გადასაგზავნათ მოხსენების შედგენის დროს სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს აღრიცხვის არსებული რვეულებით და მოხსენებაში აღნიშნავს როგორც მუშკორთა რაოდენობას, ისე სარედაქციო კოლეგიის მიერ ჩატარებულ მუშაობას. ადგილებიდან მიღებული მოხსენებები რედაქციებმა უნდა დაამუშაონ და რედაქციის მიერ წარმოებულ აღრიცხვასთან ერთად, თავისი დასკვნით გადაუგზავნონ რესპუბლიკის მასშტაბით ცენტრალურ გაზეთის რედაქციას, ხოლო ეს უკანასკნელნი თავის მხრივ უგზავნიან კომპ. ცეკას ბეჭდვითი განყოფილებას გაზ. „პრავდა“-ს და ჟურნ. „მუშა კორესპონდენტს“.

აღრიცხვის ასეთი წესი ერთის მხრივ მოგვცემს მუშგლეხკორთა რაოდენობის და მისი ზრდის ნათელ სურათს, ხოლო მეორის მხრივ ხელს შეუწყობს მუშგლეხკორთა რიგებიდან უცხო, ანტი-საბჭოთა ელემენტების ჩამოშორებას.

თავისთავად ცხადია, აღრიცხვის ზემოხსენებული მეთოდებით წარმოება არ არის ადვილი საქმე, სარედაქციო კოლეგიებს პირველ ხანებში მაინც გაუძნელდებათ მისი შესრულება, მაგრამ ამ საქმეში მათ უნდა დაეხმარონ ცენტრალ. გაზეთების რედაქციები.

ს. ე—ძე.

დიდმნიშვნელოვანი თათბირი

ახლოვდება 11 მარტი. ამ დღეს თბილისში გაიხსნება სრულიად საქართველოს მუშა და გლეხ კორესპონდენტთა თათბირი. მუშგლეხკორთა თათბირი და ისიც რესპუბლიკის მასშტაბით პირველი მოვლენაა ჩვენთვის.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სხვა მრავალ მიღწევებთან ერთად წარმოიშვა მუშგლეხკორთა მოძრაობა. მუშათა დიქტატურამ სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე დარაზმა მუშა-მშრომელნი და შეაიარაღა ისინი როგორც ნამგალით და ცელით, აგრეთვე ბასრი კალმითაც.

მუშებისა და გლეხების ახალი არმია—კალმოსნების სახით, იზრდება დღითი დღე. მაგრდება, ღონიერდება. არ დარჩა სოფელი, სადაც ამ ახალ არმიას არ ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი.

და აი 11 მარტს მუშგლეხკორთა არმიის წარმომადგენლებმა თავი უნდა მოიყარონ თბილისში. ამ თათბირზე კი გადასაჭრელია მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხები. თათბირმა უნდა გაგვაცნოს ჩვენ ერთმანეთის მუშაობას, თათბირმა უნდა მოგვცეს გეზი მომავალი მუშაობისათვის.

არაა დასამალი, რომ მუშგლეხკორების მუშაობა კიდევ ვერაა სასურველ თარგებში ჩაყენებული, არაა საკმაოდ ჩამოყალიბებული, ყველას მიერ ვერაა გათვალისწინებული, რომ რასაც დასწერს კალმის პატარა წვერი, მას ვერ ამოშლის დიდი და მჭრელი ხმალი.

მუშა და გლეხ კალმოსნებშიც გვხვდება თითო-ოროლა ისეთი პირები, რომელნიც არ არიან ღირსნი ატარონ მუშკორის სახელწოდება, რომელნიც ჩირქს სცხებენ სპეტაკ და საჭირო საქმეს. ამის მაგალითები საკმაოა. მომავალმა თათბირმა ყოველმხრივ უნდა მიუდგეს საკითხს და ჩამოაყალიბოს სწორი და ნამდვილი გზა შემდგომი მუშაობისათვის. ამისი შესაძლებლობა იქნება მაშინ, თუ თათბირის მონაწილენი ღრმად ჩაუკვირდებიან საქმეს, გაეცნობიან საკავშირო მუშგლეხკორთა მე-4 თათბირის დადგენილებებს და ასე შეიარაღებულნი და საქმესთან გაცნობილნი გამოცხადდებიან თათბირზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა გლეხკორების მუშაობა და მათი ორგანიზაციულად ჩამოყალიბება.

საჭიროა საკავშირო მე-4 თათბირის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება. საჭიროა მუშგლეხკორთა მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავება, კიდევ უფრო გაღონიერება.

კიდევ ბევრია სამუშაო. კიდევ მრავალ ფრონტზეა ბრძოლა საჭირო.

ბიუროკრატიზმი, დღეების გაცდენა, გაფლანგვა და სხვა სოციალისტური აღმშენებლობისათვის მავნე და შემაფერხებელი მოვლენები მოითხოვენ მუშა და გლეხ კორესპონდენტებისაგან, დიდ ყურადღებას დიდ მუშაობას.

დიდია მომავალი თათბირის მნიშვნელობა. დიდი სამუშაო უდევს მას წინ. ამიტომ გავგზავნოთ ამ თათბირზე საუკეთესო ამხანაგები. მოვემზადოთ სათანადოთ და მაშინ თათბირის შედეგიც საუკეთესო იქნება.

ს. დოლიძე.

მეოთხე საგზაო კულტთათბირი

6 მარტს, თათბირმა მოისმინა ა.-კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსის ამხ ა. შავერდოვის მოხსენება სანიტ-აგიტთეატრის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა თეატრის მიღწევები სანიტარულ განათლების დარგში. ამ თეატრის მიზანს შეადგენს სანიტარული განათლების იდეების პროპაგანდა მოსახლეობაში მხატვრული გაფორმების გზით. ამ მხრივ თეატრმა ბრწყინვალეთ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. სათანადო გამოხმაურება თეატრმა ჰპოვა მეზობელ რესპუბლიკებშიც გასული წლის ზაფხულზე თეატრი მიწვეული იყო საგასტროლოდ როსტოვში, კიევში, ხარკოვში და უკრაინის და ჩრდილოეთ-კავკასიის მთელ რიგ ქალაქებში ყველგან თეატრს შეხვდნენ დიდის ინტერესით. მომავალ ზაფხულისათვის თეატრი გაწვეულია საგასტროლოდ მოსკოვსა და ლენინგრადში. აქამდე თეატრი ინახავდა თავს სამეურნეო საშუალებით. მიმდინარე წელში იგი გათვალისწინებულია რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველოს ხარჯთაღრიცხვაში. თეატრი ემსახურება არა მარტო რკინის გზის, არამედ სხვა დარგის მუშათა მოთხოვნილებებს. ადგილობრივი პროფორგანოები ფართოდ იყენებენ თეატრს. მუშათა შორის ამ თეატრმა საკმაოდ განიმტკიცა თავისი ავტორიტეტი ამ სამი წლის განმავლობაში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ თეატრის მიღწევებს და მოითხოვდნენ თეატრის სექციების დაარსებას ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

გუშინდელ სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. ა. კულიევის მოხსენება ვაგონ-კლუბების და წითელი კუთხეების მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი დეფექტები ვაგონ-კლუბების მუშაობაში. ვაგონ-კლუბებს აკლიათ ხელმძღვანელი ძალები. ისინი ვერ უწყობენ ხელს რკინის გზის მუშათა დაახლოებას ადგილობრივ გლეხობასთან. მეორის მხრივ ვაგონ-კლუბების განაწილება საბჭოთა არჩევნებში და სხვა კამპანიებში ძლიან მოისუსტებდა. წითელი კუთხეების მუშაობასაც ესაჭიროება გამოცოცხლება და ქსელის გაფართოება. წითელი კუთხეები საჭიროა გაიხსნას მუშათა საერთო საცხოვრებელ ბინებთან და ახალ საბინაო მშენებლობაში უნდა იქნეს შეტანილი მათი გახსნის საჭიროება.

იმავე სხდომაზე თათბირმა მოისმინა მოხსენება ა.-კ. რკ. გზ. რადიოფიკაციის შესახებ. მომხსენებელმა ამხ. შიმესმა აღნიშნა ა.-კ. რკინის გზელთა კავშირის ღონისძიებები ამ დარგში. რადიოფიკაციისათვის საგზაო კომიტეტს გასული წლის განმავლობაში გადაუდვია 40.000 მანეთამდე. ამ თანხით მას მოუწყვია რადიო. მიმღებები ყველა კლუბებში და მსხვილ წითელ კუთხეებში.

პენსიები მეცნიერების მუშაკებს

განათლების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა იმ სამეცნიერო დაწესებულებათა სია, რომლებზედაც ვრცელდება მთავრობის დადგენილება მეცნიერების მუშაკთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

ქვემოდ ჩამოთვლილი სამეცნიერო დაწესებულების მუშაკებიდან, მთავრობის დადგენილების თანახმად, პენსიას მიიღებს ყველა, ვისაც აქვს სათანადო სამეცნიერო კვალიფიკაცია და ითვლება სამეცნიერო მუშაკთა სექციის წევრად.

განათლების სახალხო კომისარიატის ხაზით ასეთ დაწესებულებად ითვლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტ, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი. საქართველოს სამხატვრო აკადემია. საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორია, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი. რევოლიუციის მუზეუმი, ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმი. ეროვნული სამხატვრო გალერეია; საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი; საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტი; საქართველოს წიგნის პალატა; კარტოგრაფიული ინსტიტუტი. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო; ცენტრალური სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომიტეტი. ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი. სამეგრელოს მუზეუმი და აფხაზური ენის აკადემია.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ხაზით: თბილისის ბოტანიკური ბაღი. ცენტრალური ზოოტექნიკური სადგური; სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საცდელი სადგური. ცენტრალური საბრეშუმო სადგური, თესლის საკონტროლო სადგური. ცენტრალური სატყეო სადგური; აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგური. ბათომის ბოტანიკური ბაღი. ექსპერიმენტალური აგრონომიის ინსტიტუტი, ყარაიის და აჯამეთის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურები. კახეთის და საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურები ქუთაისის საბრეშუმო სადგური, და ოზურგეთის, ზუგდიდის და ჩაქვის ჩაის საცდელი სადგურები.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დაწესებულებებიდან: ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტი. ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი. სამეანო გინეკოლოგიური ინსტიტუტი. თვალის სნეულებათა ინსტიტუტი. სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტი. ბათომის სანავთსადგურო კარანტინი. პროფესიონალურ ავადმყოფობათა შემსწავლელი ინსტიტუტი, ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი. ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი. ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტი, პედოლოგიის ინსტიტუტი და „ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოამბე“.

ამგვარად, ყველა იმ სამეცნიერო დაწესებულებათა რიცხვი მთელ საქართველოში, რომელთა მუშაკებს შეუძლიათ მიიღონ პენსიები, უდრის 50-ს.

11 მარტს თბილისში გაიხსნება სრულიად საქართველოს

მუშკორთა, გლეხკორთა, სამხკორთა და ახკორთა

პირველი

რესპუბლიკანური თათბირი

დღის წესრიგი

1) მიმდინარე მომენტი და საბჭოთა პრესის ამოცანები;
2) მუშგლეხკორთა მე-4 საკავშირო თათბირის შედეგები;
3) მუშგლეხკორთა მოძრაობის მდგომარეობა და პერსპექტივები საქართვ.

თათბირზე ჩამოსული დელეგატები უნდა გამოცხადდენ გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციაში. კამოს ქ. № 68.

თათბირის მომწვევი საორგანიზაციო კომისია

საქართველოს კომპარტიის (ბ) ლენინის რაიკომი იუწყება, რომ 8 მარტს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში მოწვეულია

რაიკომის მეოთხე გაფართოებული პლენუმი კომუჯრედთა ბიუროების და ფაბქარხკომების ფრაქციების წევრთა თანადასწრებით.

ქრონიკა

კონფერენცია გაზაფხულის თესვის ჩატარების შესახებ

16 მარტს განათლების კომისარიატი იწვევს სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და აგრონომიულ ტეხნიკუმებში მომუშავე აგრონომთა რესპუბლიკანურ კონფერენციას— გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.

კონფერენციის დაესწრებიან აგრეთვე მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრის, სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის, განათლების მუშაკთა კავშირის და პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენცია გაიხსნება მე-3 საცდელ-საჩვენებელ სკოლაში (კამოს ქ. № 59).

სამხედრო სკოლებში შემსვლელთა საყურადღებოდ

ა. წ. დ. არმიის ა.-კ. ქვეითი სკოლასთან დაარსებულია ცნობების მიმწოდებელი ბიურო, სადაც შეიძლება ყოველგვარ ცნობების მიღება სამხედრო სკოლებში შესვლის შესახებ (სკოლის კლუბში სამშაბათობით, პარასკევობით და კვირაობით საღ. 6 საათიდან 3 საათამდე).

ახლო ხანში ამავე სკოლასთან გადაწყვეტილია დაარსდეს წინასწარ მოსამზადებელი კურსები იმათთვის, ვისაც სურს სამხედრო სკოლებში შესვლა, აკმაყოფილებენ სამხედრო სკოლებში მისაღებათ არსებულ ყველა მოთხოვნილებებს, მაგრამ არა აქვთ სათანადო ზოგადი მომზადება. მოსამზადებელ კურსებზე ჩაწერა უკვე დაწყებულია.

თავდაცვა-ავიაქიმის ლატარეია

სახელმწიფო ბანკის კანტორის ცნობით თავდაცვა-ავიაქიმის მესამე ლატარეის ბილეთების რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს. მესამე ლატარეის მოგებათა გათამაშება დანიშნული იყო 1 ივლისისათვის, მაგრამ ვინაიდან ლატარეის ბილეთების რეალიზაცია ბევრად ადრე დამთავრდება, ვიდრე განზრახული იყო, მოსალოდნელია, რომ მოგებათა გათამაშება უფრო ადრე შესდგება.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მოგებანი

— **სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის** ცნობით მთელ საქართველოში თებერვლის განმავლობაში გაცემულია ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პირველი ტირაჟის 2.000 მოგება—60.000 მანეთის რაოდენობით, ზოგიერთი სალაროებიდან ცნობები ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

— **გუშინ სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორაში** წარუდგინეს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაცია № 10 სერია 47.748, რომელსაც სესხის პირველ ტირაჟში ხვდა ათას მანეთიანი მოგება. ობლიგაცია ეკუთვნის მოსამსახურე ქალს.

6780 მან. მოგებების გაცემა

საქართველოს ცენტრალური შემნახველი სალარო აწარმოებს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მოგებების გაცემას.

ჯერ-ჯერობით სალაროს მიერ გაცემულია სულ 6780 მანეთის მოგება. მოგებების გაცემა გრძელდება.

ამინდი საქართველოში

გუშინ მთელს საქართველოში ამინდი შეიცვალა. ყველგან მოღრუბლული დარი იდგა. ქარბოდა, სოხუმში წვიმდა. ფოთში გუშინ ღამით ძლიერი ქარი ჰქროდა. გუდაურში თოვდა.

გარდა გუდაურისა და ახმეტისა ყველგან თბილი დღეები დამყარდა. თბილისში სითბომ 10 გრადუსს მიაღწია.

თოვლი ინტენსიურად დნება.

თბილისის აღმასკომში

◆ **კრწანისის ბაღების მორწყვა.** თბილისის აღმასკომმა დაავალა საგეგმო კომისიას სასწრაფოდ დაამთავროს კრწანისის ბაღების მორწყვის გეგმის დამუშავება.

◆ **კომისიის გამოყოფა.** გამოყოფილია სპეციალური კომისია ამხ. ვ. ავაქოვის, თხილავას და კ. ოდილავაძის შემადგენლობით თიანეთის საერობო ქარხნის ადგილობრივ სათემო აღმასკომისათვის გადაცემის პირობების გამოსარკვევად.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **დედათა და ბავშვთა სამდღიური.** ჯანსახკომმა დაასრულა წინასწარი სამზადისი დედათა და ბავშვთა სამდღიურის ჩასატარებლად.

სხვადასხვა

◆ **მუშფაკების 10 წლის თავი.** 9 მარტს, საღ. 8 საათზე ამხ. მ. კახიანის სახელობის მუშათა ფაკულტეტის შენობაში (სამოსწავლო შესახვევი № 4) მუშფაკების არსებობის 10 წლის თავის აღსანიშნავად შესდგება საზეიმო საღამო. საღამოზე სიტყვას წარმოსთქვამს ამხ. მ. კახიანი.

◆ **საქ. მთიელთა საზოგადოებაში.** საქ. მთიელთა კულტურულმა საზოგადოებამ თავის უჯრედებს მიმართა მოწოდებით აქტიური მონაწილეობა მიიღონ შემნახველ სალაროების ერთთვიურის ჩატარებაში.

◆ **მოხსენება „ვეფხის ტყაოსანზე“.** საქ. სასისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში დღეს შესდგება შ. ადეიშვილის მოხსენება:— „არის თუ არა ვეფხის ტყაოსანი სპარსული ტიპის ნაწარმოები“.

◆ **მედსანშრომის კავშირის უმუშევარ წევრთა კრება.** დღეს, საღ. 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება მედსანშრომის მუშაკთა კავშირის უმუშევარ წევრთა საქალაქო კრება.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ლიხაურიდან—კვირკველიას, მოსკოვიდან—პაჭუაშვილს, რიონიდან—ჯიჯუას, ბათომიდან—აზნაურიანს და შემოქმედიდან—ცეცხლაძეს.

შეცდომის გასწორება

ოპერის საფრთხების შესახებ მოწვეულ თათბირის ანგარიშში, რომელიც მოთავსებულია ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, გაიპარა შეცდომა;

იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია მომღერლების გამოყენებაზე, სწერია: „ოპერის ადმინისტრაციამ არ იცის როგორ გამოიყენოს დასში მოწვეული ქალები. **უნდა იყოს—დასში მოწვეული ძალები.**

შემდეგ, სწერია: ოპერაში წელს მწვავედ სდგას ახალგაზრდა ქალების დაწინაურების საკითხი. **უნდა იყოს:... ახალგაზრდა ძალების** და სხვა.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი

„პიკის ქალი“.—მუსიკა პ. ჩაიკოვსკისა

მომღერალ ნ. პეჩკოვსკის პირველი გამოსვლა გერმანის პასუხისმგებელ როლში ა. წ. 5 მარტს საკმარისად ვერ ჩაითვლება მისი საბოლოო შეფასებისათვის, ვინაიდან მას მოუხდა სიმღერა ძნელ პირობებში. მთელი წარმოდგენა ატარებდა მოუმზადებლობის ელფერს, ერთად სასიმღერო ადგილები (დუეტები და სხვ.) კარგად დამუშავებული ვერ იყვნენ და თვით ორკესტრის ხმოვანება ვერ იყო საკმაოდ შეზავებული მსახიობთა შემოქმედებასთან. თუ ყველა ამას დავუმატებთ პეჩკოვსკის მღელვარებას, რომელიც გამოწვეული იყო მის პირველი გამოსვლით და რომელიც ნათლად ეტყობოდა მომღერალს პირველ და მეორე მოქმედების დროს,—ცხადია, რომ მტკიცე მსჯელობა პეჩკოვსკიზე უნდა გადავსდოთ შემდეგისათვის.

დღეს კი შეგვიძლია ვსთქვათ, რომ პეჩკოვსკის სცენიური და ვოკალური შემოქმედება კულტურის აშკარა მატარებელი არიან; მიზანსცენები და ხმის მოტრიალება მას აქვს დეტალურად მოფიქრებული. გერმანის სურათი და სულიერი განცდა მის გადმოცემაში დაშორებულია ტრაფარეტიდან და გაღენთილი მრავალ საინტერესო ფსიქოლოგიურ დეტალებით. პეჩკოვსკის ბგეროვანი მასალა ვერ ქმნის ერთფეროვან შთაბეჭდილებას: მისი ხმის დაბალი და შუა ფარდები, ბარიტონალურ ელფერის მატარებელია, ხოლო რაც შეეხება მაღალ ფარდებს, ეს ფარდები იშლებიან საკმარისად ფართოდ და თავისუფლად. უმაღლეს ფენებში ბგერას ერთგვარი სივიწროვე ეტყობა. პეჩკოვსკის ემჩნევა აკადემიური მომზადება. მას სასტიკად გატარებული აქვს დიქციის სრული სისუფთავე და მუსიკალურ ფრაზებთან შეფარდება. ამ მხრივ ის სდგას დიდ სიმაღლეზე და ჩაითვლება ნამდვილ დრამატიულ მსახიობად.

დანარჩენი მონაწილენი არა ერთხელ გვინახავს თავის როლებში, და ამიტომ მათზე ლაპარაკი განმეორებით ზედმეტია. მხოლოდ დამს. არტისტი ნიკოლსკი (ტომსკი) მღეროდა პარტიას, აშენებულს ბანისათვის მაღალ ფენებში, ამიტომ ის იძულებული იყო მაღალი ბგერანი ჩაეტარებინა ხმის შევიწროვების საშუალებით.

ორკესტროს ლოტბარობდა ვ. შეფფერი.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

საკრედიტო დისციპლინის განსამტკიცებლად

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი ამჟამად ატარებს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემაში საკრედიტო დისციპლინის განმტკიცების კამპანიას.

კამპანიის ჩატარების გეგმა უკვე შემუშავებულია და მუშაობაც დაიწყო. ყველა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს დაგზავნილი აქვს სათანადო ცირკულიარები.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემაში დაგროვილია დიდძალი ვადაგადაცილებული სესხები.

საკავშირო მასშტაბით ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობა მიმდინარე წლის დასაწყისისათვის აღწევდა ას მილიონ მანეთს. კერძოდ საქართველოში საკრედიტო ამხანაგობების დავალიანება ბანკის წინაშე 1 თებერვლისათვის უდრიდა 796.000 მანეთს, ხოლო გლეხობისა—საკრედიტო ამხანაგობების წინაშე—1.152.000 მანეთს. ეს არის 103 ამხანაგობის შეკრებილი ცნობა. დანარჩენებიდან ცნობა არ არის.

თუ უახლოეს ხანში ლიკვიდაცია არ ეყო დავალიანებას, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის საქმიანობას საფრთხე მოელის.

მთავრობის მიერ გამოტანილია დადგენილება, რომლის თანახმად ცხოვრებაში გატარებულ უნდა იქნეს მთელი რიგი გადამჭრელი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავენ ვადაგადაცილებულ სესხების აკრეფას და საკრედიტო დისციპლინის ამაღლებას.

ამ დადგენილების თანახმად, ყველა საკრედიტო ამხანაგობებში დაჩქარებითი წესით ტარდება ვადაგადაცილებულ სესხების და სხვა დავალიანებათა სრული აკრეფა.

კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობას იღებენ ყველა დაინტერესებული ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციები. მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად თითოეულ მაზრაში გამოყოფილია სპეციალური რწმუნებული. კამპანიაში ჩაბმულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის ხელმძღვანელი პირები და სასოფლო-სამეურნეო ბანკის ინსპექტორთა აპარატი.

ჩადრის ახდა

ბათომი, 7 მარტი. მოძრაობა ჩადრის წინააღმდეგ თანდათან იზრდება. ხულოდან იუწყებიან, რომ სხალთის, რიკეთის და უჩანის თემში შესდგა მრავალი კრება. ამ კრებებზე ჩადრი მოიხსნა 2.100 აჭარელმა ქალმა. სულ კი ხულოს მაზრაში ჩადრი მოიხსნა —4.000 ქალმა. საყოველთაო სწავლების შემოღების შემდეგ ხულოს მაზრაში მოწაფეთა რიცხვი ავიდა 3.500 კაცამდე, რომელთა შორის 1.100 ქალია.

მედრესეების 12 შენობა ახლად გახსნილი შრომის სკოლებისათვის გამოიყენებს. (ადს).

რკინის გზებზე

ამხ. პოზდეევის გამგზავრება

ა.-კ. რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. პ. პოზდეევი გაემგზავრა მოსკოვში სამსახურის საქმეების გამო.

ნავთსადენის გამოკვლევა

ა.-კ. რკინის გზების გამგეობაში მიღებული ცნობით, საკავშირო მუშათა და გლეხინსპექციას მიმდინარე წლის შემოდგომაზე გადაწყვეტილი აქვს მოახდინოს „აზნავთის“ მიერ აშენებული ახალი ბაქო-ბათომის ნავთსადენთა შეერთების საკითხი.

გამოკვლევის დროს დამუშავებული იქნება ახალ ნავთსადენის ა.-კ. რკინის გზების ნავთსადენთა შეერთების საკითხი.

812.276 მანეთი—წლიური მოგება

შემუშავებულია ა.-კ. რკინის გზების დამხმარე კომერციული წარმოებათა წლიური ხარჯთაღრიცხვა. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ამ წარმოებათა წლიური შემოსავალი გამოიხატება 2.700.800 მანეთში, ხოლო გასავალი—2.440.524 მანეთში.

ამგვარად მოგება უდრის 321.276 მანეთს.

მოგებიდან გზის დამხმარე კომერციულ წარმოებებში ახალ სამუშაოების საწარმოებლად დაიხარჯება 187.743 მანეთი, ხოლო მათი საბრუნავი თანხების გასაძლიერებლად—86.644 მანეთი.

მთვრალი მემანქანეები

სადგ. ბალაჯარაში ერთ-ერთ სამანევრო ორთქლმავალს მმართავდა მთვრალი მემანქანე ნაიდენოვი და მისი თანაშემწე ზაგრებინი.

ორთავე მოხსნეს ორთქლმავლიდან, მაგრამ მათის მიზეზით ველარ წავიდა უკვე გამზადებული მატარებელი.

ხანძარი ორთქლმავალზე

გუშინ, ღამის თორმეტ საათზე თბილისის დეპოში ცეცხლი გაუჩნდა სადგურში სამუშაოდ გამოსაყვანად გამზადებულ სამგზავრო მატარებლის ორთქლმავალს № 4399, რკინის გზის ცეცხლისმქრობელი რაზმის მიერ მიღებული ენერგიული ზომების წყალობით ცეცხლი სულ მოკლე ხანში იქნა ჩაქრობილი. ცეცხლის გაჩენის მიზეზს იკვლევენ.

წყალსადენი გორში

გორი, 6 მარტი. გორიდან 12 ვერსის მანძილზე, სოფ. ურბნისში, დეგოთის წყაროების საგამოკვლეო მუშაობამ სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო. ამასთან დაკავშირებით სამაზრო აღმასკომს განზრახული აქვს გაზაფხულის დამდეგს დეგოთის წყაროებიდან გორში წყალი აიყვანოს. (ადს).

შემთხვევები

მამის მკვლელი

გუშინ, დილით გურჯაანის მეორე ქუჩაზე ხერო ხაჩატუროვმა (მცხ. მეორე გურჯაანის ქ. № 14) ჩაქუჩის თავში დარტყმით მოჰკლა თავისი მამა—კარაპეტ ხაჩატუროვი. ბოროტმოქმედმა განიზრახა მიმალვა, მაგრამ დააპატიმრეს. მომხდარი ამბის შესახებ აცნობეს სისხლის სამართლის მილიციას და პროკურატურას.

როგორც ირკვევა, ამ ერთი წლის წინად მამა და შვილი წაიჩხუბნენ იმის გამო, რომ კარაპეტ ხშირად მთვრალი დადიოდა სახლში და ოჯახის საჭიროებას ყურადღებას არ აქცევდა. ჩხუბის დროს კარაპეტმა დანით მსუბუქად დასჭრა ხერო. ამ საქმეზე კარ. ხაჩატუროვი გაასამართლა თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ, რომელმაც მიუსაჯა მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეუცვალა პირობით. გუშინ დილით, როცა ხეროს ეტლი მიჰყავდა სამუშაოდ, მამა დაეწია მას და წინადადება მისცა თავი გაენებებინა მუშაობისათვის. ამ ნიადაგზე მამა-შვილი წაიჩხუბნენ, რასაც შედეგათ მოჰყვა მამის მოკვლა ხეროს მიერ.

ბავშის გვამის პოვნა

გუშინწინ მე-6 სამილიციო უბნის კომისარიატის ეზოში იპოვეს ახლად დაბადებულ ბავშის გვამი.

ქურდების დაპატიმრება

მილიციამ დააპატიმრა ვახტანგ იოსების ძე ბიტაშვილი, ნინი პროკოფის ძე ბორისოვი და ილია კონსტანტინეს ძე ტერიშვილი, რომლებიც ეწეოდნენ ბინებისა და მაღაზიების გაქურდვას.

ყალბი ჩეკებით

ამიერ-კავკასიის საგზაო-სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიიდან (ელისეს ქ. № 20) ყალბი ჩეკებით სხვადასხვა საქონლის გამოტანის ცდისათვის მილიციამ დააპატიმრა მიხეილ კონსტანტინეს ძე ვერშინკო.

ჯიბგირობა

7 მარტს ტრამვაის ვაგონში ვიღაც ჯიბგირმა ანდ. ჩიჯს ჯიბიდან ამოაცალა 50 მანეთის ობლიგაციები და მიიმალა.

ქურდობა

გაქურდეს ქ. შაქრელის ბინა (მესამე სამილიციო უბანი), წაიღეს სხვადასხვა ნივთები;— მარიამ მირიანცის ბინიდან (მე-5 სამილიციო უბანი) მოიპარეს ერთი ხალიჩა. გარდა ამისა, 6 თებერვალს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის ხუთი შემთხვევა.

ჭადრაკი

თბილისის ჩემპიონატი

მეექვსე ტური

მეექვსე ტურის დაწყების წინ გამოირკვა, რომ **ვეიზერის** და **ტალვიკის**, **მირზაევის** და **გოგლიძის**, **დანილოვის** და **სოროკინის** პარტიები. მირზაევის, ვეიზერის და დანილოვის სხვადასხვა მიზეზებით არ მოსვლის გამო გაუთამაშებელნი დარჩებიან, რამაც მეექვსე ტურისადმი ინტერესი შეამცირა.

კასპარიანმა შავებით **ასოვსკის** წინააღმდეგ სიცილიურ პარტიაში დებიუტით მიღებული თანასწორი მდგომარეობა, შუა თამაშში, ასოვსკის სუსტი თამაშის გამო, პაიკის მოგებით უფრო გააუმჯობესა. შემდეგში კასპარიანმა რამოდენიმე ზუსტი სვლით საშუალება მისცა ასოვსკის მძლავრი იერიში მიეტანა მეფის ფრთაზე. აქ კასპარიანს შეეძლო ლაზიერების გაცვლით და მოგებულ პაიკის უკან დაბრუნებით თავი დაეხწია გართულებულ მდგომარეობისათვის და გადაეყვანა თამაში ენდშპილში პარტიის მოგების მცირეოდენი შანსებით, მაგრამ მან ეს არ მოისურვა. ასოვსკი შეიჭრა ეტლით და ლაზიერით მის ბანაკში და შამათის ხიფათით და ლაზიერის მოგების დამუქრებით აიძულა კასპარიანი დანებებულიყო.

მაესტრო **ნენაროკოვმა** ლაზიერის პაიკის დებიუტის თავისებური გათამაშებით დააბნია **შიშოვი** და ბევრად უკეთესი მდგომარეობა მიიღო. შიშოვის ყველა ფიგურამ, მეტად შევიწროვებულმა საბრძოლველი ასპარეზი მიიღო. ამავე დროს ნენაროკოვს ყველა ფიგურა გადმოყვანილი ჰყავდა მეფის ფრთაზე საბრძოლველად გამზადებული. ფიგურათა აქტივობა ნენაროკოვმა სათანადოდ გამოიყენა, მიიტანა მძლავრი იერიში, აიძულა შიშოვი, სრული განადგურების დამუქრებით, წაეგო ფიგურა და რამოდენიმე სვლის შემდეგ შიშოვი დანებდა.

საინტერესოდ ვითარდებოდა **წერეთლის** და **მალუნცევის** პარტია. შუა თამაშში მალუნცევმა მეფის ფრთის პაიკების მიწევით და მხედრის შეწირვით ორ პაიკში მდგომარეობა მეტად გაართულა და წერეთლის მეფის ფრთის გახსნით მძლავრი იერიშის მიტანის შესაძლებლობა მიიღო, რაც, ალბად, მისი გამარჯვებით დასრულდებოდა, რომ მას შეტევის დროს არ გაეკეთებინა რამოდენიმე სუსტი სვლა. ამან წერეთელს მისცა საშუალება მოეგო ლაზიერი ეტლში და მორიგ წაგებას გადარჩენოდა.

თარაიანმა ალიოხინის დაცვაში **ლევიტასის** წინააღმდეგ დებიუტით მოიპოვა რამოდენიმეთ უკეთესი მდგომარეობა. მაგრამ აქ მას შეხვდა ლევიტასის ზუსტი თამაში, ამასთან თვითონაც არ აწარმოვა სწორი შეტევა. დაისუსტა მდგომარეობა, წააგო პაიკი და, კარგა ხნის შემდეგ, უხეში შეცდომით წააგო ფიგურა და იძულებული იყო იარაღი დაეყარა.

—:—

დღეს, 8 მარტს, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში 6 საათიდან დაიწყება დაუმთავრებელ და გაუთამაშებელ პარტიების გათამაშება: **დანილოვის და სოროკინის, მირზაევის და ნენაროკოვის, ვეიზერის და ლევიტასის, შიშოვის და ვეიზერის.**

ვ. ბიგვლიძე.

სასამართლო

ვინ მოჰკლა ინვალიდი ბურჯანაძე

გასული წლის 3 ნოემბერს, თბილისში, პლეხანოვის პრ. № 137 თავის ბინაზე მოკლული ნახეს ინვალიდი **სპირიდონ ბურჯანაძე.** მოკლული ეგდო პირაღმა, პირში ღრმად ჩარჩენილი ჰქონდა პირსახოცი. მარჯვენა ლოყაზე მიყენებული ჰქონდა მძიმე ჭრილობა. გვამთან ეგდო ცარიელი საფულე.

ბურჯანაძე ორივე ფეხს მოკლებული ინვალიდი იყო. ჰყიდდა პაპიროსს კინო „აპოლო“-ს კუთხეში და მით ირჩენდა თავს.

მკვლელობის ღამესვე ეჭვით დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე ინვალიდი. დაიწყო კვლევა-ძიება და გამოირკვა შემდეგი:

ინვალიდები, რომლებთანაც ნაცნობობა ჰქონდა ბურჯანაძეს, უკანასკნელს იცნობდნენ, როგორც ფულიან კაცს. გამოძიებით დადასტურებულია, რომ ინვალიდ ბურჯანაძეს მართლაც ჰქონია შემონახული მცირე თანხა.

და აი ამ თანხის ხელში ჩაგდების მიზნით მკვლელობა ჩაუდენიათ ბურჯანაძის ამხანაგებს: **პავლე ხვადაგიანს და იორდანე პაპუკაშვილს.**

პაპუკაშვილს ჯერ კიდევ ერთი წლის წინად ჰქონია მზადება ბურჯანაძის გასაძარცვავად, მაგრამ ეს განზრახვა მას ჩაშლია. ეს ამბავი გამოშჟღავნებულა ინვალიდთა საერთო კრებაზე და კიდეც გაუკიცხავთ პაპუკაშვილი.

პავლე ხვადაგიანი ინვალიდ ბურჯანაძესთან ერთად ცხოვრობდა ბინაზე. მას უკისრია თავის-თავზე მისივე ამხანაგის მოკვლა და პაპუკაშვილის დახმარებით სისრულეშიაც მოუყვანია განზრახვა.

მართალია, ბრალდებულები უარჰყოფენ მკვლელობის ჩადენას, მაგრამ მათივე აზნეული ჩვენებები საკმაო მამხილებელ საბუთებს შეიცავენ. პაპუკაშვილი ლაპარაკობს, რომ მან, მართალია ღამის პირველ საათზე ნახა მოკლული ბურჯანაძე, მაგრამ ამის შესახებ არც მეზობლებს, არც მილიციელს არ აცნობა, რადგან ეჩქარებოდა: ჰიმკრის გასაღები უნდა გადაეცა თავის დიასახლისისათვის (!).

ამ გასაღების ისტორიამ მართლაც გასაღების როლი ითამაშა ბოროტმოქმედების აღმოჩენაში. დაკითხულმა დიასახლისმა განაცხადა რომ მას არც დასჭირვებია და არც მიუღია პაპუკაშვილისაგან გასაღები.

მეორე ბრალდებული კიდევ უფრო დაიბნა თავის ჩვენებაში. მან დაასახელა თავისი ნაცნობი, რომლის ოჯახში თითქოს მან მთელი ღამე გაატარა 3 ნოემბერს. „მასპინძელმა“ ეს ამბავი კატეგორიულად უარჰყო.

ბრალდებულებს წარდგენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 181 მუხლი, ბრალდების მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს უმაღლეს სასჯელს—დახვრეტას.

საქმე ახლო მომავალში გაირჩევა.

შრომის კანონი დარღვევისათვის

გასულ წელს თბილისში, ვლადიმერის ქუჩაზე მოქ. **სერგო ახნაზაროვმა** გახსნა რესტორანი, რომელსაც სახელად დაარქვა „ბირჟა“.

რაკი „ბირჟა“ ერქვა მის რესტორანს, მან აღარ შეაწუხა შრომის ბირჟა მოსამსახურეების შტატის შესადგენად. დაიქირავა შინაურული შეთანხმებით ღარიბი ახალგაზრდა **ანტონ ბარსენიძე,** რომელსაც დღე და ღამე დაუსვენებლად ამუშავებდა. ბარსენიძისთვის არ არსებობდა არც შვებულება, არც კვირაუქმე დღე, არც კლუბი, არც თეატრი, არც დახმარება ავადმყოფობის დროს.

ასე ჯოჯოხეთურ პირობებში იმუშავა ბარსენიძემ მთელი ერთი წლის განმავლობაში. ბოლოს, ეს ამბავი გაიგო სახალხო კვების მუშაკთა კავშირმა, რომელმაც სისხლის სამართლის საჩივარი აღძრა ახნაზაროვის წინააღმდეგ.

სასამართლოში ახნაზაროვი უტიფრად აცხადებდა, რომ მას სასჯელი კი არა მადლობა ეკუთვნის, რადგან ამდენი ხნის განმავლობაში არჩინა ბარსენიძე. მისცა მას თავშესაფარი.

შრომის სასამართლომ ახნაზაროვს შრომის კანონის დარღვევისათვის მიუსაჯა ჯარიმა 300 მანეთის რაოდენობით.

გერ.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 8 მარტი

თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაცემულ იქნება: პიონერის და მოსწავლის საათი სომხურ ენაზე და კონცერტი პიონერთა ძალებით; მოხსენება ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი „ენიკენდი“ თურქულ ენაზე; კომკავშირის რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; რადიოს მეგობართა საზოგადოების საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების გამგის ამხ. შადირდოვას მოხსენების („ქალთა საერთაშორისო დღე“). ტრანსლიაცია ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტიდან; ქალთა საერთაშორისო დღისათვის მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო; უკანასკნელი ცნობები.

შრომის ბირჟაში

დღეს, 8 მარტს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ეკატერინე კირიაჩენკო, ნესტორ ჩხეიძე, ლიდა შტეინბერგი, ნინო აბრამიშვილი.

მედსექციიდან: ნადეჟდა პინიუტინა, ამას გარდა სექციას სჭირდება ერთი მომვლელი ქალი, რომელმაც უნდა იცოდეს ქართული, თათრული და სომხური ენები.

მშენებელ მუშაკთა სექციიდან: დიმიტრი ხოშილი, ბიქლარ გალუმიანი, ფლადი მოტფრადი.

ქალთა დღისათვის

დღეს, ქალთა საერთაშორისო დღის, 8 მარტის აღსანიშნავად, თბილისის შრომის ბირჟა რიგ გარეშე სამუშაოზე გზავნის 16 უმუშევარ ქალს.

ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხი

მოგებათა მეექვსე ტირაჟის ოფიციალური ცხრილი *)

სერ. №№	ობლ. №№	მოგ. თანხა
036.986	1—50	100
037.998	47	1.000
037.998	1—46, 48—50	100
039.025	1—50	100
039.391	1—50	100
039.889	1—50	100
040.324	1—50	100
041.007	1—50	100
041.070	1—50	100
041.936	1—50	100
042.108	1—50	100
042.108	1—50	100
043.448	1—50	100
043.492	1—50	250
044.109	1—50	100
044.920	1—50	100
044.953	1—50	100
045.021	1—50	250
045.075	1—50	100
045.376	1—50	100
045.524	1—50	100
045.948	1—50	100
046.481	1—50	100
046.631	1—50	100
047.017	49	1.000
047.017	1—48, 50	100
047.128	1—50	100
047.177	1—50	100
049.179	1—50	250
049.257	12	1.000
049.257	1—11, 13—50	100
049.424	1—50	100
049.536	1—50	100
049.572	1—50	100
049.924	1—50	100
050.299	1—50	100
050.592	1—50	100
050.652	1—50	100
051.025	49	1.000
051.025	1—48, 50	100
051.118	1—50	100
052.175	1—50	250
052.994	38	1.000
052.994	1—37, 39—50	100
053.337	1—50	100
053.595	1—50	100
053.754	1—50	100
054.316	1—50	100
055.762	1—50	250
055.819	10	1.000
055.819	1—9, 11—50	100
056.426	1—50	100
056.680	1—50	100
057.975	1—50	250
058.055	31	1.000
058.055	1—30, 32—50	100
058.169	1—50	100
058.389	1—50	100
059.202	1—50	100
059.356	1—50	100
059.874	1—50	100
070.913	1—7, 9—50	100
071.813	1—50	100
071.871	1—50	100
071.882	35	5.000
071.882	1—34, 36—50	100
071.975	1—50	250
072.132	1—50	100
072.580	1—50	100
072.634	1—50	100
072.802	1—50	100
073.184	1—50	100
074.058	43	1.000
074.058	1—42, 44—50	100
074.123	6	1.000
074.123	1—5, 7—50	100
074.482	48	1.000
074.482	1—47, 49—50	100
075.230	1—50	100
075.426	1—50	100
076.052	49	1.000
076.052	1—48, 50	100
076 178	1—50	100
076.834	1—50	100
077.005	1—50	250
077.454	1—50	100
078.665	1—50	250
079.081	1—50	250
079.361	10	1.000
079.361	1—9, 11—50	100
079.970	41	10.000
079.970	1—40, 42—50	100
080.082	1—50	100
080.402	1—50	100
080.586	1—50	100
080.831	44	1.000
080.831	1—43, 45—50	100
081.039	1—50	100
081.156	18	1.000
081.156	1—17, 19—50	100
081.455	50	1.000
081.455	1—49	100
081.828	1—50	100
082.140	1—50	100
082.258	1—50	250
082.693	1—50	100
082.782	1—50	250
083.147	1—50	100
083.256	1—50	100
084.285	1—50	100
084.524	1—50	100
084.547	7	10.000
084.547	1—6, 8—50	100
084.877	1—50	100
085.122	1—50	100
085.601	8	1.000
085.601	1—7, 9—50	100
085.711	1—50	100
085.771	1—50	100
086.458	43	1.000
086.458	1—42, 44—50	100
086.953	1—50	250
100.995	1—50	100
102.161	28	1.000
102.161	1—27, 29—50	100
102.235	1—50	100
102.243	1—50	100
102.700	1—50	100
103.023	1—50	100
103.665	1—50	250
103.743	5	10.000
103.743	1—4, 6—50	100
103.758	1—50	100
104.434	1—50	100
104.727	1—50	100
105.224	1—50	100
105.323	1—50	100
105.328	1—50	100
105.346	1—50	100
105.696	1—50	100
105.911	21	1.000
105.911	1—20, 22—50	100
106.207	1—50	100
106.686	1—50	250
106.825	1—50	100
106.983	36	1.000
106.983	1—35, 37—50	100
108.010	1—50	100
108.062	1—50	250
108.204	26	1.000
108.204	1—25, 27—50	100
108.964	1—50	100
109.397	1—50	100
109.419	1—50	100

(დასასრული იქნება)

---

*) გაგრძელება, იხ. „კომუნისტი“ № 53.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 306 მუხლის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 306 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 306. იმ ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შესახებ, რომელიც 500 მანეთზე მეტად არის შეფასებული, სასამართლოს გადაწყვეტილების აღმასრულებელმა უნდა გამოაცხადოს არა უგვიანეს სამი დღისა, ვიდრე საჯარო ვაჭრობა შესდგებოდეს, ადგილობრივ სამაზრო ოფიციალურ გაზეთში, ხოლო უკეთუ იმ მაზრაში, სადაც საჯარო ვაჭრობა უნდა მოხდეს, ასეთი გაზეთი არ არსებობს,— რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ცენტრალურ ოფიციალურ ორგანოში—კუთვნილებისამებრ. გადამხდევინებელს ან მოვალეს შეუძლია ითხოვოს, რომ განცხადება დაბეჭდილ იქნეს სხვა გაზეთებშიაც მისი ხარჯით.

განცხადება გაყიდვის შესახებ, აღნიშნული ვადის დაცვით, ყველა შემთხვევაში უნდა გამოიკიდოს იმ ადგილას, სადაც საჯარო ვაჭრობა შესდგება, და სასამართლოს გადაწყვეტილების აღმასრულებლის კანცელარიაში, ხოლო სოფლად—გაეგზავნება აგრეთვე იმ თემის აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის რაიონშიაც ქონების გაყიდვა მოხდება—თემის აღმასრულებელი კომიტეტის სადგომში გამოსაკიდებლად თვალსაჩინო ადგილას. უკეთუ ქონება 500 მანეთზე მეტად არ არის შეფასებული, პუბლიკაცია მოხდება მხოლოდ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მისი ხარჯით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ი. ვარძიელი.

1929 წ. მარტის 6.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილება იუწყება, რომ 8 მარტს დილის ორ საათზე შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ: ნადირაძე (სოფლის კავშირი), რადავა (საქ. მუშგლეხინი), ქორიძე (მიწსახკომი), ადიკაშვილი (თბ. აღმასკ. მიწამოწყ. განყ.), ტყაბლაძე (თბ. კომიტ.), სიხარულიძე (მიწატყის კავშირი), ნასიძე (სას.-სამ. ბანკი). საჭიროა დაუგვიანებლად გამოცხადება.

—

პარასკევს, 8 მარტს, საღამოს 7 საათზე ც. კ.-ის აგიტპროპგანყოფილებაში მოწვეულია თათბირი, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხ.: ორახელაშვილი მარიამ, ტოროშელიძე, ზიბინეიშვილი, ხუნდაძე სიმონ (უნივერს.), კუციარიძე (უნივერს.), ერქომაიშვილი (უნივერსიტ.), ორაგველიძე კარლო (უნივერსიტეტი), ხაჭაპურიძე (ამ.-კავკასიის კომუნივერსიტეტი), მეჭვარელიძე (პარტსკოლა), გურგენიძე (განსახკომი), ჭუმბურიძე (განსახკომი), დემეტრაძე (კომკავშირის ც. კ.) ვინტინი.

დღეს, 8 მარტს, საღამოს სრულ 7 საათზე ლენინის სახელობის სახ. პოლიტ. ინსტიტუტის შენობაში შესდგება კ. პ. (ბ) და ა. ლ. კ. კ. კოლექტივის გაერთიანებული კრება უპარტიოებთან ერთად.

დღის წესრიგი: მოხსენება ამხ. ლისოვსკის და ორაგველიძის.

—

შაბათს, 9 მარტს, დილის 9 საათისათვის, საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში გამოძახებული არიან შემდეგი ამხანაგები: სალუქვაძე, პოპოვი (თიმქა), ანთიძე (პროფსაბჭო), კირესელიძე (კომკავშირის თბილისის კომიტეტი), შავგულიძე (კომკავშ. თბილ. კომიტეტი), ანდრიუშინი (კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტი), ჯაში (ქალაქის რაიკომი), მეგრელიშვილი (სახელმწ. უნივერსიტეტი). მელიქაძე, ქობულაძე, საბაშვილი. ეკატერინე კალანდარიშვილი და ქსენია გრებენშჩიკოვა (საქ. სახკომსაბჭო).

თხოვნაა, გამოცხადდნენ დაუგვიანებლივ.

კვირას შუადღის 12 საათზე, დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის

ნიკო (ჯვებე) იოსელიანის

გარდაცვალებიდან წლის შესრულების აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს გულმოკლულნი ჭირისუფალნი (ე)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ცხოველთმომშენებლობისა და გენეტიკის კათედრის თანამშრომელნი გულდაწყვეტილნი აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, მათი დაუვიწყარი ხელმძღვანელისა და მეგობრის

დოც. **ნიკოლოზ იოსელიანის**

გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულებას. სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება დიდუბეში კვირას, 10 მარტს შუადღის 12 საათზე. (ე)

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ნინო სოლომონის ასული მდინარაძისა, დედა დარო, მამა მიხეილ, ძმა ალექსანდრე, დები: ლიუბა, მარგალიტა და გოგუცა მდინარაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი და საყვარელი

გიორგი (გრიშა) მიხეილის-ძე მდინარაძის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, პარასკევს 8 მარტს, სრულ 4 საათზე. კლარა ცეტკინის ქუჩა № 63. 751

თედო ვასაძე, შალვა და ნინო შავგულიძე და იოსებ და ტასო თოხაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ დაუვიწყარ მეგობრის

გრიშა მდინარაძის

უდროოდ გარდაცვალებას.

დამწუხრებულნი სიდედრი ფედოსი ცაგარელი, ცოლისდები, ეკატერინე ქავთარაძე, დარეჯან გვაზავა და ქვისლები იაკინთე ქავთარაძე, ალექსანდრე გვაზავა აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარი

გრიშა მდინარაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 742

---

6 მარტს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მარიამ ივანეს ასული ლოლაძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, ქმარი ნიკოლოზ ლოლაძე, შვილები თამარი და გიორგი და მული ნადეჟდა გუდიაშვილისა. გამოსვენება შაბათს, 9 მარტს, 3 ნახ. საათზე ყოფილ ალექსანდრეს საავადმყოფოდან, კამოს ქუჩაზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 752

დამწუხრებული მეუღლე ანა, შვილები შოთა და ლენა მამა კოსტა, ბიძა დუტუ და ბიცოლა ნატალია დავითაიები აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 4 მარტს გარდაიცვალა მათი საყვარელი

რაჟდენ კოსტას-ძე დავითაია

დაკრძალვა პარასკევს, 8 მარტს, ს. ონტოფოში. 759

გაუბედურებული და უნუგეშოდ დარჩენილი მეუღლე ვერა (ელიკო), მშობლები—ასპიროზი და ერასტი, ძმები—ალექსანდრე და ილიკო და რძალი ვერა, სიდედრ-სიმამრი—ედუკია და ნესტორ შავლაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. მარტის 5-ს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი, ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი

ვლადიმერ (ვალოდია) ერასტის-ძე გეგეშიძე

გამოსვენება პარასკევს, 8 მარტს ნაშუადღ. 3 საათზე, საკუთარ ბინიდან საბჭოთა (ჩერქეზიშვ.) ქ. № 197. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 756

დამწუხრებულნი: ვარლამ, არეთა, ლიდა, ვასო, ალექსანდრე, აკაკი, დათიკო კობახიძეები, თომა, იასონი, შალიკო ენუქიძეები, ნ. ვაჩაძე და ი. ფოფხაძე იუწყებიან საყვარელ ამხანაგის, კომუნისტური უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტის

ვლადიმერ (ვალოდია) ერასტის-ძე გეგეშიძის

გარდაცვალებას. 758

დამწუხრებულნი: მ. დვალი, დომენტი და ბიქტორი გურგენიძეები, ალექსანდრე და დათიკო ჩიხრაძეები, ნიკიფორე და შალიკო მურუსიძეები, დიანოზ, ბესო და ნადეჟდა გეგეშიძეები, კ. ყრუაშვილი და ბ. ფურცხვანიძე, იუწყებიან საყვარელ ამხანაგის ა.-კ. კომ. უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტის

ვლადიმერ (ვალოდია) ერასტის-ძე გეგეშიძის

გარდაცვალებას. 758

გულითადი მეგობრები და ამხანაგები: ნიკოლოზ კანდელაკი, ლინიკო შავლაძე, ტ. გურგენიძე, ლადო გურგენიძე, ვარლამ დოსხაძე, სიკო დაკურაძე, კლავდია კობახიძე, გიორგი ნებულაშვილი, ივლიანე კანდელაკი, საშა კობახიძე, ელენა ჯაფარიძე, ნესტორ შავლაძე, ელისა კობახიძე, პორფილე გურგენიძე, შალიკო გურგენიძე, სერგო ქელბაქიძე კოლია გურგენიძე და დავით კუბლაშვილი განუსაზღვრელ მწუხარებას გამოსთქვამენ უძვირფასესი მეგობრის და ამხანაგის

ვალოდია ერასტის ძე გეგეშიძის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალების გამო. დეპ.

---

26 კომუნარის სახელობის ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტის და მასთან არსებულ კოოპერატიულ კურსების გამგეობა, სტუდენტთა ორგანიზაციები, ლექტორები და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მე-4 კურსის სტუდენტის

ვლადიმერ ერასტის-ძე გეგეშიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (საბჭოთა ქუჩა, ყოფ. ჩერქეზიშვილის, № 197), დღეს, 8 მარტს ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. ნ. 2369

ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 5 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე სრულიად უდროოთ და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი მეგობარი და ძვირფასი ამხანაგი, მე-4 კურსის სტუდენტი

ვლადიმერ (ვალოდია) ერასტის-ძე გეგეშიძე

ნ. 2369

ა.-კ. კომუნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარი მეგობრის და ამხანაგის, ამავე უნივერსიტეტის მე-4 კურსის სუდენტის

ვლადიმერ (ვალოდია) გეგეშიძის

უდროოდ დაკარგვას. ნ. 2369

ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტის ქართული სექტორის მე-2 კურსის სტუდენტები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი ამხანაგი, მე-4 კურსის სტუდენტი

ვლადიმერ (ვალოდია) ერასტის-ძე გეგეშიძე

ნ. 2369

ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის ქართული სექტორის პირველი კურსის სტუდენტები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი, უკანასკნელი კურსის სტუდენტი

ვლადიმერ (ვალოდია) გეგეშიძე

ნ. 2369

თავზარდაცემული მეუღლე ნადია, შვილები: კატო, ქეთო; ლადიმე, მამა მიხეილ, ძმა არსენ, რძალი ნინა შვილებითურთ ქიქოძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ა. წ. 6 მარტს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

გიორგი მიხეილის-ძე ქიქოძე

რომლის უკანასკნელ გამოსათხოვარ დღეთ დანიშნულია 10 მარტი, სოფ. ბახვში (გურია). 754

ღრმა მწუხარებაში მყოფი ბარბალე ცხომელიძე აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი სიძე

გიორგი მიხეილის-ძე ქიქოძე

დაკრძალვა 10 მარტს, სოფ. ბახვში (გურია). 754

თავზარდაცემული მშობლები: ვერა და დიმიტრი, ძმა დანიელი, ბებია, ბაბუა, მამიდები ქსენია, ბაბი, ბიძა კონდრატე აუწყებენ საზოგადოებას, რომ 6 მარტს გარდაიცვალა

პატარა **ლეილა (ლალა) დიმიტრის ასული ქორჩილავა**

დაკრძალვა ახალ აბაშაში—კვათანაში, კვირას 10 მარტს. 755

გულდათუთქული მეუღლე სონა; შვილები: ლიუბა, ელიკო, სერგო—მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

მათე ანდრიას-ძე ჭანელიძე

გამოსვენება კვირას, 10 მარტს, 4 საათზე, ქალაქის 1-ლი კლინიკიდან (ყოფ. ალექსანდრეს საავად.) სამოქ. პანაშვიდი საღამოს 6 საათზე. 746

დღეს
პარასკევიდან, 8 მარტიდან
კინო თეატრ
პალასში პალასში
მხატვრული სურათი
მისი გზა
რეჟისორი შტრიჟაკ
თანარეჟისორი პოზნანსკი
მთავარ როლში ე. ცესარსკაია
ნ. 2370

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	მხატვრული სურათი **სალამანდრა**
აპოლო	სეზონის ახალი სურათი **6 ქალიშვილი ეძებს თავშესაფარ**
მინიონი	დუგლას მაკ ლინი კომედიაში **წარმადგინეთ**
სოლეი არფასტო	მსოფლიო ფილმი **არსენალი** რეჟისორი დოვჟენკო მთავარ როლში—სვაშენკო
პალასი	მხატვრული სურათი **მისი გზა** ე. ცესარსკაიას მონაწ.
დარბაზი	**ტარზანი—ჯუნგლების მბრძანებელი** 5 და 6 სერია
პროლეტარი ავლაბარი	**ტარზან—ჯუნგლების მბრძანებელი** 1 და 2 სერია

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად

საქართველოს კომუნალური ბანკი

ამით აცხადებს

ბანკის აქციონერთა

საყურადღებოდ

რომ მათ ხელში მყოფი საქართველოს კომუნალური ბანკის (ყოფ. თბილისის ქალაქის ბანკის) უსახელო აქციები არა უგვიანეს 1926 წლ. 31 მარტისა წარმოდგენილ უნდა იქნეს ბანკის გამგეობაში ან განყოფილებებში სახელობით აქციებზედ გადაცვლის მიზნით

2—1 ნ. 2368

ცირკი
კოლოსი
დირექტორი
ი. ზ. კუდრიავცევი
ტელეფ. № 8—64
3—3 ნ. 2367

დღეს
განახლებული სანახაობანი
პროგრამა 3 განყოფილებად
ახალი გასტროლები 5 ემმაკის
ვილარეს ჯგუფის ფრენა. ზანგების, ექსცენტრიული ჩეჩოტკების შემსრულებლის ბოჩკოვსკის გამოსვლები
წითელი მეფისტოფელი ოკლეი
განახლდა 4 კრონეცის, კნოკის, 3 კუკის ა. პერვილის და სხვების გამოსვლები
აგრეთვე დარიგდება 70 საჩუქარი, მთავარი საჩუქარია ფულად 75 მანეთი.
დასაწყისი 8 ნახ. საათზე წაიკითხეთ ცირკის აფიშები

თმის მკურნალობა
ვ. ი. დანილევსკაიას
საექიმო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—6

დაიკარგა: რკინის გზიდან აღებული ჩამონაჭერი (ОТРЕЗОК) „В“ № 54828 აკაკი კალაძის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 179 დათიკო ივანესძე სილაძის სახელზე, ჩ. გ. 743

დაიკარგა: „ზაკტპო“-ს საწევრო წიგნაკი № 21927 მოკა კოკოევის სახელზე, ჩ. გ. 745

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი ელეონორა შალვას ასულის გომართელის სახელზე, ჩ. გ. 744

დაიკარგა: პარტიული ბილეთი № 0864926 იოსებ ჟღენტის სახელზე, ჩ. გ. 750

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 0507676 ასტვაწატურ მედნიკიანის სახელზე, ჩ. გ. 75

დაიკარგა: 30 მან. ხელწერილი მიღებული ყარაიას ადგილკომის მომუშავე გეიდარ აშევიმისაგან ვანო ბერიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 734

დაიკარგა: განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი თედორე ვასილისძე სულავას სახელზე, ჩ. გ. 7.0

ტირაჟი—38.527

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, ყამ ის ქუჩა № 68.

მთავლიტ. № 904.